

178

1992

ISSN 0868-4537



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1992•2

IUS

საქართველოს იუსტიციის

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

- ანზი არსენაშვილი
(ბასუსისმეცხეილი მდივანი),
- გელა ბერძენიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ ბაგრატიონი,
როსლან გილიგაშვილი,
ავთანდილ დემეტრაშვილი,
ტარიელ ჯანაშია,
მისხილ ქაქელია,
მზია ლეკვიშვილი,
გურამ ლილუაშვილი,
ალექსანდრე ტალიაშვილი,
რუსუდან პიტაია,

ბეჭდვითი რედაქტორი
გულნარა ბოსნიკაშვილი

სარედაქციო საგვო:

ვანტანე აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანდრო გაბიანი, რომან გვენცაძე, გივი ინჟიკიშვილი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნეზირიძე, ვანტანე რაფაეაძე, ჯურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აკოლთნ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ნიქოშვილი, ჯონი ხეც-რიანი, ჯონი ჯალაღანი, სერგო ჯორჯანიძე.

სამართალი

ამცნიერო-პრაქტიკული უზრნალი

№ 2 1992

ამოდის 1928 წლიდან

თბაერვალი

ს ა კ ი ე ტ ე ლ ი

კუზლიციისტიკა

ოთარ ბამყრელიძე — ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიპილიზმის
წინააღმდეგ

2

დათო ჟელიძე — აღამიანი და ტოტალიტარული რეჟიმი

15

თეორიის საკითხები

მასტანბ აბაშვიძე — ქართული რენესანსის სათავეებთან

25

სასამართლო რეჟორმის პროკლეშვაი

მალერი ლორია — აღმინისტრაციული იუსტიცია

40

ოფიციალური მასალა

საქართველოს რესპუბლიკის რაიონების და ქალაქების სასამართლოების
მოსამართლეთა სია

49

დოკუმენტები

„პეკინური წესები“

53

ინფორმაცია

თამაზ მირმსაშვილი — საარჩევნო დებულების პროექტის განხილვა

60

სტუდენტთა დასახმარებლად

მ. მ. შტამერმანი — რომის სამართალი

66



ოთარ ბაგვაჩელიძე

ილია ჭავჭავაძე საპარტლევბრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ

4.


თუ ილიას მკვლელობა იყო უდიდესი ტერორისტული აქტი, ანუ საუკუნის მკვლელობა, ჟურნალ „მოგზაურში“ მის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ბრალდებასაც საუკუნის ცილისწამება უნდა ეწოდოს. ილიამ ამ ცილისწამებას, როგორც ვთქვით, საკადრისი პასუხი გასცა, რომელიც „ნუთუს?“ სათაურით პირველად გაზეთ „ივერიას“ დაიბეჭდა, უფრო ზუსტად, ის ცალკე ბროშურის სახით დამართო „ივერიას“. ეს პასუხი, რომელშიც ილიასთვის ჩვეული სიღრმით არის დასაბუთებული მის მიმართ წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა და ცილისმწამებლური ხასიათი, სამართლის პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი ნიმუშია, ამიტომ იგი საგანგებოდ შესწავლისა და გაანალიზების საგანი უნდა გახდეს.

„ნუთუს?“ განხილვა იმით მიიწივს, რომ იგი როდია უბრალოდ კერძო პირის თავის მართლება მის წინააღმდეგ წაყენებულ კერძო ბრალდებაზე. ილიამ თავისი პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, განაზრგადა და მას მაღალი საზოგადოებრივი უფერადობა მიანიჭა. „მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, — აღნიშნავს ის — რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული, ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენწინაც დაიჩოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თავზედხელალებულმა მაჩანჩალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ ჟურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჩვრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზლობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თვის საფარველად გარდუქმნია“.

ილიას პასუხი, ამავე დროს, იმითაც არის განსაკუთრებით საყურადღებო

1 ფ. გოგიჩაიშვილი, „ივერიის“ მაშინდელი რედაქტორი, ივონებს: „სტამბის მუშები მიჯანყდებოდნენ, გაზეთს არ აფეხობთ, თუ ილიას პასუხს დაბეჭდავთ. ამიტომ, იძულებული გახდი „ნუთუს?“ ცალკე ბროშურის სახით ემეფებინებინა და ამ სახით დამართო გაზეთისათვის“. როგორც ჩანს, მუშებზე ზეგავლენას ახდენდნენ „მოგზაურის“ გარშემო შემოკრებილი ილიას მოწინააღმდეგენი. ეს ფაქტი კიდევ ერთი, არაპირდაპირი მტკიცებაა იმისა, რომ ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატების ჩადენილი უნდა იყოს, რადგან ჟურნალი „მოგზაური“, როგორც ცნობილია, ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანო გახლდათ.

* დახასრული. დახაწიხი იხ. ჟურნალი „სამართალი“ № 1, 1992.



20058

და მეც აქ იმიტომ გადავწყვიტე მისი განხილვა, რომ იგი სამართლებრივი ნიშნის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ილია აქედან უკურადღებას აქცევს იმას, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტმა ფეხქვეშ გათელა „დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა“. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ გამოვხატავთ, ილია აქ აღნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უდანაშაულოა მანამ, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. კორესპონდენტს არა აქვს უფლება საეჭვო და ჭერ დაუმტკიცებელი ფაქტების პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებით დაამციროს ვისიმე პატივი და ღირსება. ილია თავის პასუხში საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს პრესის როლსა და მნიშვნელობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, კი პიროვნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად. პრესის „ქვეშაირი თავისუფლება — წერდა ილია — მიჭნების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაეკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდება...“

„მოგზაურის“ კორესპონდენტს ილიასათვის ოთხი ძირითადი ბრალდება აქვს წაყენებული. პირველი ბრალდება ის არის, თითქოს ერთ „ახალსოფელს“ გლეხს „სანადღლო“ ყანის ძნა ილიას კალოზე მიეტანოს არა იმ დღეს, როცა ეს მოურავმა დაავალა, არამედ მეორე დღეს, დილით ადრე. ამაზე ილია სასტიკად გაბრაზებულია და გლეხისათვის ლანძღვა-გინებით უთქვამს: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, და როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფს“. სანამ ამ ფაქტს არსებითად შეაფასებდეს, ილია წინასწარ ორ შენიშვნას აკეთებს.


პირველი, ის, რომ, როგორც იგი ამტკიცებს, „ახალსოფელში“ არც ერთი ნტკაცელი მიწა მე და ჩემს მეუღლეს არ გვეკუთვნისო. ის სოფელი ეკუთვნის თავად ზაალ გურამიშვილს, რომელიც სნეულია და მის მამულ-დედულს „აპეკა განაგებს“.

მეორეც, ის, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო არც ილიას, და არც მამულის პატრონს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა ნაყმევი, რადგან „ნადელი“, „რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს მართო უსტავნოი გრამოტით საკომლოდ მიზომილ მიწას ნაყმევისას“, როგორც ილია ამბობს, იმ სოფელში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რისთვის დასჭირდა ასეთი ტყუილი კორესპონდენტს?

„ნაყმევი“ — ნამსახური კაცია, — განმარტავს ილია — ახლად მართლაც სამარცხვინო ულლიდან გამოშვებული, ამიტომაც უფრო გულშესატკივარია, უფრო შესაბრალისი, როცა თავის ნაბატონარისაგან იჩაგრება“.

ახლა შევეხოთ ამ ბრალდების არსებით მხარეს. ილია ამბობს, რომ ოთხი ბრალდებიდან, რომლებსაც მე კორესპონდენტი მიყენებს, „კორესპონდენტის სასიხარულოდ“ მხოლოდ „ამ ამბავს აცხია მართლის ნიშანწყალიო“. მაგრამ ეს „ერთი ნამცეცა“ მართალიც კი ისე ამოუვლია „თავის გულის ზაფრაში“, რომ ტყუილისაგან დიდად არ განსხვავდება და მოგვაგონებს იმ ხავსს, რომელსაც წყალწალბებული ეჭიდება ხოლმე.

საქმე ის არის, რომ საგურამოში შემავალ სოფლებში მეოთხედობა ყოფილა მიღებული დიდი ხნიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ მამულის პატრონს ეძ-



ლევოდა მოსავლის ერთი შუოთხედი, ხოლო გლეხი, ვინც მიწა დაამუშავა და მოსავლის სამ მეოთხედს.

თუმცა ამ წესის პრაქტიკულად განხორციელება დიდ სირთულეებთან ყოფილა დაკავშირებული. გლეხსა და მოურავს გაყოფის დროს სხვადასხვა მიზეზით თურმე ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი და დავიდარება. მთელ ყანაში ერთხანს არ იყო. „ხშირად თავში კარგი, პურიანი ძნაა და სხვილი, შუა წელში, ან ბოლოში, აოდვილია, მომცდარია, პურნაკლებია“.

გარდა ამისა, მოურავიც და გლეხიც, როგორც ილია განაგრძობს, ყველა „უმანკო მტრედი“ არ ყოფილა. ორივე მხრიდან მოსალოდნელი იყო მოტყუება. „მეორეს მხრით იმისათვის, — წერს ილია — რომ კაცმა იცოდეს, მოურავის ყანიდან რას გზავნის, ვის რამდენს ართმევს, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოსდის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწესე, რომ მოურავმა თითოეულ გლეხს იქავ, საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო, და თვითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქაც თავის თვალწინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ და ისე გამოისტუმროს“.

ამის შემდეგ, გლეხი რომ კალოზე ძნას მიიტანდა, ძნის მიმღებისათვის ეს ბარათი უნდა მიეცა და ამით მიეთვალა მეოთხედი, მერე ეს ბარათი შეჭერდებოდა მოურავის დავთართან და ასე გაუსწორებდნენ ანგარიშს მამულის პატრონს.

ეს წესი დიდი ხნის გამოცხადებული ჰქონია ილიას გლეხებისათვის, ვისაც მასთან „ხენა-თესვის საქმე დაუჭერია“, დიდ ნაწილს გლეხებისა ეს წესი მოსწონებია და მიუღია კიდევ. მაგრამ იმ მრავალრიცხოვან გლეხთა შორის, ილიას მამულს რომ ამუშავებდნენ ხოლმე, თითო-ოროლა კაცი მაინც გამოერეოდა. რომლებიც ამ წესს არღვევდნენ. ბევრი ვეცადეო, ამბობს ილია, რომ ეს „უბრალო და უმანკო წესი არავისთვის დამერღვევინებინა“, მაგრამ ვერაფერს გავხდით. წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ ამ წესის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა მაინც არ მომხდარიყო. „ბოლოს სხვა გზა რომ არ იყო, — განაგრძობს ილია — დავემუქრე, ვინც ჩემს მამულში სახნავ-სათესად შემოხვალთ და მეოთხედს უბარათოდ მომიტანთ, დადებულ ურემს უკან გავაბრუნებ-მეთქი“. ილიას ამ უკიდურესი ღონისძიებისთვის იმიტომ მიუძმართავს, რომ „აქ ყურის მოყრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდა“. ეს მეტად საყურადღებო მომენტია, რომელსაც სწორი იურიდიული შეფასება სჭირდება, რათა ილიას მსჯელობის ნამდვილი აზრი გავიგოთ.

კიდევ უფრო საყურადღებოა ილიას მომდევნო მსჯელობა, როცა იგი ამბობს, რომ „ხსენებულ წესის დადგენის აქეთ სულ ორი შემთხვევა იყო, როცა იძულებულ ვიყავ მე ჩემი მექმნა და ეს მუქარა ცარიელ სიტყვად არ დარჩენილიყო“. ერთი სიტყვით, „მოგზაურის“ კორესპონდენტი არ ტყუოდა იმაში, რომ ილიამ მართლა დააბრუნებინა გლეხს მოტანილი ძნა ყანაში. აქ სიმართლე, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის მხარესაა. მაგრამ ამ სიმართლის მიკვლევა თავისებურ იურიდიულ ნიუანსებში გარკვევას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, ერკვეოდა თუ არა ამ იურიდიულ ნიუანსებში „მოგზაურის“ კორესპონდენტი, ერთი რამ აშკარაა: ის განზრახ აზვიადებდა მომხდარ ფაქტს, რათა სამართლებრივად ჩამორჩენილი გლეხობა აეღელეკებინა და ილიას წინააღმდეგ მოემართა.

თუ აღწერილ ამბავს და მის ილიასეულ განმარტებას იურიდიული მხრით შევაფასებთ, ნათელი გახდება, რომ აქ ჩანს არა მებატონე ილია ჭავჭავაძე, არა-

მედ იურიდიული ურთიერთობების მონაწილე ილია ჭავჭავაძე. მიწის
ების გამო გლახსა და ილიას შორის წარმოშობილი ურთიერთობა წმინდა სა-
მოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა იყო, ხოლო ძნის მოტანის ვალდებუ-
ლება და მასთან დაკავშირებული სხვა დეტალები, ამ ურთიერთობის ერთ-ერთი
შემადგენელი ნაწილი გახლდათ. გლეხი თავისი ნებით მიდიოდა ილიასთან და
დებდა ხელშეკრულებას მიწის დასამუშავებლად. ილიაც თავის პირობას სთა-
ვაზობდა. გლახს წინასწარ ჰქონდა გამოცხადებული, რომ მოურავის ბარათის
გარეშე ძნას არ მიიღებდა. თუ გლეხი ამ პირობას დაარღვევდა, ილიაც წინასწარ
დადგენილ სანქციას გამოიყენებდა და ძნას უკანვე გააბრუნებდა ყანაში. რატომ
უნდა ჩაითვალოს ილიას ქცევა მებატონის სისასტიკედ და არა ადამიანის მიერ
თავისი უფლების გამოყენება!

ვთქვათ, „მოგზაურის“ კორესპონდენტს ანდა ფ. მახარაძეს, რომელიც ილი-
ას „ნუთუს?“ ასევე საშინელი პასკვილით გამოეხმაურა, დასჭირვებოდა ბინის
რემონტი, დაეჭირავებინა ხელოსნები და მიეცა შეკვეთა, რომ საძილე ოთახი
შეეღებათ მწვანედ. მაგრამ ხელოსნებს რაღაც მიზეზით პირობა დაერღვიათ და
მითითებული ოთახის კედლები ყვითლად შეეღებათ. ფ. მახარაძეს, როგორც
სოციალისტს და ჰუმანურ პიროვნებას, შეეძლო ალბათ ამისთვის ყურადღება არ
მიექცია. მაგრამ თუ ის მაინცდამაინც მოიწადინებდა, რომ საძილე ოთახი მწვა-
ნედ ყოფილიყო შეღებილი და ხელოსნებს პირობის შესრულებას მოსთხოვდა,
გაუგებარია, რატომ უნდა ჩაგვეთვალოს მისი საქციელი სისასტიკედ და ხელოს-
ნების ჩაგვრად?!

„აშკარაა, ან ხელახლად ჩემი მუქარა უნდა ამესრულებინა, — ამბობს
ილია — რომ წესი წესად დარჩენილიყო, ან წესზე ხელი ამეღო, რადგანაც მა-
გალითი ამისთანა შემთხვევაში მოარულ ჭირზე უფრო ადვილად გადამდებია.
რა თქმა უნდა, პირველი ღონისძიება ვირჩიე: გლახს მუქარა ავუსრულე, უკან-
ვე დაეაბრუნე — მინამ ბარათს არ მომიტან, ძნას არ მივიღებ მეთქი“.

სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით თუ მივედგებით, ილიას სრუ-
ლი უფლება ჰქონდა აღესრულებინა მუქარა, რადგან გლახმა, როგორც სამო-
ქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ, დაარღვია ხელშეკრულე-
ბის პირობა, რისთვისაც მეორე მხარეს, ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს, შე-
ეძლო შესაბამისი სანქციის გამოყენება (ძნის უკან გაბრუნება).

ეს მსჯელობა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ილიამ, როგორც პროფე-
სიონალმა სამართალმცოდნემ, კარგად იცოდა სასჯელის აუციულობის პრინ-
ციპის მნიშვნელობა. დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასჯელის სიმკაც-
რეს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც აქვს ამ სასჯელის რეალურად
განხორციელებას. არცერთი დანაშაულებრივი გამოვლინება არ უნდა დარჩეს
რეაგირების გარეშე, არცერთი დამნაშავე არ უნდა დაუძვრეს ხელიდან მართ-
ლმსაჯულებას, თუ გვინდა, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ამ საზოგადოებრივ
ზოროტებას. ან „ჩემი მუქარა უნდა ამესრულებინა, რომ წესი წესად დარჩე-
ნილიყო. — წერს ილია, — ან წესზე ხელი უნდა ამეღო“. მას კარგად ესმო-
და, რომ საკმარისი იყო ერთი შემთხვევაც კი დაეტოვებინა უყურადღებოდ და
ძნის მომტანი, რომელიც მოურავის ბარათის გარეშე მოუფიქროდა, უკანვე არ
გაებრუნებინა ყანაში, დადგენილ წესს ველარ დაიცავდა. ამიტომ ამბობს ის, რომ
„მაგალითი ამისთანა შემთხვევაში მოარულ ჭირზე უფრო გადამდებია“. ერთი
სიტყვით, ილიას მსჯელობა სავსებით დასაბუთებულია და საკმარისი სისრულით
ავლენს ეურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენტის ცილისმწამებლურ ხასიათს.

მეორე ბრალდება „მოგზაურის“ კორესპონდენტისა ილია ჭავჭავაძის მართ ის იყო, თითქოს ილიას ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობისათვის ჯარი ეთხოვოს გლეხთა „ბუნტის ჩასაქრობად“. ილია ამ ბრალდებას კორესპონდენტის მორიგ „თალითობად“ და „მოუხრადებელ ტყუილად“ თვლიდა.

როცა საგურამოდის გლეხთა მოძრაობას მოუღწევია, ილია ამ დროს თბილისში ყოფილა, ავად გამხდარა და სოფელში ველარ წასულა. ამასობაში მისთვის უცნობებიათ, რომ სახლიდან მოჯამაგირეები, მწყემსები და სხვანი სულ შეგვიშინეს და გავგირეკესო. ამდენი სული საქონელი უპატრონოდ და მომვლელის გარეშე დავგრჩა, თანაც ტყეს შეესივნენ და სჩეხნო.

პირველ ხანებში ილიას ყური მოუყრუებია და არავითარი ზომები არ მიუღია, იმედი ჰქონია, რომ გლეხკაცობა მას მაინც არ გაიმეტებდა. მაგრამ, როცა შეუტყვია, რომ სასახლეში მხოლოდ მოურავი, მისი ცოლი და მეფუტკრე დარჩენილან და ისინიც წასვლას აპირებდნენ. თბილისიდან ახალი მოჯამაგირეები მიუშველებია მათთვის. „მაგრამ გლეხკაცებს ესენიც დაეშინებინათ და გამოერეკნათ. აქეთ მოვდეგ, იქით მივდეგ და კაცი ველარ ვიშოვე მოჯამაგირედ გლეხკაცობის და ამ არეულობის შიშით“ — ამბობს ილია.

ბოლოს იგი იძულებული გამხდარა მაზრის უფროსისათვის დეპეშით დაეხმარება ეთხოვა. მასაც არ დაუყოვნებია და სამი „სტრაჟნიკი“ გაუგზავნია — „სასახლეს და კარ-მიდამოს უპატრონეთო“. სამივე „სტრაჟნიკი“ ილიას თავის სახლში დაუყენებია, თვითონ აჭმევდა, თვითონ ასმევდა, როგორც ამბობს, და ცხენებსაც თვითონ უნახავდა. „(არც) ერთი იმათგანი, — განაგრძობს ილია — სოფელს არც-კი მიჰკარებია, არც ერთ მათგანს გლეხკაცის წკირისათვის ხელი არ უხლია, როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, „სტრაჟნიკები“ მაშინვე დავეითხოვე“.

როგორც ჩანს, ეს ამბავი გააზვიადა „მოგზაურის“ კორესპონდენტმა და როგორც ხატოვნად ამბობს ილია, „ბუზს აქლემი ამობინა თავის ახირებულ ხურვილისამებრ“, თითქოს მას ჯარი მოეთხოვოს გურამიანთკარში ჩასაყენებლად. ილია პირდაპირ აცხადებს, რომ ჯარი „არც მოთხოვია და არც მოვითხოვე“ თუ გლეხებს არ მომისევნენ და არ მაიძულებენ „მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხკაცობას მტრულად დავხვედ“.

აქაც ილია თავის პროფესიულ ცოდნას იყენებს და მკითხველს ახსენებს იმ განუსხვინებელ უფლებას თავდაცვისას, რომელიც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში ჰქონდა და აქვს მინიჭებული ნებისმიერ ადამიანს ბუნებისაგან, თავადი იქნება ის, თუ გლეხი. „ეს უფლება თავის გადარჩენისა — დასძენს ილია — ბუნებამ ყოველ თვითულ ცალკე ჭიალუასაც კი მიანიჭა, და ნუთუ მარტო ჩემთვის ღმერთმა არ გამოიმეტა...“

გარდა ამისა, ჯარის მოწვევა-არმოწვევის საკითხი არ არის დაკავშირებული გლეხკაცობის სიყვარულთან თუ სიძულვილთან. ბევრს ჯარის მოწვევა ერთადერთ ღონისძიებად მიაჩნია, რომ აზგირთებულმა და აბობოქრებულმა გლეხკაცობამ რაიმე ძალმომრეობა არ ჩაიდინოს, „რადგანაც მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწალბულ გლეხკაცობას“.

ილიას აზრით, ამასაც რომ თავი დაეანებოთ, „კაცთმოყვარეობა“ და „სულგრძელობაც“ რომ არ მივიღოთ მხედველობაში, „პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყენარებად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება“.

ამის შემდეგ ილია იწყებს ბრალდების სიყალბის დასაბუთებას. თუ მე მთავრობას ჯარი ვთხოვე — ამბობს ის — ამ თხოვნას კვალი სადმე ხომ არ დადარჩენოდა ან მაზრის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარმართებლის კანცელარიაში. ისეთი სერიოზული საქმე, როგორც ჯარის თხოვა და სოფელში ჩაყენებაა, განა შეიძლებოდა ისე, რომ „მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შიგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი?“

რამდენიც არ უნდა ეძებოს „მოგზაურის“ კორესპონდენტმა, — განავრცობს ილია — ჩემი სახელის ხსენების ვერავითარ კვალს ვერ მიაგნებს „საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში“. მე არავითარი თხოვნა არც ზეპირი, არც წერილობითი ამ საკითხზე არავისთვის გამიგზავნია და, თუ საჭირო ვახდებ, „ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენო“. სხვა რაღა უნდა ეთქვა მართალ კაცს ისეთ უსაბუთო ბრალდებაზე, რომელიც „მოგზაურის“ კორესპონდენტს ილიასათვის წაუყენებია!

ილია დამატებით მაინც კიდევ ერთ არგუმენტს იშველიებს ამ ბრალდების უკუსაგდებად. რატომ მოხდა, რომ ჯარი, რომელიც საგურამოში იყო ჩაყენებული, სამი თუ ოთხი დღის შემდეგ უკან გამობრუნდა, თუმცა გლეხკაცობა ჯერ კიდევ არ იყო დაწყნარებული. თუ მე ჯარის გაგზავნა შეეძლო, რატომ ვერ შეგძლებდი იმის დატოვებას იმ დრომდე, ვიდრე აბოთქრებული სოფელი ბოლომდე დაშოშმინდებოდაო, — სამართლიანად შენიშნავდა იგი.

მესამე ბრალდება ილიას მიმართ ის ყოფილა, რომ, თურმე ნუ იტყვიო, არც „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ და არც მისი ქვისლი გივი სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევდნენ „ზეზე სადგომის აგებასაო“. „ზეზე სადგომი“ მიწის ზევით აშენებულ სახლს ნიშნავდა, ვინაიდან გლეხობა მაშინ თურმე ჯერ კიდევ ცხოვრობდა მიწურებში. ამაზე ილია აცხადებს, რომ, „სტაროსელსკისა არ ვიცი“, მაგრამ „საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ სააბეკუნოშია“. ამიტომ რა უფლება მაქვს სხვის მიწაზე „ან დავეშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს“. ილია ხანიმუშოდ მიუთითებს სოფელ წიწამურს, რომელიც „სააბეკუნო ადგილშია“ და საგურამოში შემავალ სოფელს მიეკუთვნება, სადაც ბევრი სახლია მიწის ზევით აშენებული. ესეც რომ არ იყოს, საბძლები, სასიმინდეები და სხვა ნაგებობანი „ყველგან ზეზეურადა დგას და, თუ ამათს ზეზეურობას წინ არავინ უდგა, სახლების ზეზეურად დგმას რაღა ჭკუაა წინააღუდგეს“. ერთი სიტყვით, ამკარაა, ეს ბრალდებაც ისევე შეთითხნილი და მონაჭორი ვახლდათ, როგორც იყო სხვა ბრალდებები ილიას მიმართ.

დაგვრჩა განსახილველი მეოთხე და უკანასკნელი ბრალდება, რომელიც „მოგზაურის“ კორესპონდენტის მიერ მწერლის წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებათა შორის, თვითონ ილიასვე სიტყვით რომ ვთქვათ, არის „ყველაზე მეტად შემადრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცის კვლამდეა გაჭიმული“.

მაგრამ „შეუწყნარებლობა და საშინელება“ ამ ბრალდებისა კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ ეს სწორედ ის ბრალდებაა, რომელიც ჩვენდასამწუხაროდ და სამარცხვინოდ ხალხის მახსოვრობამ აქამდე შემოინახა, რომელიც ილიას წმინდა შუბლს ღდემდე ზედმეტ ლაქად აზის და დიდი ხანია, რაც ჩვენც ვე ხელით ჩამორეცხვას ელოდება. ოფიციალური იდეოლოგიის მიერ ილია დიდი ხანია რეაბილიტირებული და გამართლებულია, ქართულმა ეკლესიამ იგი

წმინდანადაც კი აღიარა, მაგრამ დღემდე არ არსებობს რაიმე ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც ხალხის ფართო ფენებისთვის მისაწვდომი სახით „მოგზაურის“ კორესპონდენტის პასკვილი იყოს დაგეგმილი და ილიას პიროვნებას კონკრეტულად ამ პასკვილით დაწამებული ცილი ჰქონდეს მოხსნილი. გამოდის ილიას წიგნები, იწერება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი უამრავი ნაშრომი, ტარდება ილიასადმი მიძღვნილი ოფიციალური იუბილეები და სხვა ღონისძიებები, მაგრამ იურიდიულად დასაბუთებული ნაშრომი, რომელშიც დაწვრილებით, ყველასთვის გასაგებად და პირუთვნელად იქნებოდა განხილული „მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი და ილიას პასუხი მასზე, დღემდე არ გაგვაჩნია. აი, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დღესაც ბევრს სჯერა „მოგზაურის“ კორესპონდენტის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეთითხნილი ბრალდება, თითქოს ილია ისე სასტიკი იყო, რომ გლეხებს წყალს არ აძლევდა.

ეს ბრალდება იმით იწყება, რომ კორესპონდენტისთვის ერთ გურამიანთ-კარელ გლეხს უთქვამს, თითქოს „ამ ზამთარს დიდი ყინვებისაგან სოფლის სასძელი წყალი გაიყინა ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო“. ეს ბრალდების პირველი ნაწილია, ილიაც თავიდან ამ ბრალდების სიყალბეს ავლენს. „აქ მოწმედ მომყავს — წერს ილია — იმისთანა უტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა და თვალად დასაანახავი გარემოება“. უთუოდ დამაფიქრებელია და ყურადღება მისაქცევი ის გარემოება, თუ რა უტყუარ მოწმობაზეა ლაპარაკი და რა შუაშია ბუნება. ამიტომ, თუ მკითხველი არ დაიზარებს და ილიას მომდევნო მსჯელობას გულისყურით თვალს მიადევნებს, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

როგორც ილია ამბობს, სოფელს თეძამის წყალი ჩამოუდის, ესეც არ იყოს, გურამიანთკარში არის კარგა მოზრდილი წყარო. მართალია, თუძამის წყალი გაშლილ ველზე მოდის და ზამთრობით იყინება ხოლმე, მაგრამ „გურამიანთკარის წყარო კი თავის დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არასდროს არც გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ ბუნება წყაროს წყლისა“ (ხაზგასმა ჩემია, თ. გ.).

გვიქრობ, სრულიად გასაგებია, რატომ მოუხმო მწერალმა ბუნებას მოწმედ. ბუნებამ ამხილა „მოგზაურის“ კორესპონდენტი ისე უტყუარად, რომ ეჭვის ნატამალიც კი აღარ რჩება მისი დებულების სიყალბეში. თუ გურამიანთკარში, როგორც კორესპონდენტი გვიმტკიცებს, წყალი გაიყინა და სოფელი მთლად „უწყლოდ დარჩა“, რა ვუყოთ იმ უტყუარ ფაქტს, რომ სოფელში არის წყარო, ხოლო წყაროს გაყინვა ჯერ არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს, რადგან ასეთია მისი ბუნება.

ჩავეყვით ბრალდებას ქვემოთ. კორესპონდენტმა, თავისი მოკლე ჭკუით, გურამიანთკარში წყარო იმიტომ გაყინა, რომ როგორმე გაემართლებინა გლეხების ასვლა ილიას მამულში წყლის წამოსაღებად. მაგრამ ამისათვის მას იქ ჯერ წყაროს არსებობა უნდა დაესაბუთებინა. ამიტომ წერს: „სოფელ ზევით სამ ვერსტზე, ტყეში, მიუვალ ლელეში, ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება“, აქამდე ვიცოდით, რომ ბუნებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც ადამიანის ნებას არ ემორჩილებიან. ახლა ისიც გაირკვა, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტს თურმე ისეთი ძალა ჰქონია, რომ შესძლებია თავის ნებაზე აემოქმედებინა ბუნების კანონები. სხვა რა ვთქვათ აბა იმაზე, როცა კორესპონდენტის მიხედვით, გურამიანთკარში წყარო იყინებოდა,

ხოლო ილიას მამულში არ იყენებოდა. მაგრამ შიგნით ისევ ილიას მამულში იყენებოდა.

„ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილიაო“, აცხადებს იგი. დიდი მადლობელი ვიქნები — განაგრძობს ილია — თუ „ჩვენი ცრუპენტელა მამუზღარი“ სოფლის ზევით „სამი ვერსტის მანძილზე“ ჩემი ტყის „მიუვალ ღელეში“ ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კოკა მიდგმით აივსებოდეს, ან როგორმე, და იქვე, რაცა გამოჟონავს, ახლო მანძილზე სიპატარაობით არ იკარგებოდეს“. აქვე ილია იმასაც ამბობს, რომ ჩემს ეზოში სხვისი მამულიდან მაქვს გამოყვანილი სასმელი წყალიო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, „გურამიანთკარს ზემოთ ტყე სტაროსელსკისაა და არა ჩვენი: ჩვენს ტყესა და გურამიანთკარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინდორი და ვენახებია კარგა მანძილზე“.

მართლაც, წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ მთელი სოფელი შიდის წყლის ჩამოსატანად სოფლიდან „სამ ვერსტზე“, „მიუვალ ღელეში“ არსებულ პატარა წყაროსთან და თანაც საქონელსაც იქ არწყულებენ. კორესპონდენტის მტკიცებით, მთელი სოფლის საქონელი თურმე იქ დაჰყავდათ წყლის დასაღვებად, რაც, ცხადია, დაუჯერებელია. როგორც ვნახეთ, ილიამ ზემოთ ბუნება დაიმოწმა და ადვილად დაამტკიცა კორესპონდენტის მონათხრობის სიყალბე, თითქოს გურამიანთკარში წყარო გაყინულიყოს. მე რომ მკითხოს კაცმა, მარტო ესეც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ ილიას მიერ გლეხებისათვის წყლის აკრძალვის უბადაღებული ბრალდება, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, დღესაც გავრცელებულია ხალხში, სრული სიყალბეა და კორესპონდენტის მიერ არის შეთითხნილი. მაგრამ ილიას თავის გასამართლებლად ამ საბუთის გვერდით სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და სერიოზული საბუთებიც მოეპოვება. რომლებიც კიდევ უფრო აშიშვლებენ კორესპონდენტის განზრახვის-მზაკვრულ და ვერაგულ ხასიათს.

რა საჭიროებას წარმოადგენდა ტყეში, „მიუვალ ღელეში“ საქონლის არეკვა წყლის დასაღვებად, მაშინ, როცა შიგ სოფელში, ზედ „ცხვირწინ“ მშვენიერი და საკმაო წყარო აქვთ საქონლის სასმელადაც და თავიანთისაც“, წერს ილია. ეს ერთი. მეორეც, ის, რომ „ვერსტნახევარზე თუ ორს ვერსტზე გურამიანთკარს“ მთელი არაგვი ჩამოუდის, რომელიც ჩქარი მდინარეა და არასდროს არ აყინება მთელ რიგზე ისე, რომ საქონლისათვის სასმელად გამოუყვადებარი ხდებოდეს; თუ მაინც გაიყინა არაგვი, ყინული ისე თხელია, რომ მისი ჩამტვრევა და იქიდან წყლის ამოღება ადვილი საქმეა, საქონლისთვისაც ადვილია აქედან წყლის დაღევა.

ესეც რომ არ იყოს, „არაგვსა და გურამიანთკარს შუა“ ერთი დიდი ფშა ჩამოდის, რომელიც წისქვილს აბრუნებს ზამთარ-ზაფხულს, რადგანაც თავისი ბუნების გამო ფშის წყალი „არასოდეს არ იყინებო“. ამ წყლებისაკენ უფრო ფართო და მოკლე გზა შიდის, „ვიდრე ჩემის ტყის მიუვალ ღელისაკენო“, დასცენს ილია.

იმისათვის რომ მკითხველის მეტი აღშფოთება გამოეწვია ილიას მიმართ, კორესპონდენტი არ დაკმაყოფილდა მარტო იმის დაწამებით, თითქოს მწერალი თავის მამულიდან გლეხებს წყლით სარგებლობას უკრძალავდა. მან ამ ბრალდებას კიდევ ერთი, ახალი, ცილისმწამებლური ეპიზოდიც მიუმატა, რომელიც მაშინ „წყლების გაყინვას და ამის გამო გურამიანთკარის უწყლოდ დარჩენას მოჰყოლია ვითომ“. აი, როგორ გადმოსცემს კორესპონდენტი ამ ამბის შინაარსს ვითომდა გურამიანთკარელი გლეხების მონათხრობის მიხედვით:

„ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ლატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ — თარგებებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავის ცოლ-შვილით. ერთს დღეს ამ კაცს აწვეს ორი კოკა, გადაეკიდნა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა. — რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო... — თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ. მე-კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდამ ავლანტალდი და, ხომ იცი, სულ ავად ვარო...“ „შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო“ — და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივე სახეს კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსაო“.

ახლა მოვეუსმინოთ ილიას. გულდასმით შევამოწმოთ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რამდენად დასაბუთებულია ბრალდება. მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდეთ, გავიხსენოთ ზემოთ ნათქვამი, რომ გურამიანთკარში არ შეიძლებოდა წყალი გაყინულიყო, რადგან სასმელ წყლად გამოიყენებოდა წყარო. წყარო კი ბუნების კანონების მიხედვით არასდროს არ იყინება. მაგრამ კიდევ რომ ასე მომხდარიყო და ბუნების საწინააღმდეგოდ წყარო მაინცდამაინც გაყინულიყო, ილიას სიტყვით, არსებობდა სხვა საშუალებებიც (არაგვის წყალი, ფშა), რომლებიც შესაძლებლობას აძლევდა სოფლის მოსახლეობას სრულად დაექმყოფილებიზა წყლის მოთხოვნილება და არ დაჰკირვებოდა უფრო შორს და რთულ პირობებში ილიას მამულში წყლის ჩამოსატანად წასვლა, თუ აქ ნათქვამს გავითვალისწინებთ, მაშინ იმ „ძალზე ლატაკი“ და ავადმყოფი გლეხის ილიას მამულში წყლის ჩამოსატანად წასვლა და მთელი ის ისტორიაც, რაც შემდეგ კორესპონდენტის თქმით, ამ ამბავს მოჰყვა, თავისთავად უკვე სრული სიყალბე ყოფილა და მას არავითარი სხვა დამატებითი მტკიცებულებები აღარ უნდა სჭირდებოდეს. მიუხედავად ამისა, ილიას მაინც მოაქვს ახალი საბუთები, რომლებიც კორესპონდენტის ნათქვამის სიყალბეს კიდევ უფრო მეტად ააშკარავებს.

ილიას თქმით, როგორ დავიჯეროთ, რომ კაცს, რომელიც ახალი ნაავადმყოფარია, და ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ადგა, სუსხიან ზამთარში „ორი კოკა სოფელ ზევით, მთაში, სამას ვერსტზე, მიუვალ ღელეში, პატარა წყაროზე მიეტანოს“ და შემდეგ სახეს კოკები თავის ზურგით ჩამოეტანოს სოფელში. „ორი სახეს წყლით კოკა — სამართლიანად კითხულობს ილია — ჯერ სახედრისა და ცხენისათვისაც მძიმე სატარებელია და ნაავადმყოფარი, სწეული კაცი როგორ უნდა მორეოდა?“

კორესპონდენტს ეს ულოგიკობა, რასაკვირველია, ნაკლებად აწუხებდა. ის უფრო იმას ცდილობდა, რომ ერთი ტყუილისათვის კიდევ ახალი ტყუილი მიემატებინა და, რაც შეიძლება, გაებერა და გაეზვიადებინა ბრალდება, რათა ილიას ღირსება სულ უფრო დაემცირებინა ხალხის თვალში. ეს ახალი ტყუილი ის არის, თითქოს მოურავის მიერ გლეხის ზურგზე კოკების მტვრევას ილია ჭავჭავაძე „ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურჭში გახვეული უყურებდა... გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულს მოურავსაო“.

ილია ამაზე შენიშნავს, რომ ეს ოთხასმანეთიანი ქურჭი კორესპონდენტმა ალბათ იმიტომ წამომახურა მხრებზე, რათა „სამინელი უსამართლობა დაენახვებინა ქვეყნისათვის, აქაო და ერთის მხრით, ორმოცთუმიანი ქურჭში გახვეული გაბღინძული თავადია და მეორეს მხრივ ნახევრადშიშველი საცოდავი გლეხი“.

რაც შეეხება იმ ამბავს, თითქოს ილია თავისი სახლის აივნიდან გზაზე,

გლეხის კოკის მსხვერვის სცენას უყურებდა, ესეც კორესპონდენტის მორიგი ცილისწამება გახლავთ. „მობრძანდეს, — ამბობდა ილია კორესპონდენტის ქვეყნის მართით — ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოცთუმნაანი კი არა, თუნდ ასობით ანი ქურქი წამოიხსას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყვიდან გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი“.

კორესპონდენტმა ილიას ესეც არ აკმარა და „კოკების მტკრების“ ამბავს კიდევ ერთი, ფრიად აღმამფოთებელი ეპიზოდიც მოაყოლა: „უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა აქაც კერა ვაციებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლე“.

ილიას მონაწილეობა ამ საქმეში, თუკი კორესპონდენტს დაუფურცებთ, ის ყოფილა, რომ მისი წაქეზებით მოურავმა გლეხს კოკები ტანზე შეამტვრია, კოკებიდან ჩამოღვრილმა წყალმა გლეხი მთლიანად დაასველა, გააცივა, რამაც საბოლოოდ მოუსწრაფა კიდევ მას სიცოცხლე.

ილია ამის გამო აღშფოთებული აცხადებს, რომ „ეს გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა!...“


ილიას გადაუწყვეტია, შეემოწმებინა ეს საკითხი და დაედგინა, მართლა მოკვდა თუ არა იმ ზამთარს გლეხი გურამიანთკარში. ამ მიზნით მას კაცი გაუგზავნია სოფლიდან მღვდელთან შესაბამისი შეკითხვით. გურამიანთკარის მღვდელს მწერლისათვის წერილობით უცნობებია შემდეგი: „შარშან პირველ დეკემბრიდან წლევიანდელ პირველ აპრილამდე მამაკაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა“.

ამყამად დაბადებისა და გარდაცვალების გამო ჩანაწერებს აკეთებენ მმაცის ორგანოები. იმ დროს ამ ფუნქციას მღვდელი ასრულებდა. ამიტომ ილიას საბუთი იურიდიულად სრულიად სარწმუნოა. სხვა რაიმე საშუალება ამ საკითხის შემოწმებისა მაშინ არ არსებობდა. ასე რომ, წყლის აკრძალვასთან დაკავშირებული ბრალდების ეს ბოლო ეპიზოდიც ყალბი და ცილისმწამებლური აღმოჩნდა.

* * *

მე შევეცადე, რაც შეიძლება დაწვრილებით და გულდასმით განმეხილა ილია ჭავჭავაძის პასუხი ჟურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენტის ცილისმწამებლურ გამოხდომასზე. ახლა დამატებით ისიც უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ ილიას პასუხი რომ დაიბეჭდა, მას კვლავ უპასუხა „მოგზაურის“ კორესპონდენტმა, ხოლო შემდეგ ამავე ჟურნალის ფურცლებზე „ნუთუს?“ საშინელი პასუხილით გამოეხმაურა აგრეთვე ფ. მახარაძეც. მაგრამ ეს პასუხები ილიას მიმართ კიდევ უფრო ცილისმწამებლურია და უშვერი ლანძღვა-გინებაა დიდი მწერლისა. ესეც არ იყოს, აღნიშნული პასუხები ძალზე უსუსურია და მათზე სერიოზული მსჯელობა არც კი ღირს. საგულისხმოა, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძესაც ეტყობა, ამ მიზეზის გამო, პოლემიკა ამ საგანზე აღარ გაუგრძელებია.

ახლა მკითხველს მინდა მივმართო თხოვნით: კარგად გაიაზროს და შეაჯამოს ზემოთ წაკითხული და ყურადღება მიაქციოს ერთ საკითხს: თუ მას დღემდე სჯეროდა, რომ ილია გლეხებს თავის მამულიდან წყლით სარგებლობას უკ-



რძალავდა, ახლა იფიქროს იმაზედაც, თუ როგორ ასაბუთებდა ამას ცილისმწაველებელი კორესპონდენტი და როგორ პასუხობდა მას ილია ჭავჭავაძე კორესპონდენტი, იმისათვის, რათა გლეხი ილიას მამულში აეყვანა წყლის წამოსაღებად, იძულებული იყო ეთქვა, რომ გურამიანთქარში იმ ზამთარს წყალი გაიყინა. ილიამ ამაზე, როგორც ვნახეთ, უპასუხა, რომ სოფელში იყო წყარო, რომელიც ბუნების კანონის ძალით არასოდეს იყინება. ვარდა ამისა, იქვე ჩამოდის ფშა, რომელიც ასევე არ იყინება და არაგვი, რომელიც ზამთრობითაც გამოსაყენებელია სასმელად. აქედან უტყუარად მტკიცდება, რომ გლეხს ილიას მამულში წყლის ასაღებად წასვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჭირვებოდა. ამიტომ ეს ამბავი კორესპონდენტმა განზრახ შეითხზა, რათა ილიასათვის ხალხის თვალში სახელი გაეტეხა.

ზოგიერთ მკითხველს შეიძლება არც სჯერა თითქოს ილია გლეხებს წყალს უკრძალავდა, მაგრამ გაგებულნი აქვს, რომ დიდ მწერალს ერთ დროს ასეთი ბრალდება წაუყენეს. მისთვის იმის გაგებას, თუ როგორ იმართლებდა თავს ილია ჭავჭავაძე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ამის საფუძველზე, ვფიქრობ, ყოველი კეთილსინდისიერი და გონიერი მკითხველი თავის მერყევ პოზიციას უთუოდ შეიცვლის და საბოლოოდ დარწმუნდება მწერლის სიმართლეში.

ვიდრე ამ საგანზე მსჯელობას დავასრულებდე, ნათქვამს კიდევ ერთი ახალი მოსაზრებაც მინდა დაეუმატო. როგორც ზემოთ ვთქვეთ, ილია ჭავჭავაძის პასუხს „მოგზაურის“ კორესპონდენტი ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამოეპასუხა (იხ. „მოგზაური“, 1905, № 18). აქვე დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ნუთუს?“ განმაქიქებელი პასკვილი ფ. მახარაძემაც (№№ 18, 19).

მართალია, მკითხველს შეეპირდი, რომ ამ პასუხებს საერთოდ არ შეეეხებოდი, ნაწილობრივ მაინც მინდა უარი ვთქვა ამ შეპირებაზე და მოკლედ გავაცნო მას, თუ როგორ პასუხობენ მოწინააღმდეგენი ილიას თავის მართლებას გლეხებისათვის წყლის აკრძალვის ბრალდების გამო.

ფ. მახარაძე ამ ეპიზოდს საერთოდ გვერდს უვლის და სრულიად არაფერს ამბობს მასზე. როგორც ჩანს, მისთვისაც კი იმდენად აშკარა გამხდარა ამ ბრალდების სიყალბე და იმდენად დასაბუთებულად მიუჩნევია ილიას პასუხი, რომ საწინააღმდეგოდ უბრალო სიტყვის თქმაც კი ზედმეტად და წამგებიანად ჩაითვლია თავის პასკვილში.

რაც შეეხება თვითონ კორესპონდენტს, მას ილიას თავის მართლება ამ ბრალდების გამო უპასუხოდ არ დაუტოვებია, მაგრამ ისეთი მიკიბულ-მოკიბული პასუხი გაუცია, რომ მკითხველისათვის აქაც აშკარაა ამ ბრალდების სრული სიყალბე და ცილისმწამებლური ხასიათი. აი, ეს პასუხიც:

„აი წყლის აკრძალვასაც ასე ხსნის თავისებურათ, რადგანაც ჩვენ პატარა შეცდომა შეგვეპარა და ახალსოფლის მაგივრათ ს. გურამიანთქარი დაეწერეთ. ამას იხვევს ილია ხელზე და წყლის მდგომარეობაზე და მანძილზე გვითითებს: „თუმცა თეძამის წყალი იყინებაო“, გვეთანხმება ილია. ს. გურამიანთქარის პაწაწინა წყარო ხომ არ იყინება და ხუთს სოფელს ამ წყაროზე უთითებს. ან კიდევ „ფშანი და არაგვი ხომ ახლოა ვიდრე კორესპონდენტის მიერ მიუვალ ტყის წყაროს წყალიო“. ახლა მე ვასწავლი ილიას იმ ადგილს. სადაც ჩემ მიერ დასახელებული წყარო გამოდის და გავზომოთ ახალსოფლიდან იმ ჩემ მიერ დასახელებულ ტყის წყარომდე და ანუ სოფელ გურამიანთქარის წყარომდე (არ ვიტყვი ფშას და არაგვს, რადგანაც ესენი კიდევ უფრო შორს არიან) ან ეს

ერთი ბეწო გურამიანთკარის წყარო რას ეყოფა ხუთს სოფელს ან იქნება გვი-
სტაროსელსკი ქეიფზედ არ არის (იმან ხომ ხშირად იცის ეს) და არ მიუშვას
როზე. ანუ ზევიდან ქვევით სამსე კოკების ზიდვა უფრო ადვილია, თუ ვეწო-
დან ზევით და მერე ისეთ ჯოჯოხეთ გზაზე, როგორც გურამიანთკარიდან ახალ-
სოფლამდე (ა) ზამთარში“ (იხ. „მოგზაური“, 1905, № 18).


ეს არის და ეს. ასეთია კორესპონდენტის პასუხი ილიას თავის მართლება-
ზე. მაპატიოს მკითხველმა იმის გამო, რომ ასეთი ვრცელი და ასეთი უსიამოვნო
ამონაწერით კორესპონდენტის პასუხიდან გადავლალე მისი გონება, მაგრამ მკი-
თხველი ალბათ გამიგებს. მე ეს იმიტომ გავაკეთე, რომ უფრო ნათლად გამო-
ჩენილიყო ილიას სიმართლე, რომ მას თვალნათლივ დაენახა, რომ ილიას თა-
ვის მართლება სრულიად სარწმუნო და დამაჯერებელი გახლდათ.

მართლაც, დაკვირდით მოტანილ ტექსტს; თუ იქიდან თქვენ რაიმე აზრს
გამოიტანთ. რა შუაშია აქ ის ამბავი, რომ კორესპონდენტს შეცდომა მოსვლია
და „ახალსოფლის მაგივრათ გურამიანთკარი“ დაუწერია. რა კავშირი აქვს ამ
შეცდომას წყლის გაყინვის ამბავთან. თუ კი ამ ციტატას დავაკვირდებით, შე-
იძლება ის აზრი გამოვიტანოთ, რომ კორესპონდენტი ახლა აღარ ამტკიცებს
გურამიანთკარში წყალი გაიყინაო. ის ახლა იმას უფრო ჯავრობს, იქნება სოფ-
ლის წყაროზე გლეხები არ მიუშვას გვი სტაროსელსკიმო.

კორესპონდენტი ამტკიცებს, თითქმის იგი ასწავლის ილიას იმ ადგილს,
სადაც მის მიერ მითითებული წყაროა, ლაპარაკობს მანძილის გაზომვაზე ამ წყა-
როდან ახალსოფლამდე, ახსენებს არაგვს, ილიას მიერ დასახელებულ ფშას და
სხვ. მაგრამ ძნელია ამ მსჯელობიდან, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანმა რაიმე
ნორმალური აზრი გამოიტანოს. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის სიმართლე ამ
ტრაგიკულ და უსიამოვნო პოლემიკაში იმდენად ამკარაა, რომ მასზე აქ კიდევ
საუბრის გაგრძელება, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტი უნდა იყოს.

მიუხედავად ამისა, მაინც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. საქმე ის არის,
რომ ილია ჭავჭავაძეს პოლემიკა გაუმართეს ყურნალ „მოგზაურის“ გარშემო შე-
ნოკრებილმა, სოციალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდებმა, რომლებიც ილიას
უსამართლობას უკიყინებდნენ, ხოლო თვითონ გლეხობის ქომაგებად და, მამასა-
დამე, სამართლიანობის დამცველებად მოჰქონდათ თავი. მაგრამ მართო ის ამბა-
ვიც კი, რომ ისინი აქტიურად უშლიდნენ ხელს ილიას საპასუხო წერილის გა-
მოკვეყნებას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ამკარად მოწმობს, თუ რამ-
დენად სამართლიანი იყო მათი ბრძოლა დიდი მწერლის წინააღმდეგ. განა სწო-
რია, ის რომ მხოლოდ შენ ილაპარაკო, მოწინააღმდეგე ლაფში ამოსვარო, ხო-
ლო მას ლაპარაკი აუკრძალო და ამით თავის დაცვის ელემენტარული უფლება
წაართვა?!


ესეც არ იყოს, თვითონ ამ სოციალისტებმა რომ საქართველოში შემდეგ
ბოროტება დანერგეს და ჩაიდინეს, მასთან შედარებით ილიას მიმართ წაყენე-
ბული ბრალდებები, კიდევ რომ დამტკიცებულიყო ამ ბრალდებათა უტყუა-
რობა და ჭეშმარიტება, დედის ნაწინად უნდა მოგვეჩვენოს. მართო იმის
შედარება რად ღირს, თუ რას უკიყინებდნენ ფილიპე მახარაძე და მისი თანა-
მოაზრენი ილია ჭავჭავაძეს გლეხებთან ურთიერთობის საკითხში და შემდეგ რა
შედგევი გამოიღო ჩვენში მიწის სოციალისტურმა რეფორმამ, რომელსაც ისინი
გადაგებდნენ (კულაკობის განადგურება, სოფლის კოლექტივიზაცია და სხვ.).



ილია ჭავჭავაძე, სიტყვით თუ საქმით, მთელი თავისი შეგნებულის სიღრმის მანძილზე, იბრძოდა სამართლებრივი ნიპილიზმის, ესე იგი სამართლის უგულვებელყოფის, მისი არად ჩაგდების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წარმოუდგენლად გამწვავდა მე-19 საუკუნის დასასრულიდან, როცა ჩვენში სულ უფრო ძლიერად იწყო გავრცელება სოციალისტურმა იდეებმა. ამ დროს განსაკუთრებით წარმატებით იკიდებდა ჩვენში ფეხს მარქსისტული მოძღვრება, რომელიც სამართლებრივი ნიპილიზმის უდიდესი წყარო იყო. საბოლოოდ სწორედ ამ სამართლებრივი ნიპილიზმთან პრინციპული შეჯახების შედეგი იყო ილია ჭავჭავაძის სიტოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ილია, მართალია, პირადად შეეჯახა სამართლებრივ ნიპილიზმს, მაგრამ ეს შეჯახება გამოწვეული იყო არა მისი წმინდა პირადული კონფლიქტით, არამედ იმდროინდელი უსაშველოდ გამწვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლით. ილია ჭავჭავაძე ამ ბრძოლის შუაგულში იდგა. მის მკვლევობასაც სწორედ ეს იდეოლოგიური და პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ამიტომ არის ილია ჭავჭავაძის მკვლევობა უდიდესი ტერორისტული აქტი, ხოლო, ეროვნული თვალსაზრისით თუ განვსჯით, ეს მოვლენა უდიდესი ეროვნული ტრაგედიაა.

ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ის პროფესიით იურისტი იყო, რამაც ღრმა კვალი დააჩნია ილიას მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებას. ილია ჭავჭავაძემ მთელი ეპოქა შექმნა ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიაში. მე-19 საუკუნეში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო, არ არსებობდა ქართული კანონმდებლობა, ქართლ ენაზე არ ხორციელდებოდა მართლმსაჯულება და, მამასადამე, ეროვნული იურიდიული აზროვნებაც, თუ მთლად შეწყვეტილი არა, საკმაოდ შეფერხებული ხომ მაინც იყო. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ილიას იურიდიული ნაწერები ხელს უწყობდნენ ქართველი ერის შეფერხებული იურიდიული აზროვნების განვითარებას, დღეისათვის მის იურიდიულ ნააზრევში ზოგიერთი რამ შეიძლება მოძველებულადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ, როგორც ყოველი ჭეშმარიტი და დიდი მოაზროვნის შემოქმედებაში, ილიას იურიდიულ ნააზრევშიც არის ისეთი მთავარი იდეა, რომელიც არასოდეს მოძველდება: ესაა დაუცხრომელი ბრძოლა სამართლებრივი ნიპილიზმის წინააღმდეგ. ამ იდეას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსათვის ვინაიდან, სამართლისადმი გულგრილი, ნიპილისტური დამოკიდებულება ძველი ინერციით კვლავ გრძელდება.



ადამიანი და ტოტალიტარული რეჟიმი

გერმანელი ფილოსოფოსი მაქს შელერი ამბობს: „ჯერ არასდროს ადამიანის ისტორიაში იგი არ გამხდარა ისე პრობლემატური საკუთარი თავისათვის, როგორც ჩვენს დროში“. ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე, მეოცე საუკუნემ დაადასტურა შელერის მოსაზრება, ხოლო ბოლშევიკების ბატონობის სამოცდაათწლიანმა პერიოდმა დააკონკრეტა პრობლემა და დაგვანახა, რომ არასდროს და არსად, ისე მძაფრად არ დამდგარა ადამიანის, პიროვნების საკითხი, როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ამგვარი სახელმწიფოს არსებობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს იგი ამ პრობლემის გადაჭრას. უპირველეს ყოვლისა, თვალში გვხვდება ის, რაც ზედაპირზე დევს. ეს არის უხეში ფიზიკური ძალა, რომელიც ემორჩილება კარგად ორგანიზებულ რეპრესიულ აპარატს, მაგრამ აქ არ შეიძლება უგულვებელყოთ ადევკატური საპასუხო რეაქციის შესაძლებლობა, თუკი ძალადობას პერმანენტული ხასიათი მიეცემა. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს არა ამ ძალის უშუალო გამოყენება, არამედ დემონსტრირება იმისა, რომ მას ყოველთვის გააჩნია ამის შესაძლებლობა. ეს საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რადგან სახელმწიფოსათვის მთავარია არა რაიმე კონკრეტული ქმედების დათრგუნვა, არამედ ყოველგვარი მოქმედების პროფილაქტიკა, თუკი ეს პროცესი მის მიერვე არ არის სანქცირებული.

ასე წარმოიშვება „ორი მხარე“. ერთი არის შესაძლო მოძალადე, ხოლო მეორე ძალადობის შესაძლო ობიექტი, რადგანაც არსებობს ორი მხარე—არსებობს მათ შორის ურთიერთობის რეგულირების აუცილებლობა. პრაქტიკულად წამოიჭრება ერთგვარი გარიგების მოთხოვნილება, რომლის მიხედვითაც ორივე მხარე ერთად და თითოეული ცალ-ცალკე კისრულობენ გარკვეულ ვალდებულებას — თავიანთი მოქმედება მოაქციონ განსაზღვრულ ფარგლებში, თუმცა ერთისათვის მანძილი A-დან B პუნქტამდე გაცილებით მეტ სივრცეს მოიცავს, ვიდრე მეორისათვის. ამ უკანასკნელისათვის მთავარია თავად გარიგებაში მონაწილეობის ფაქტი და არა მისი პირობები, აგრეთვე დაფიქსირება იმისა, რომ შეთანხმების პრინციპებს მეორე მხარეც ზუსტად იცავს, რათა ამით გაამართლოს თავისი მონაწილეობა ამ გარიგებაში. ტოტალიტარული სახელმწიფოს არსებობა ასეთი გარიგების გარეშე წარმოუდგენელია. უკ სემ-ლენის აზრით: „მოძალადეს შეუძლია თავს მოახვიოს მსხვერპლს საკუთარი ნება-სურვილი, აიძულოს მისდინოს მის კანონებს, მაგრამ მას არ შეუძლია აიძულოს მსხვერპლი შინაგანად გაიზიაროს ეს კანონები, სანამ თვითონ არ დაენორჩილება მათ“ („ძალადობიდან გამოსვლა“, გლობალური პრობლემები და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. მ; პროგრესი, რუს. ენაზე, 1990, გვ. 78). გარიგება პრაქტიკულად ხსნის ამგვარ პრობლემას და ყველა ის, ვინც მასში არ მონაწილეობს, აუცილებლად იქნება შეტევის ობიექტი, როგორც ერთი,




ისე მეორე მხრიდან. ამგვარად, წარმოიქმნება „უმცირესობის“ პროტაგონიზმი. გორც ტოტალიტარიზმის განუყოფელი ატრიბუტია. ეს უმცირესობა წარმოადგენს სახელმწიფოსათვის ძალადობის უმთავრეს ობიექტს. ამ დროს სახელმწიფო ახდენს ძალის დემონსტრირებას გარიგებაში მონაწილე მეორე მხარის წინაშე და რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი მოქმედებს ამ უკანასკნელის სახელითაც, რითაც ნაწილობრივ იხსნის პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ პასუხისმგებლობის გადაწილება ვერ კიდევ არ ნიშნავს დანაშაულის ტვირთის მიტანას, საჭიროა არსებობდეს რაღაც მოტივი, ზემოთცანა, რომლის მიღწევის აუცილებლობა ვაპართლებდა მის მისაღწევად გამოყენებულ ყველა საშუალებას. სწორედ ამ ზემოთცანის არსებობა, განსაზღვრავს სახელმწიფოს იდეოლოგიას. ეს უკანასკნელი კი ანიჭებს, თავის მხრივ სახელმწიფოს ტოტალიტარულ ხასიათს. ამრიგად, ტოტალიტარული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელია არა რეპრესიული აპარატის არსებობა (ასეთი რამ ყველა სახელმწიფოში არსებობს) და მისი მოქმედების ინტენსივობა, არამედ ესა თუ ის იდეოლოგია აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, აქედან გამომდინარე უმცირესობა, არა მარტო იმისათვის არის ძალადობის ობიექტი, რომ იგი უნარს ამბობს გარიგებაში მონაწილეობაზე, არამედ უფრო მეტად იმის გამო, რომ იგი სახელმწიფო იდეოლოგიის მიღმა დგას.

სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობა თავის მხრივ განაპირობებს „ზროვნების კოლექტიური ფორმის ჩამოყალიბებას, ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი ნორმის ფარგლებში, რაც განსაზღვრავს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ყველაფრისადმი, რაც იმ იდეოლოგიური ნორმატივის ფარგლებში არ თავსდება, თვით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ჩათვლით.

დიდი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი წერს: „ქეშმარიტების არსიყვარული განისაზღვრება არა მხოლოდ ნიჰილისტური დამოკიდებულებით მისდამი, არამედ მისი შეცვლით რაიმე რწმენითა და დოგმატური სწავლებით, რომლის გულისათვის დასაშვებია ტყუილი, რაც სიკეთედ ითვლება და არა ბოროტებად“ (ნ. ბერდიაევი, „სამეფო სულისა და სამეფო კეისრისა“, რუსეთის ბედი, მ., „სოვეტსკი პისატელი“, რუს. ენაზე, 1990, გვ. 224).


ცხადია, როცა ადამიანი ჩაყენებულია ამგვარ მდგომარეობაში, როცა სიყალბე ცხოვრების წესს წარმოადგენს, როცა წინასწარგანსაზღვრული და შეუუვალ ქეშმარიტებად გამოცხადებული წესებისა და ნორმებისაგან გადახვევა დანაშაულად ითვლება, ადამიანი თანდათანობით კარგავს თავის ძირითად თვისებას, თავისუფალი აზროვნების უნარს და ტოტალური ტყუილის სამსახურში დგება. თანდათანობით იგი ეჩვევა ასეთ ყოფას, ზნეობრივი კომპრომისი აღარ იწვევს სულიერ ტკივილს, რადგან თვით ზნეობის ცნება არის დევალივირებული და ერთსულოვნების მდგომარეობიდან, რომლის დროსაც ვერტიკალა თითოეული ინდივიდის სულიერ მოთხოვნილებას და მისი დამადასტურებელი კეთილი ნების აქტს წარმოადგენს, ნელ-ნელა უსახო ბრბოს მდგომარეობაში გადადის, მის ერთ-ერთ უმნიშვნელო ელემენტად გადაიქცევა. ამ დროს სახელმწიფოს წინაშე მხოლოდ ორი საკითხი რჩება გადასაჭრელად, პირველი — მოახერხოს გარე სამყაროსაგან იზოლაცია მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში და მეორე — შეძლოს ქვეშევრდომთა უზრუნველყოფა არსებობისათვის საჭირო მინიმუმით მაინც, თანაც მიაწოდოს იგი როგორც საზღაფრი გარიგებაში მონაწილეობისათვის, მაშინ ხელშეკრულებაში მონაწილეობა ერთგვარ აუცილებ-



ლობად აქცევა, როგორც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების შანსი. ასეთი ფორმით შესაძლებელია გადაიჭრას ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა — მომსახურების არჩევანის შესაძლებლობა ტყუილსა და სიმართლეს შორის პირველსა სასარგებლოდ, რადგან მისი უაპელაციო, უპირობო აღიარება წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებით იქნება განპირობებული. თუ პირველ ფაზაში პროცესი მინც შეიცავს ალტერნატივის მომენტს; თანდათანობით ეს საკითხი საერთოდ ჩხნება და თუ ოდესმე გაიხსნება ეს უაპელაციო უარყოფილი სიმართლის რეანიმაციის, მისი რესტავრაციის შესაძლებლობა, ამას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე თავიდან მისი უარყოფისათვის დაიხარჯა.

ეს არის ტოტალიტარული სახელმწიფოს არსებობის წესი და ყველა ვინც ამ გარეგებაში მონაწილეობს ვალდებულია დაემორჩილოს ამ წესს, პრაქტიკულად უარყოს ის, რაც ადამიანის „Homo Sapiens“-ის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, უკუაგდოს უპირველესი თვისება იაზროვნოს ე. ი. უარყოს თავისი არსებობა, როგორც ჰარმონიის ერთ-ერთმა უძირითადესმა ელემენტმა, რადგან სწორედ აზროვნების უნარი განაპირობებს თვით არსებობას. Ego cogito ergo sum (ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ). ცხადია აქ მხოლოდ ფიზიოლოგიური, ანატომიური არსებობა არ იგულისხმება, ეს არის „მიზანსწრაფული, სულის ნაყოფის შემქმნელი ცხოვრება“ (ელმუნდ ჰუსერლი „მეგროფული კაცობრიობის კრიზისი და ფილოსოფია“, თანამედროვე არამარქსისტული მოძღვრებანი ფილოსოფიის არსის შესახებ, თსუ გამომცემლობა, 1990, გვ. 819).


ცხადია, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ადამიანი უმეტესწილად მხოლოდ ფიზიოლოგიური არსებობის მდგომარეობაში იმყოფება. იგი მაქსიმალურად არის დაშორებული ბუნებრივ მდგომარეობას. რა არის ადამიანისათვის ბუნებრივი მდგომარეობა? ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი წერს: „პოლიტიკური ძალაუფლების სწორად გასაგებად, მისი პირველწყაროსა და წარმოშობის განსაზღვრის მიზნით, უნდა განვიხილოთ თუ როგორ ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან ადამიანები, ეს კი არის სრული თავისუფლების მდგომარეობა“ (ჯონ ლოკი, თხზ. ტომი 3, ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ, 1988, გვ. 268, რუს. ენაზე). მისივე განმარტებით ეს არის თანასწორობის მდგომარეობა, რომლის დროსაც მთელი იურისდიქცია, ისევე როგორც ძალაუფლება ორმხრივია, ე. ი. არავის არა აქვს მეორეზე მეტი, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც არიან და მოქმედებენ დაუწერელი კანონები, რომლებიც ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე განუხრელად უნდა დაიცვას. სწორედ მათზე ვადასა დადებარკაცო ხაზი, რომელიც განასხვავებს თავისუფლებას თვითნებობისაგან. „მართალია ეს არის თავისუფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს არ არის თვითნებობა, თუმცა ამ მდგომარეობაში ადამიანი ფლობს განუსაზღვრელ უფლებას განკარგოს საკუთარი პიროვნება და ქონება“. თავისუფლების მდგომარეობაში ადამიანის უფლებას — განკარგოს საკუთარი ბედ-იბღალი, განსაზღვრავს იმის უპირობო აღიარება, რომ ამგვარი უფლება სხვასაც გააჩნია და ისიც ისეთივე ხელშეუხებელი და წმიდათაწმიდაა, როგორც ჩემი ძირითადი უფლება, რაც თავის მხრივ, განსაზღვრება სხვათა მიერ ამის დადასტურებით. ბუნებრივ მდგომარეობაში სწორედ ასეთი შეთანხმება წარმოადგენს ურთიერთობის რეგულირების გარანტს და იგი გამომდინარეობს, როგორც ადამიანის ლოგიკური განსჯის უნარიდან, ასევე მასში ბუ-



ნების მიერ ჩადებული თვისებიდან — მშვიდობიანად იცხოვროს სხვებთან ურთიერთობაში.

თუკი ვალიარებთ, რომ თავისუფლება ადამიანისათვის არა მარტო სხვათა მიმართ, არამედ მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაც, მისი არსებობის პირველწყარო, მაშინ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ იგი ვერ იტანს ვერავითარ შეზღუდვას ამ მიმართულებით, პირადი ნება-სურვილის გარეშე, თუმცა პირველადი ბიოლოგიური კავშირების რღვევის პროცესში ამგვარი მოვლენა შეიძლება განვითარდეს, ვინმესადმი დამოკიდებულობის შეგრძნების ფონზე, მაგრამ ამ პროცესს ადამიანი უფრო მეტი თავისუფლებისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ პირიქით, მარტობის შეგრძნებისაკენ. ამგვარი სიტუაციიდან დაბრუნების მხოლოდ ორი გზა არსებობს — ერთი სრული მორჩილების გამოცხადებით, ხოლო მეორე — სრულყოფილი, ბუნებასთან და ადამიანებთან სპონტანური კავშირების გზით. ასეთი კავშირების უმაღლეს გამოვლინებას სიყვარული და შემოქმედებითი შრომა წარმოადგენს (ერის ფრომი „თავისუფლებისგან გაქცევა“). ეს პროცესი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეა და მასზე უშუალოდ არაფერ მოქმედებს, მაგრამ მისი თავისუფლების შეზღუდვა სხვათა მიერ არის ძალადობა, რაც წარმოშობს წინააღმდეგობის აუცილებელ მოთხოვნილებას, თუმცა წინააღმდეგობაში აუცილებლად ფიზიკური ზემოქმედება არ უნდა ვიგულისხმეთ. ზოგიერთი რელიგია საერთოდ უარყოფს ძალადობას, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმას, მაგრამ ვერ უარყოფს მას, როგორც არსებულ და არაერთხელ დადასტურებულ ფაქტს. რადგან არსებობს ძალადობა, ბუნებრივია ჩნდებოდეს მისი თავიდან აცილების სურვილი ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებით. სწორედ ასეთ საშუალებას წარმოადგენს ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება მოწესრიგებულ პოლიტიკურ ორგანიზმად. ეს ორგანიზმი არის სახელმწიფო. „რამდენადაც უკვე ითქვა, ადამიანები ბუნებით თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი არიან, შეუძლებელია რომელიმეს გამოეყვანა ამგვარი მდგომარეობიდან და სხვისი პოლიტიკური ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება თანხმობის გარეშე. ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც ვინმე უარს ამბობს საკუთარ ბუნებრივ თავისუფლებაზე და იდგამს სამოქალაქო საზოგადოების უღელს არის შეთანხმება სხვა ადამიანებთან საზოგადოებაში გაერთიანების შესახებ, რათა ერთად მშვიდობიანად და კეთილდღეობით იცხოვრონ საკუთარი ქონებით და უფრო უზიფათოდ იგრძნონ თავი ვიდრე იმან, ვინც არ არის ამგვარი საზოგადოების წევრი. ამის გაკეთება შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის ადამიანს, რადგან აქ არაფერი აკლდებათ იმათ, ვინც ძველებურად ბუნებრივი თავისუფლების პირობებში ცხოვრობენ, როცა ადამიანთა გარკვეული რაოდენობა შეთანხმდება შექმნას ერთობა, ანუ სახელმწიფო. ისინი უკვე გაერთიანებულნი არიან და წარმოადგენენ ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს (ჯონ ლოკი, იქვე, გვ. 317), მაგრამ ადამიანთა ამგვარი გაერთიანება არ არის განპირობებული მარტოდენ პრაქტიკული მოსაზრებით — დაიცვან პირადი უსაფრთხოება და უზრუნველყონ ქონების ხელშეუხებლობა, უპირველეს ყოვლისა ეს არის ბუნების მიერ ადამიანში ჩადენილი შინაგანი მოთხოვნილებიდან გამომდინარე პროცესი.

სრულიად ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტერმინი „კაცობრიობა“ არ გულისხმობს უბრალო არითმეტიკულ ერთობას, ვინაიდან იგი განკარგავს არა




ბარტო გეოგრაფიულ, არამედ ეთერულ სივრცესაც, რომლის მოცულობაც წარმოადგენს თითოეული ადამიანის მიერ დაკავებულ სივრცეთა ჯამს, ამიტომ ერთიანდება რა სხვა ადამიანებთან და ქმნის პოლიტიკურ ერთობას სახელმწიფოს სახით იგი ნებაყოფლობით გადასცემს მას რალაც უფლებებს, ამასთანავე ინარჩუნებს ძირითადს — კონტროლის უფლებას მის მიერ დაკავებულ გეოგრაფიულ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეთერულ სივრცეზე; რომელიც იზრდება გარესამყაროს შემეცნებისა და საკუთარი თავის სრულყოფის პარალელურად, როგორ ვითარდება ეს პროცესი?

პიერ ტეიარ დე შარდენის განმარტებით „უპირველეს ყოვლისა, სუბიექტური თვალსაზრისით ყოველი ადამიანი საკუთარ თავში პერსპექტივის ცენტრს ხედავს“ (დე შარდენი „ადამიანის ფენომენი“, მ., „ნაუკა“, რუსულ ენაზე, 1987, გვ. 37). აქ „პერსპექტივის ცენტრის“ ბუნების გაჩენამ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან ადამიანის ფაქტორის არსებობა თავად განსაზღვრავს მოვლენის სუბიექტურ ხასიათს. პროტაგორას თქმით „ადამიანი არის საზომი ყველა საგნისა — არსებულისა, რომ ისინი არსებობენ, არარსებულისა, რომ ისინი არ არსებობენ“. მართალია ეს მოსაზრება ბევრ სადღაო მომენტს შეიცავს, მაგრამ მისაღებია იმდენად, რამდენადაც უეჭველად ითვალისწინებს სუბიექტური თვალსაზრისის არსებობას. თუკი ადამიანი გარესამყაროს შემეცნების პროცესში ათვლის წერტილად საკუთარ თავს იყენებს, მაშინ იგი პრაქტიკულად გამორიცხავს პიროვნული „მესიანიზმის“ გაჩენის შესაძლებლობას, რადგან ეს უკანასკნელი ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანი ირწმუნებს, რომ ყოველგვარი ათვლა მასზე უნდა დამთავრდეს, მართალია, ორივე შემთხვევაში არსებობს „პერსპექტივის ცენტრის“ ცნება, მაგრამ თუ მეორე ვარიანტში იგი დამტკიცებულია სტატიკურ პოზიციაში — მე წარმოვადგენ სამყაროს ცენტრს, პირველ შემთხვევაში მოქმედებენ ცენტრიდანული ტენდენციები, რაც შემეცნების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. პროცესი დინამიკაში მიმდინარეობს და მოვლენების ლოგიკურად განვითარების შემთხვევაში, საბოლოოდ ორნაირად უნდა გადაწყდეს — ან საერთოდ მოიხსნას „პერსპექტივის ცენტრის“ საკითხი, ან აბსოლუტურად სხვა განზომილებაში უნდა გადავიდეს. ამგვარად, „პერსპექტივის ცენტრის“ გადაადგილება წარმოქმნის ზეარსების, ღმერთის არსებობა არარსებობის საკითხს.

ამთავითვე ცალსახად უნდა ითქვას, რომ ღმერთის რწმენა თითოეული ადამიანის უფლებაა, ისევე როგორც უფლება არ სწამდეს მისი არსებობა. თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში „ღმერთების ბუნების შესახებ“ ციცერონი წერს: „უმრავლესობა ფიქრობს რომ ღმერთები არსებობენ, სიმართლესთანაც ახლოა და თითოეული ჩვენგანის ბუნებასაც აქეთკენ მიყვება, თუმცა პროტაგორას ეკვი ეპარებოდა, ხოლო დიაგორ მილოსელი და თეოდორ კირინელი თვლიდნენ, რომ საერთოდ არავითარი ღმერთები არ არსებობენ“ (ციცერონი, „ფილოსოფიური ტრაქტატები ღმერთების ბუნების შესახებ“, „ნაუკა“, რუსულ ენაზე, 1985, გვ. 60). საგსებით ცხადია, რომ თეიზმი და ათეიზმი პარალელურად ვითარდებიან და ჩვეულებრივ მდგომარეობაში ორ მხარეს შორის მხოლოდ დისკუსიის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს და ყოველად დაუშვებელია რომელიმე მათგანის გადაქცევა სახელმწიფო იდეოლოგიად ან იმ იდეოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილად, რადგან ორივე შემთხვევაში იგი ხელყოფს პიროვნების უფლებას სწამდეს ან არ სწამდეს. ფსიქოლოგი შაში წერს

„ყველა ფსიქიატრიული მეთოდი, ისევე როგორც ყველა რელიგია კარგია სანამ ნებაყოფლობითი არიან, სანამ მათ იყენებენ სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ზეწოლისა და ძალდატანების გარეშე. თითოეული მათგანი იწვევს პროტესტს თუკი მას პროპაგანდას უწევს და აფინანსებს სახელმწიფო და ისინი იქცევიან ბოროტებად თუკი სახელმწიფო ძალით გვახვევს მათ თავს“ („უარყოფა ფსიქიატრიაში“ დიალოგი ჯ. მილერთან, ნიუ-იორკი, „პანთეონ ბუქ“ 1983). ამრიგად, თუკი სახელმწიფო ძალით ეწვევა რომელიმე რელიგიის პროპაგანდას, თავისი არსით ის ათეისტური სახელმწიფოა, რადგან შეგნებულად ან შეუგნებლად ანტირელიგიური პროცესების პროვოცირებას ახდენს, ხოლო თუკი სახელმწიფო ანვითარებს ანტირელიგიურ ტენდენციებს, ანუ არღვევს სინდისის თავისუფლების პრინციპს—ამან შეიძლება პირველი შესაძლებლობის შემთხვევაშივე მძაფრი საპირისპირო პროცესები გამოიწვიოს, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება რელიგიურ ფანატიზმამდე მიგვიყვანოს, რაც ისეთივე საშიში და მიუღებელი მოვლენაა როგორც მებრძოლი ათეიზმი. ეს უკანასკნელი საერთოდ უარყოფს რელიგიას ან მხოლოდ ნეგატიური თვალსაზრისით განიხილავს მას, თუმცა სავსებით ნათელია, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაზე და მის შემოქმედებით უნარზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ის, რომ სწამს თუ არა სწამს ღმერთი, არამედ ისიც თუ რომელ კონფესიას ეკუთვნის ესა თუ ის პიროვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანელი ფილოსოფოსის და სოციოლოგის მაქს ვებერის შრომები, კერძოდ კი მისი საეტაპო ნაშრომი „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“. წიგნში მოყვანილი ციფრობრივი მაჩვენებლები აკონკრეტებენ მეცნიერის თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და იძლევიან კონფესიათა შორის ძალთა თანაფარდობის სურათს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში (იხ. მაქს ვებერი, რჩეული თხზულებები, მ., „პროგრესი“, რუს. ენაზე, 1990).

ღმერთის რწმენამდე ან მის უარყოფამდე ადამიანი მხოლოდ თვითონ უნდა მივიდეს. თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსი უაიტჰედი წერს „ღმერთის თავყანისცემა არ არის ზრუნვა საკუთარ უსაფრთხოებაზე, ეს არის სულის გაბედული მცდელობა, გაფრინდეს მიუღვევლისაკენ“ (უაიტჰედი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებები, მ., „პროგრესი“, 1990, გვ. 242). ამ გზით ადამიანი კაპიტულაციისა და მორჩილებისაკენ კი არ მიდის, რადგან მიუღწევლისაკენ მიისწრაფის, არამედ პირიქით თავისუფლებისა და სრულყოფისაკენ დგამს ნაბიჯს, რადგან ასეთ დროს მოქმედება ვერტიკალურ სივრცეში ვითარდება და არა ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ეს არის შინაგანი სრულყოფისა და სამყაროს შემეცნებისაკენ მიმავალი უსასრულო გზა, რომელიც ადამიანისაგან ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ფასეულობა, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შექმნა ამ მიუღწევლისაკენ სავალი გზის ნაწილია და ადამიანის თავისუფლების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. თუკი გავიზიარებთ ამ თვალსაზრისს, მაშინ თავისთავად იჩნება რელიგიისა და მეცნიერების ანტაგონიზმის პრობლემა. ამგვარი წინააღმდეგობის არსებობის გამო, რჩება მხოლოდ სადემარკაციო ხაზის გავლება მათ შორის. იგივე უაიტჰედი წერს: „მეცნიერებას საქმე აქვს საერთო კანონზომიერებებთან, რომლებიც შეისწავლებიან ფიზიკური მოვლენების რეგულაციის მიზნით, რელიგია კი მთლიანადაა ჩაფლული, მორალური და ესთეტი-



კური ფასეულობების განჭვრეტაში (იქვე, გვ. 246). თუკი საკითხს ამ კუთხით შევხედავთ უარსაყოფი ზღედა ის სქემა, რომელსაც ეყრდნობა მარქსიზმი, ლიგის არსის, მისი წარმოქმნის განსაზღვრის დროს, რა წარმოადგენს სისტული სწავლების ქვაკუთხედს? მარქსიზმის თვალთახედვით ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა გაჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს არ შეეძლო ბუნებრივი და სტიქიური მოვლენებისათვის მოეძებნა ახსნა, მაგალითად, მან არ იცოდა, რომ წვიმა არის დედამიწიდან წყლის აორთქლების შედეგი და ამგვარად, ყველა მოვლენას, უფრო სწორედ ყველს აუხსნელ მოვლენას, რაღაც ზებუნებრივ ძალას მიაწერდა, მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთისადმი რწმენა მხოლოდ ადამიანის უმეცრებიდან გამომდინარეობს და დროთა განმავლობაში ცოდნის გაზრდისა და გაღრმავების პარალელურად ამგვარი რწმენა უნდა გაქრეს. აქ ერთი პრობლემა წამოიჭრება. უდათა, რომ ცოდნის მიღმა ყოველთვის უცოდინარობა დგას ე. ი. ცოდნა და არცოდნა პარალელურად მზარდი განზომილებებია, პირველის ზრდა მეორის ზრდასაც იწვევს, ამგვარად ყოველთვის ჩნდება ადგილი ზებუნებრივი ძალებისათვის. ასეთი ლოგიკა დამაკმაყოფილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი პრინციპში ვიზიარებთ მარქსისტულ თვალსაზრისს და ვკამათობთ მხოლოდ იმაზე, რომ რწმენა პრაქტიკულად მარადიული რამ არის იმ მიზეზით, რომ არ არსებობს აბსოლუტურად სრულყოფილი ცოდნა, რომელიც გამორიცხავდეს არცოდნის პრობლემის არსებობას.

ესლა სხვა კუთხიდან მოვუაროთ საკითხს და დავსვათ კითხვა, რა არის არცოდნა? თუკი ოდნავ უკან დავიხევთ, ლოგიკურად მივალთ უბრალო დასკვნამდე, რომ არცოდნა პრაქტიკულად განსაზღვრავს ჩვენს ცოდნას ამა თუ იმ დარგში და იგი განვითარების რომელიმე ეტაპზე კანონის სახით არის დაფიქსირებული. ამრიგად, კანონი არის ჩვენი ცოდნის (შესაბამისად არცოდნის) დაფიქსირების საშუალება განსაზღვრული დროის მანძილზე და ჩვენი არის მარადიული კატეგორია, რადგან დროთა განმავლობაში შეიძლება შეცვალოს, შესწორდეს ან უარყოფილი იქნეს მისი გამოუხადებარობის გამო. თუ არის საესებით ბუნებრივი მოვლენა, რომელიც კაცობრიობაში ჩადებული თვისებიდან გამომდინარეობს, აქედან დასკვნა — ღმერთის რწმენა არ შეიძლება გამომდინარეობდეს ჩვენი არცოდნიდან, რადგან თვით ეს უანასკნელი ჩვენი ცოდნის შედეგია. უფრო სწორედ მის ანარეკლს წარმოადგენს და შემეცნების თანხედრი მოვლენაა. ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი წერს: „ფილოსოფია თუკი მას ოდნავ დავაჭაშნიკებთ გვაშორებს ღმერთს, ხოლო თუკი ღრმად დავეწაფებით მისკენ მიყვევართ“ (ფ. ბეკონი „ცდები და დარიგებები ზნეობრივი და პოლიტიკური“, ტ. 2, მ., „მისლი“, რუსულ ენაზე, 1978, გვ. 886). რასაკვირველია „ფილოსოფია“ მისი ბერძნული კლასიკური ფილოსოფოსების მნიშვნელობით უნდა ვიგულისხმოთ.

მაინც რას ეფუძნება რწმენა? უპირველეს ყოვლისა ის ეფუძნება მისი უნარს დაინახოს, გაიაზროს და შეიგრძნოს გარესამყაროს ბუნება და მისი პარამონია. რწმენა არის ადამიანის პირველყოფილი და ყველაზე უფრო ადამიანური უნარი შთაბეჭდილების შედეგი, რაც თავის მხრივ განაპირობებს ამ სამყაროს შემეცნების მოთხოვნილებას და მასში ლოგიკური კავშირების დანახვის სურვილს. ასე რომ, წვიმის გამომწვევი მიზეზების დადგენა არ შეიძლება განდეს ღმერთის რწმენის უარყოფის მიზეზი. მას სად უნდა მოვიძიოთ ათეიზმის სა-

თავები? უპირველესად იგი უნდა გამომდინარეობდეს წინასწარ მარცხისათვის განწირული ავანტიურული მისწრაფებიდან ემპირიულად დამტკიცდეს, თუკი თის არსებობა. განცდილი მარცხი იწვევს არა მიზნის მცდარობის აღიარებას, არამედ საერთოდ ღმერთის უარყოფას. მეორე მხრივ, ეს არის სპონტანური საპირისპირო რეაქცია „ზემოდან“ ძალდატანების შემთხვევაში.

თუკი ამგვარი ძალდატანება ეკლესიისაგან მომდინარეობს, სპონტანურმა საპირისპირო რეაქციამ შეიძლება მიგვიყვანოს ეკლესიისა და რელიგიის უპირობო გაიგივებამდე, რაც საფუძველშივე მცდარი პოზიციაა, რადგან ეკლესია არის იერარქიული სტრუქტურა, კარგად ორგანიზებული სუბორდინაციული სისტემით, თავისი საშინაო და საგარეო ურთიერთობებით, ამიტომ კონკრეტული ისტორიული და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მან შეიძლება ადაპტაცია განიცადოს, ჩაჯდეს ან არ ჩაჯდეს რომელიმე სქემაში, მაშინ, როდესაც რელიგია მარადიულ ღირებულებებს ეფუძნება, რომლებზეც დრო და ვითარება ვავლენას არ ახდენენ. მითუმეტეს თავისი არსით იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკის საგანი, აქედან გამომდინარე იგი ზეკლასობრივი მოვლენაა და შეუძლებელია ერთის მიერ მეორის ჩაგვრის იარაღს წარმოადგენდეს, რადგან ღმერთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპი მის ერთ-ერთ ძირითად ქვეყთხედს წარმოადგენს. იგი ზეკლასობრივია იმიტომ, რომ თავად „კლასი“ არ შეიცავს, არ გულისხმობს სულიერების ელემენტს. იგი ყოფით ნიადაგზე აღმოცენებული ერთობაა და თავისი არსიდან გამოდინარე შას მხოლოდ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნილება გააჩნია, თუმცა ეს არ გამოორიცხავს მისი პოტენციალის გამოყენებას სხვა მიმართულებით, რადგანაც იგი მართვადია, ამიტომ შესაძლებელია მისი დაქვემდებარება და რომელიმე ავანტიურისტის, ან ავანტიურისტთა ჯგუფის ხელში იგი შეიძლება ძალიან საშიშ ძალად იქცეს. ერთსულოვნება არ არის მისი დამახასიათებელი თვისება. აქ კლასობრივი სოლიდარობის პრინციპი მოქმედებს, რომელიც მისი თითოეული წევრის უსაფრთხოების ერთგვარ გარანტს წარმოადგენს.

ამრიგად, თუკი ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივიღებთ ერთგვარ ლოგიკურ სქემას, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა ორი ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ვითარდება. ერთი არის პიროვნული სრულყოფის, ინდივიდუალური შემეცნების და თვითშემეცნების გზა, ხოლო მეორე — გარესამყაროსა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ოპტიმალური რეგულირების გზა. მთლიანად ამ პროცესის ძირითადი მიზანია „მე“ და „ჩვენ“ ცნებების მას-სიმაღლური პარმონიზაცია და ყველაფერი, რაც ამ პროცესის მსვლელობის დროს იქმნება, წარმოადგენს საშუალებას ამ ზემოცანის რეალიზაციისათვის. სახელმწიფო არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმა. ამ მიზნის მისაღწევად „ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი სახელმწიფო წარმოადგენს ერთგვარ ერთობას, ყოველი ერთობა კი ყალიბდება რაიმე კეთილდღეობისათვის, ყოველგვარი საქმიანობა ხომ რაიმე სამომავლო სიკეთეს გულისხმობს. ცხადია, ყოველგვარი ერთობა მიისწრაფის ამა თუ იმ სიკეთისაკენ. ამასთანავე ყველაზე მეტად და სიკეთეთა შორის უმაღლესისაკენ მიისწრაფის ის ერთობა, რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია და მოიცავს ყველა სხვა სახის ურთიერთობებსაც. სწორედ მას უწოდებენ სახელმწიფო ანუ პოლიტიკურ ერთობას“ (არისტოტელე, პოლიტიკა, ტ. 4, „მისლი“, რუსულ ენაზე, გვ. 376).



ამრიგად, სახელმწიფო წარმოიქმნება კეთილი ნების საფუძველზე და უპირველესი დანიშნულებაა განუხრელად დაიცვას იმის ინტერესები, ვინც მას ქმნის, ე. ი. ადამიანის ინტერესები. ტოტალიტარული სახელმწიფო კი შეიცავს რა ზოგადად სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რადგან მასში დასტურდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების არსებობა, იგი მაინც უარყოფს საკუთარ თავს, როგორც უმაღლესი პოლიტიკური ერთობა, რადგან არ ასრულებს, არ ახორციელებს თავისი არსებობის ძირითად მიზანს — ხელი შეუწყოს პიროვნების უფლებების და მისი შინაგანი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას. იგი ემსახურება ერთი პიროვნების ან პროვნებათა ჯგუფის ინტერესების განხორციელებას, სხვათა უფლებების შეზღუდვის ან მათი სრული იგნორირების ხარჯზე, ამიტომ პიროვნებისა და სახელმწიფოს დაპირისპირების პრობლემა არ მოიხსნება, ვიდრე იარსებებს სახელმწიფოსა და ხელისუფლებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება.

ეხლა შეგვიძლია დავაკონკრეტოთ ტოტალიტარული სახელმწიფოს დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი. პირველი ნიშანია ძალაუფლების უზურპაცია, რისგანაც გამომდინარეობს სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის, მისი დანიშნულების უგულვებელყოფის პროცესი. მეორე ნიშანია — სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობა, რაც განაპირობებს აზროვნების კოლექტიური ფორმის ჩამოყალიბებას და მესამე ნიშანია — გარიგება, უშუალო დაპირისპირების მოხსნის, ან მისი დროში მაქსიმალურად გადაწევის საშუალება. ყველა ამ ნიშან-თვისების ფონზე აუცილებლად ჩნდება უმციირესობის პრობლემა, რომელიც თავისი არსით არ ჯდება ზემოჩამოთვლილი ნიშნებით განპირობებული სქემის ფარგლებში. რადგან არსებობს „უმციირესობა“, ბუნებრივია არსებობს უმრავლესობაც არა მარტო როგორც რაოდენობრივი კატეგორია, არამედ გარკვეული თვისობრიობის მატარებელიც. სოციოლოგიის ენაზე მას მასა ეწოდება. სწორედ მასა წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფოს ძირითად, უპირველეს დასაყრდენს „მასა არის თითოეული და ყოველი რომელიც არც სიკეთეში, არც ბოროტებაში არ ზომავს საკუთარ თავს განსაკუთრებული საზომით, არამედ შეიგრძნობს თავს ისეთად „როგორც ყველა“ და არა წუხს ამის გამო, პირიქით კმაყოფილია თავისი გამოურჩევლობით“ (ხოსე ორტეგა-ი-გასეტი „მასების ამბოხება“ ესთეტიკა, ფილოსოფია, კულტურა, შ., „ისკუსტვო“, რუს. ენაზე, 1991 წ., გვ. 810). მასა წარმოქმნის „საშუალო ადამიანის“ ტიპს, რომლისთვისაც წარმოუდგენელი და მიუღებელია ყველაფერი, რაც ამ მასობრივი „იდილის“ ფარგლებს გარეთ იმყოფება, თავისი შეუმჩნევლობის და ჩვეულებრიობის მიღმა იგი მალავს განსაკუთრებულ აგრესიულობას და დაუნდობლობას. „მასა სრესს ყველაფერს განსხვავებულს, არაჩვეულებრივს, პირადულსა და საუკეთესოს (ორტეგა-ი-გასეტი, იქვე, გვ. 811). რასაკვირველია აქ მარტო ლინჩის წესი არ იგულისხმება, თუმცა ინგარიშსწორების ასეთი ფორმა ყველაზე უფრო შეეფერება მასის აგრესიულ ბუნებას, ტოტალიტარიზმის დროს მასის სახელით ამას სახელმწიფო აკეთებს მისივე სურვილიდან გამომდინარე, რომელიც ამასთანავე ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს. სახელმწიფო ამ დროს სარგებლობს მასის თვისებით ყველგან და ყოველთვის დაამტკიცოს თავის უფლებები და „ხალხის ნების“ აბსტრაქტულ ცნებას ამოფარებული ახორციელებს თავის მიზნებს.

ეხლა უმცირესობის საკითხს დავუბრუნდეთ. ზემოთ აღვნიშნეთ იგი წარმოადგენს ძალადობის ძირითად ობიექტს, რადგან არ თავისუფალი ტალიტარული სქემაში. რატომ ხდება ეს? თავად სიტყვა „უმცირესობა“ უკვე გულისხმობს გარკვეულ ერთობას, მაგრამ ეს ისეთი ერთობაა, რომელსაც არ ახასიათებს ის თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ მასის რაობას. უპირველესად იგი არ არის მრავალრიცხოვანი და რაც მთავარია ეს არის ინდივიდუალის, პიროვნებების დროებითი კავშირი, „მასობრიობას მოკლებულ ერთობაში საერთო მიზანი, იდეა ან იდეალი წარმოადგენენ ერთადერთ შემაკავშირებელს. რაც თავისთავად გამორიცხავს მრავალრიცხოვნებას (ორტეგა-ი-გასეტი, იქვე). მნიშვნელოვანია ისიც, რომ „უმცირესობა“ გარკვეული იდეის მატარებელია და რაც ყველაზე მთავარია, მის შესაქმნელად უნდა მოხდეს მასისაგან მოწყვეტის აქტი, თავად ეს „მოწყვეტა“ არ მომდინარეობს მასისაგან, იგი უმცირესობის პრეროგატივაა, ამიტომ მასა კი არ იშორებს უმცირესობას, არამედ პირიქით, უმცირესობა უარყოფს მასას. ეს უარყოფა არის ამბოხი, განურჩევლად იმისა, თუ რით არის იგი გამოწვეული, ვისამე მძიმე ხვედრით, თუ სამყაროს მოწყობით, რაც განაპირობებს ამბოხის მეტაფიზიკურ ხასიათს. ორივე შემთხვევაში იგი წარმოადგენს არა უბრალო უარყოფას, არამედ „ღირებულებას, რომლის გამოც მემამბოხე უარს ამბობს შეეგუოს საკუთარ ხვედრს“ (ა. კამიუ, მემამბოხე ადამიანი, მ., „პოლიტ. ლიტ.“. რუს. უნაზე, 1990). აქედან გამომდინარე, ამბოხის პირადი მიზანია ერთხელ დარღვეული ჰარმონიის აღდგენა. ამიტომ უპირისპირდება იგი ამ მოჩვენებით იდილიას. ამ პროცესში იგი ვიზუალურად უპირისპირდება მასას (უფრო სწორედ მასა უპირისპირდება მას), მაგრამ რეალურად იგი სწორედ ამ მასის ინტერესებს ახორციელებს, რადგან ცდილობს მის გადაყენებას თვისობრივად სხვა მდგომარეობაში. ეს „სხვა მდგომარეობა“ კი არის ბუნებრივი მდგომარეობა, რომლის ძირითად მახასიათებელს პიროვნების თავისუფლება წარმოადგენს. სწორედ თავისუფალი პიროვნებები განსაზღვრავენ კაცობრიობას, როგორც არა მხოლოდ უსასრულოდ მზარდი ციფრებით გამოხატულ ერთობას, არამედ როგორც უმადლესი ჰარმონიის ნაწილს, რომელშიც თითოეულს თავისი განუმეორებელი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნია, როგორც გოეთე ამბობდა: „მხოლოდ მთელი კაცობრიობა ერთად არის ჭეშმარიტი ადამიანი და ინდივიდი მხოლოდ მაშინ შეუძლია იაროს და დატკბეს, თუკი აქვს ვაჟკაცობა ამ მთელში შეიგრძნოს საკუთარი თავი (გოეთე „ფიქრები და მაქსიმები“, რჩეული ფილოსოფ. თხზულებანი, მ., 1964, რუსულ ენაზე, გვ. 877). ამის შეგრძნება მხოლოდ თავისუფლებას მოაქვს.


მანტანა აბაშმაძე

ქართული რენესანსის სათავაზთან

შუა საუკუნეებში ადამიანთა გონებაზე განუყოფლად ბატონობდა რელიგიური-დოგმატები, რომელთა ჭეშმარიტების დამტკიცებას ყოველმხრივ ცდილობდა იმ დროს გავრცელებული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმართულება, სახელდობრ სქოლასტიკა. მისი მიმდევრები ამ მიზნით უმთავრესად იყენებდნენ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეების ნაშრომებს. სქოლასტიკის ცნობილი წარმომადგენელი თომა აკვინელი ანტიკური მოაზროვნეების, კერძოდ, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და სხვათა შეხედულებებით სარგებლობდა კათოლიკური ეკლესიის დოგმათა ჭეშმარიტების დასასაბუთებლად. შუა საუკუნეების სქოლასტიკა ანტიკურობას კათოლიკური ეკლესიის იდეურ იარაღად აგლიდა.

ამასთან ერთად, ანტიკურობის აღორძინებამ შუა საუკუნეებში განაპირობა აგრეთვე სქოლასტიკისადმი დაპირისპირებული მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა, რომელმაც განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია XV-XVI საუკუნეებში. გერმანიაში ეს მოძრაობა ცნობილია რეფორმაციის სახელწოდებით, იტალიაში მას იცნობენ ჩინკვეჩენტოს სახელით, ხოლო საფრანგეთში მას რენესანსს ეძახიან. ამ ეპოქაში ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში ხდება უდიდესი გარდაქმნები, ამიტომ მას საერთოდ უწოდებენ აღორძინებას, რომელიც შინაარსის მიხედვით იყო ანტიფეოდალურ-ჰუმანისტური და შუა საუკუნეების რელიგიური იდეოლოგიის მესვეურების — ეპისკოპოსების, მღვდლების, განდეგილების, მეუღაბნოების და რელიგიის სხვა მსახურთა ნაცვლად ადამიანთა სულიერი ცხოვრების მედროშეებად უმთავრესად გამოდიან საერო პირები, კერძოდ, მეფეები, პოლიტიკოსები, პოეტები, მხატვრები. ასევე შუა საუკუნეების რელიგიური დოგმების ჰუმანიზაციისათვის მებრძოლი სასულიერო პირებიც, სახელდობრ, მარტინ ლუთერი, თომას მიუნცერი, კალვინი და სხვები გერმანიასა და საფრანგეთში რეფორმაციას ედგნენ სათავეში და მოითხოვდნენ საეკლესიო ცხოვრების გარდაქმნას ჰუმანიზმის პრინციპების მიხედვით, მის დემოკრატიზაციას, საეკლესიო მმართველობის მონარქიული წესების ნაცვლად რესპუბლიკურის შემოღებას.

მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში რენესანსი ყველაზე სრულად გამოვლინდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრე-




ბაში, რამაც შეცვალა შუა საუკუნეებში გაბატონებული შეხედულება სახელმწიფოზე და მის მმართველობაზე, ჩამოყალიბდა მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტზე, ანტიკურობიდან აღორძინებული ბუნებითი სამართლის იდეებზე შეიქმნა მართალი სამართლის მოძღვრება და ა. შ. იტალიაში ნიკოლო მაკიაველმა შეიმუშავა ანტიფეოდალური, ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისი ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების და მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდების მოძღვრება; საფრანგეთში კან ბოდენმა საფუძვლიანად გადაამუშავა საერო-პოლიტიკური ინტერესების შესაბამისი სახელმწიფოს სუვერენიტეტის თეორია, რომელიც პასუხობდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ განწყობილი ბურჟუაზიის ინტერესებს; უფრო ადრე, წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის იდეოლოგმა მარსილუს პაღელმა ანტიკურობიდან წარმოაჩინა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების იდეები, რომელთაც არისტოტელემ ჩაუყარა საფუძველი და ამგვარად, შუა საუკუნეებში ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად ამ თეორიას ახალი პოლიტიკური ყდერადობა მიეცა.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რენესანსული მოძრაობა და მისი შესაბამისი, როგორც საერო, ასევე რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია კარგად არის შესწავლილი, მაგრამ დასავლეთ ევროპისაგან დამოუკიდებლად აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში რენესანსი და მისი შესაბამისი მოძღვრება, რომელიც პირველად აკად. ნ. ნუცუბიძემ შეიმუშავა, სრულად ჯერ კიდევ არ არის დასაბუთებული. შ. ნუცუბიძის იდეები ქართული რენესანსის შესახებ იყო აღმოჩენა, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, სხვადასხვა დროს ჩატარდა დისკუსიები, რომელთა მსვლელობისას დაზუსტდა ბევრი სადავო საკითხი, წარმოჩენილი იქნა ქართული რენესანსის მოძღვრების, როგორც დამუშავებული, ასევე მომავალში გადასატრელები პრობლემები.

წინამდებარე სტატიაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქართული რენესანსის ყველა საკითხის განხილვა, ჩვენი ამოცანაა შევხებით მეცნიერულ ლიტერატურაში აღნიშნულ ორ ძირითად საკითხს, რომელზეც პასუხმა შეიძლება ნაწილობრივ გაამთლიანოს შალვა ნუცუბიძის მოძღვრება ქართული რენესანსის შესახებ.

პირველი სადავო საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ პასუხგაუცემლად მიიჩნეოდა შ. ნუცუბიძის მოძღვრებაში ეს არის ქართული რენესანსის ეკონომიკური საფუძველი.

როგორც ცნობილია, რენესანსი, საერთოდ, ანტიფეოდალური მოძრაობაა, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიის ინტერესებს. ამიტომ ბუნებრივია, იგი გულისხმობს ანტიფეოდალური ძალების, კერძოდ ბურჟუაზიისა და მის შესაბამისი განვითარებული ეკონომიკური წყობის არსებობას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც კი წარმოიშვა და განვითარდა რენესანსული მოძრაობა, შეიმჩნეოდა საკმაოდ განვითარებული ანტიფეოდალური ძალები, მესამე წოდება, ბურჟუაზიული ელემენტები და მათი შესაბამისი ეკონომიკური წყობა. შუა საუკუნეების გერმანიაშიც კი, სადაც რეფორმაცია და მისი ორი ბანაკის ჰუმანისტური მოძრაობა დაიწყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ, მიუხედავად ქვეყნის ჩამორჩენილობისა, ანტიფეოდალური ეკონომიკური წყობა ხელს უწყობდა ამ მოძრაობის ზრდა-გაფართოებას, რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთ ევრო-



ის სხვა ქვეყნებზე, კერძოდ, საფრანგეთზე, სადაც რენესანსი მისი შესაბამისი ანტიფეოდალური იდეოლოგიითა და ეკონომიკით მნიშვნელოვან ძალას მოადგენდა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც რენესანსი გაჩნდა, ეკონომიკა განვითარების ისეთ დონეზე იყო, რომ იგი შესაფერის საფუძველს წარმოადგენდა ამ პლემანისტური მოძრაობისა და ანტიფეოდალური ძალების არსებობისათვის. შედარება ცხადყოფს, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე არაფრით არ ჩამორჩებოდა, ხოლო ზოგჯერ კიდევაც აღემატებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებას, რომელიც რენესანსისათვის საკმაო ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა, შუა საუკუნეებში ფეოდალური საკუთრება ბატონობდა, რომელიც ზღუდავდა ბურჟუაზიული ელემენტების განვითარებას. ასეთ პირობებში ფეოდალური საკუთრება იყო საკუთრების ერთადერთი სახე, შუა საუკუნეების საქართველოში კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე ადრე გაჩნდა ფეოდალური საკუთრების გვერდით კერძო საკუთრება მისთვის დამახასიათებელი შემადგენელი ელემენტებით, კერძოდ, სარგებლობის, მფლობელობისა და განკარგვის უფლებით. ჯერ კიდევ VIII საუკუნის ძველში „სერაპიონ ზარზნელის ცხოვრება“ გვხვდება თავისი შემადგენელი ელემენტებით საკუთრების ტერმინი¹, რაც იმას მოწმობს, რომ ამ პერიოდის საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება განვითარების მაღალ დონეზეა. ამიტომ სრულიად სარწმუნო უნდა იყოს ი. ჯავახიშვილის ცნობა, რომ ქართული რენესანსის ეპოქაში, კერძოდ XII-XIII საუკუნეების „საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი საფრანგეთზე უფრო დიდი ჰქონდა (იხ. აკად. ვ. ბარტჰოლდის გამოკვლევა „აღმოსავლეთი“ და ჩემი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“). ცხადია, რომ მეჭურჭლეთუხუცესის ხელისუფლება დიდი და ფართო უნდა ყოფილიყო. თვით „ხელმწიფის კარის გარიგების“, ავტორსაც ხომ აქვს აღნიშნული, რომ „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი“, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირი არის საბატონო“².

როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში არის აღნიშნული, ბურჟუაზიულმა რევოლუციამ განვლო განვითარების ორი ეტაპი. პირველი ეტაპი იწყება XII-XIII საუკუნეების მიჯნიდან და მთავრდება XVII საუკუნეში, მეორე ეტაპი კი მთავრდება საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით.

როდესაც ბურჟუაზიული ელემენტების ჩასახვა-განვითარებაზე ვლადარაკობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმი იმდენად განვითარებული იყო, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობების და მათთან დაკავშირებული მესამე წოდების არსებობისათვის საკმაო საფუძველი არსებობდა. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა არ ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს, სადაც დაიწყო რენესანსული მოძრაობა. XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე არსებობდა ბურჟუაზიული ელემენტები, კერძოდ მესამე წოდება. ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ ეს იყო დრო, როდესაც „საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შედიოდა, როცა ქალაქებს, ხელოსნებს, „მესამე წოდებას“ უკვე მოუღვამს

¹ ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 49.
² ი. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. IV, გვ. 409-410.



ფეხი⁴. მესამე წოდების წარმოშობამ და მისმა გაძლიერებამ გამოიწვია უფრო დალიზმის რღვევა. ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ „მე-13 საუკუნის დასაწყისში სათვის ფეოდალურმა საქართველომ ფეოდალურ-ეკონომიკური განვითარების პირველ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა... წარმოიქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო“⁵.

ამრიგად, ი. ჯავახიშვილის ცნობასთან ერთად, სადავოს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ შუა საუკუნეები საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საკმაო საფუძველს ქმნიდა ქართული რენესანსისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ქართული რენესანსის შესახებ შალვა ნუცუბიძის თეორიას ეხებიან, ყოველთვის მიუთითებენ მის არასრულ ხასიათზე. კერძოდ, სადაც კი შუა საუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ რენესანსულ-ჰუმანისტურმა მოძრაობამ ჰპოვა გავრცელება, მას თან ახლდა საეკლესიო ცხოვრებაში რეფორმაცია. ასე იყო დასავლეთ ევროპაში, სადაც მძლავრი რენესანსული მოძრაობა საერო პოლიტიკურ ცხოვრებაში (მაკიაველი, ბოდენი

ა. შ.) შეუძლებელია სრულად გავიაროთ კათოლიკურ ეკლესიაში რეფორმაციის გარეშე (ლუთერი, მიუნცერი, კალვინი და სხვ)⁶.

დასავლეთ ევროპაში ჰუმანისტურ მოძრაობას, რენესანსსა და რეფორმაციას ევროპაში გარკვეული წინამძღვრები გააჩნდა, შუა საუკუნეების ყველა ჰუმანისტური მოძრაობა ემყარებოდა განსაზღვრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებს, არსებითად რეფორმაციაც და რენესანსიც შუა საუკუნეებში ანტიფეოდალური მოვლენა იყო და განვითარებადი ბურჟუაზიული ელემენტების ინტერესებს გამოხატავდა⁷.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ჰუმანისტური მოძრაობა ევროპაში დაიწყო საეკლესიო ცხოვრებაში რეფორმაციის ფორმით, ხოლო შემდეგში ამ ჰუმანისტურმა მოძრაობამ, რენესანსმა გავრცელება ჰპოვა საერო ცხოვრებაში (მაკიაველი, ბოდენი და ა. შ.). ანტიკური მემკვიდრეობის აღორძინებით ეკლესიამ და იქ გავრცელებულმა რეფორმაციამ ნიადაგი შეამზადა რენესანსისათვის საერო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც შალვა ნუცუბიძემ აღმოაჩინა შუა საუკუნეების (XI-XII სს.) საქართველოში ადგილი ჰქონდა უდიდეს კულტურულ მოვლენას, მძლავრ ჰუმანისტურ მოძრაობას საერო პოლიტიკურ ცხოვრებაში, რენესანსს, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია შოთა რუსთაველთან, ეს მოვლენა მეცნიერებაში ცნობილია აღმოსავლეთის რენესანსად. შალვა ნუცუბიძის დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ შუა საუკუნეების საქართველოში დაწყებულ ამ ჰუმანისტურ მოძრაობას მან შეარქვა დასავლეთ

3 ნ. ბერძენიშვილი: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 36.
 4 ნ. ბერძენიშვილი, 3, კაკაბაძის „დავით ბერძენი“. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1955, 8 აპრილი.

⁵ Reformation in Europa, Berlin, 1967; Burge H., Die sozialen Bewegungen in 15 und 16. Jahrhundert, Berlin, 1906; Bullinger H., Reformationsgeschichte, 3 Bände, Frauenfeld, 1938.

⁶ Bellow A., Die ursachen der Reformation, München-Berlin, 1917; Aubin G. Der Einfluß der Reformation in der Geschichte der Deutschen Wirtschaft, Halle, 1929.

ევროპის ხალხთა ცხოვრებაში კარგად ცნობილი კულტურული მოვლენის ცნობაა, რენესანსის სახელი. ამავე დროს მან შესძლო მონება და გამოეკვლია ამ ორი ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებული მოვლენების ძირითადი ნიშნები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული რენესანსის შესახებ შალვა ნუცუბიძის მოძღვრებაში გვხვდება მსჯელობათა საყურადღებო ელემენტები, რომელთა საგულდაგულო შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს შინაარსობრივად გავაფართოვოთ და სრულფეროდ ქართული რენესანსის მასშტაბები. როცა შალვა ნუცუბიძის ქართული რენესანსის ამ თავისებურებაზე ვლაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს მასში არსებული მითითება საქართველოში არსებულ წინარენესანსულ მოვლენებზე, ანტიკურობისა და ელინიზმის აღორძინებაზე და გავრცელებაზე საქართველოში, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა ძალ ჰუმანიტურ მოძრაობას, რეფორმაციას, რაც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწყო და რომელმაც შეამზადა ნიადაგი საერო-პოლიტიკურ ცხოვრებაში რენესანსისათვის, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ივანე ჯავახიშვილი და მის გამოკვლევები, მართალია შალვა ნუცუბიძის აღმოჩენას ქართული რენესანსის შესახებ და მის გამო აღმოცენებულ დისკუსიებს ივანე ჯავახიშვილი ვერ მოესწრო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის შეზღოპმედების საგულდაგულო გაცნობას იმ დასკვნამდე მიყვევართ, რომ მან აღიიან ბევრი ვაკეთა იმის გამოსაკვლევად, რომ ანტიკურობისა და ელინიზმის რეცეფცია აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოში დაიწყო, რომელმაც შეამზადა ნიადაგი იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და სხვათა მიერ გაჩაღებული რეფორმატორული მოღვაწეობისათვის. ახლა, როდესაც ევროპის რენესანსის ძირითადი შემადგენელი ნაწილების გაცნობამ ცხადყო, რომ მძლავრი ჰუმანიტური მოძრაობა შუა საუკუნეების ევროპაში მოიცავდა, როგორც საერო-პოლიტიკურ, ასევე რელიგიურ-საეკლესიო ცხოვრებას, ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევების საფუძველზე შეგვიძლია გავაფართოვოთ და სრულფეროდ შალვა ნუცუბიძის მოძღვრება ქართული რენესანსის შესახებ, ცხადყოთ იმ კრიტიკული შენიშვნების უსაფუძველობა, რომელსაც თითქოს იმსახურებს ეს მოძღვრება. ივანე ჯავახიშვილი ანტიკურობის აღორძინების, როგორც ბიზანტიური, მართლმადიდებლური ეკლესიის შიგნით ჰუმანიტური მოძრაობის წარმოშობის საფუძვლის შესახებ საქართველოში, წერს: „ახის და ევროპის საზღვარზე მყოფმა ქართველმა ერმა იმდენი სულიერი და გონებრივი სიღრმე-სიფართოვე გამოიჩინა, რომ ადრინდელი აღმოსავლეთის კულტურის საუკეთესო გამოხატულების სპარსულ-მაჰმადიანური მხატვრული წყვერლობის შეყვარება და შეთვისება შესძლო... დასავლეთითგან ამავე დროს ბიზანტიური რენესანსის ცხოველმყოფელმა სიომ დაჰბერა, ძველ ბერძნულ საისტორიო-მხატვრული და საფილოსოფოსო ძეგლების შესწავლა დაიწყო და ამ ნიადაგზე საქართველოში ელინიზმობა აღმოცენდა, ბიზანტიის ეს უმთავრესი მონაბერი ქართველმა ერმა არამცთუ შეითვისა თავის სამშობლოში აღმოსავლეთის გონებრივი საუნჯის ნაკადული შეუერთა და ამით გააპოხიერა და გაამრავალფერადა. ამის წყალობით საბერძნეთითგან მან შეითვისა ის, რაც არც ერთს მაშინდელ აღმოსავლეთის მაჰმადიანს ერს შეთვისებული არ ჰქონდა, და შეძენილი ჰქონდა აღმოსავლეთისგან ის, რაც მაშინდელ ბიზანტიას აკ-



ლდა: აღმოსავლეთის მშენიერი პრავალტერადი ხელოვნებისა და კულტურის განძეულობა“⁷.

ისე, როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოშიც ანტიკურობის აღორძინებამ უდიდესი როლი შეასრულა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მან რენესანსთან და რეფორმაციასთან ერთად ხელი შეუწყო სქოლასტიკის წარმოშობას, შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ანტიკური მოაზროვნების შეხედულებებით რელიგიური დოგმების ჭეშმარიტების დამტკიცებას. საქართველოში კი ანტიკურობის აღორძინებამ მხოლოდ მძლავრი ჰუმანიისტური მოძრაობა წარმოშვა რენესანსისა და რეფორმაციის სახით და მას არ გამოუწვევია სქოლასტიკის გაჩენა. როგორც ცნობილია საქართველოში სქოლასტიკას ადგილი არ ჰქონია.

ქართველთა სულიერი ცხოვრების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტიკურობის აღორძინებისა და გავრცელების შესწავლას, რადგან ამ დიდ კულტურულ მოვლენას შედეგად მოჰყვა ძლიერი ჰუმანიისტური მოძრაობა შუა საუკუნეების საქართველოში, რომელმაც მთლიანად მოიცილა როგორც სასულიერო, ასევე საერო-პოლიტიკური ცხოვრება. მას შემდეგ, რაც საერო-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს ჰუმანიისტური მოძრაობა, რომელიც აღმოსავლეთის რენესანსის სახელწოდებითაა ცნობილი შალვა ნუცუბიძემ საფუძვლიანად შეისწავლა, ინტერესს იწვევს ანტიკურობის წარმოშობით განპირობებული ჰუმანიისტური მოძრაობის, კერძოდ, რეფორმაციის განვითარება ქართულ ეკლესია-მონასტრებში. ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევა სრულყოფილს ქმნის ქართული რენესანსის მოძღვრებას და ავსებს იმ ხარვეზებს, რომლებიც თითქოს არსებობს კრიტიკოსების შენიშვნებით ამ მოძღვრებაში.

როდესაც საქართველოში აღორძინებაზე ვლაპარაკობთ პირველყოფისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ რეფორმაცია ქართულ ეკლესია-მონასტრებში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე რენესანსულ-ჰუმანიისტური მოძრაობა საერო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შუა საუკუნეების საქართველოში ანტიკურობის რეცეფცია და საერთოდ რეფორმაცია, რასაც შედეგად მოჰყვა მძლავრი ჰუმანიისტური მოძრაობა, დაიწყო ქართულ მონასტრებში, რომლებიც უმთავრესად საზღვარგარეთ (სინას მთა, პალესტინა, ათონის ივერთა მონასტერი და ა. შ.) არსებობდნენ ქართველი ჰუმანიისტი მღვდელმთავრების იოანე მთაწმინდელის, მისი სახელოვანი შვილის ექვთიმე მთაწმინდელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცეს-მონაზონის და სხვათა წინამძღოლობითა და მეთაურობით, მათი მოღვაწეობის შედეგად ამ პერიოდში უკვე შემუშავდა ეროვნული თვითშეგნება. როგორც ი. ჯავახიშვილი მიუთითებს: „ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშეგნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც კი ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული. ქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და გამოკვეთისათვის დიდი მნიშვნე-

⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966, გვ. 309-310.

ლობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთისას, პალესტინისას, შავი მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა მონასტრის მღვდელს ლავრას, მის დამაარსებლებს იოანეს და ექვთიმეს, და გიორგი მთაწმინდელს... საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართველთა მონასტრების წყალობით ქართველი მწერლობა გამდიდრდა, საეკლესიო წესები, სადაც საჭიროდ დაინახეს, ბერძნულის მსგავსად შეასწორეს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობის უფლება გამოირკვა და ეროვნული თვითშემეცნება გამოიკვეთა და განმტკიცდა“⁸.

საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში წარმოებული მდიდარი შემოქმედებითი საქმიანობა თავისი შინაარსით რეფორმატორული იყო, ივანე ჯავახიშვილი მთაწმინდელებს რეფორმატორებს უწოდებს, მათი საქმიანობა უცხოეთის ქართულ მონასტრებში აბსტრაქტულ რელიგიურ მიზნებს კი არ ისახავდა, არამედ მიმართული იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრების დემოკრატიზაციისაკენ, სასულიერო ცხოვრებისა და წყობილების გარდაქმნისაკენ, ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების ამძღვრებისაკენ, საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ერთიანობისაკენ და მართლაც, ქართული მონასტრების წინამძღოლთა შრომას ამაოდ არ ჩაუვლია, მათმა რეფორმატორულ-შემოქმედებითმა საქმიანობამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს საეკლესიო-პოლიტიკურ და საერთოდ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, სრულყოფილი გახდა ქართული, ეროვნული თვითშემეცნება, რის შედეგები ქვეყნის ცხოვრებაში გიორგი მერჩულეს ასე აქვს დახასიათებული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირების და ლოცვაი აღესრულების“.

უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებში დიდ სამეცნიერო-აღმზრდელობით და რეფორმატორულ მუშაობას საფუძველი ჩაუყარა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ იოანე მთაწმინდელმა.

იოანე მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს გიორგი მთაწმინდელის მიერ ათონის მონასტერში ჯერ კიდევ დეკანოზად მუშაობის დროს ბერების დაბეჯითებითი თხოვნით დაწერილი შრომა, რომელიც მიძღვნილია ათონის მონასტრის დამაარსებლებისა და წინამძღოლების იოანესა და მისი შვილის ექვთიმესადმი.

წარმოშობით იოანე მთაწმინდელი ქართველ დიდებულთა ოჯახიდან იყო, სხვადასხვა ბრძოლებში მხნეობით და მამაცობით დავით კუროპალატის მთავრებს შორის გამოირჩეოდა და მასთან დაახლოებული პირი ყოფილა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო საერო ცხოვრებისათვის დაუწებებია თავი, ნათესავებს განშორებია და ფარულად ათონის მონასტერში აღკვეცილა ბერად, მაგრამ იოანე საქართველოს ამბებს და ქართველთათვის საჭირობოროტო საკითხებს ყოველთვის ადევნებდა თვალყურს იოანეს ჩამოშორება საერო-პოლიტიკური ცხოვრებიდან და მისი თავგადასავალი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და როგორც კი იგი ცნობილი გახდა მის გარშემო მყოფთათვის, მან თავი მიანება ათონის მონასტერს და გადავიდა საბერძნეთში ულუმბოს ქართველთა მონასტერში, რომელიც საბოლოოდ მიატოვა და მოღვაწეობა დაიწყო დიდი ათანა-

⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 168-169.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 185.

სეს ლავრაში. სხვადასხვა ადგილების შეცვლისას იოანე ყოველთვის არჩევდა ისეთ მონასტრებს, საიდანაც მას შეეძლო ქართველების საქმიანობისათვის თვალყურე ედევნებინა და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწია ქართველ ბერ-მონაზვნებისათვის ბერძენ მღვდელ-მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც ამ პერიოდში მწვავე ხასიათი მიიღო. ჩვენამდე მოაღწია სხვა ცნობამაც, კერძოდ, ქართველ ბერ-მონაზვნებს შორის არსებული შუღლისა და მტრობისათვის თავის ასარიდებლად ერთ პერიოდში მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამონასტრო მოღვაწეობა განეგრძო შედარებით მყუდრო ადგილას, კერძოდ ესპანეთში, თავის ვაჟთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად იმ იმედით, რომ, როგორც ი. ჭავჭავიძე წერს, „ვითომდა, ესპანეთში მცხოვრებნი ქართველნი იმ ქართველებზე უკეთესი იქნებოდნენ, რომლებიც ათონის მონასტერში იყო“¹⁰.

იოანეს მოღვაწეობის დროს ქართველთა სარწმუნოებრივ-კულტურულმა განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ქართული მონასტრების დაარსებაში. ქრისტიანულ სამყაროში მართლმორწმუნე საქართველოს დაწინაურებამ გაამწვავა ურთიერთობა ბიზანტიასთან, რომელიც ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლობაზე პრეტენზიას აცხადებდა. ამის გამო ბერძენ მღვდელმთავრებსა და ქართველ ბერებს შორის მუდმივ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი. ქართული მონასტრების ბერ-მონაზვნები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ ბერძნებს, რომელთაც უმდიდრესი სარწმუნოებრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჰქონდათ, დაუღალავად ზრუნავდნენ გაემრავლებინათ მართლმადიდებლური საეკლესიო წიგნები. ამ საქმეს დღე და ღამე დიდი მონდომებით ემსახურებოდა იოანე და ექვთიმე. დღისით მონასტრის საწინამძღოლო საქმეებით დაკავებულინი ქართული ეკლესიის წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით ღამით სანთლის შუქზე თარგმნიდნენ და წერდნენ სასულიერო თხზულებებს. ამის შესახებ თვითონ ექვთიმე მთაწმინდელი წერს: „აღესრულა ესე ნუსხა თარგმანებისა მათეს თავისაი ხელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ეფთვიმისა: ვინც იკითხვიდეთ შრომისათვის ლოცვა ყავით და ზომად შრომისათვის შემინდეთ: უცალო ვიყავ და უფროსი ღამით მიწერია“¹¹. ქართული კულტურის სამსახურისათვის იოანემ ბევრ ქართველ ახალგაზრდას საფუძვლიანად შეასწავლა ქართული და ბერძნული ენები, თავის შვილს ექვთიმეს პატარაობიდანვე შთაავონებდა: „შვილო ჩემო! ქართლისა ქუეყანაი დიდად ნაკულევიან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა, აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასულიერო შენი ღვთისაგან“¹². მამის რჩევა-დარიგებით გამხნეებული ექვთიმე ენერგიულად შრომობდა და ბერძნულიდან ქართულად მრავალი წიგნი თარგმნა, ექვთიმეს ცხოვრებისადმი მიძღვნილ წიგნში გიორგი მთაწმინდელს ჩამოთვლილი აქვს ექვთიმეს მიერ წათარგმნი სამ ათეულზე მეტი თხზულება¹³.

¹⁰ ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 170.

¹¹ თ. ვორდანი, ქრონიკები, I, 139.

¹² ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 170.

¹³ ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 175.

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ქართულად ნათარგმნი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი მნიშვნელობით „წესი და განგებობა და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა“, როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, ნაწარმოები ბერძნულიდან „უბრალო და უშუალო თარგმანი კი არ უნდა იყოს, არამედ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქციაა“¹⁴. საყურადღებო ცნობა აქვს ექვთიმე მთაწმინდელს თავის ნათარგმნი მეექვესე კრების და იოანე მმარხველის მიერ აღწერილი განწესებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს, რომ „სასწაულად“ გაღმობა ქართულა რომ იკითხვიდენ წინამძღუარნი და მოძღუარნი ეკლესიათანი“. ამ ნაშრომის შესახებ მკითხველს ამცნებს, რომ „ყოველივე პირი და სახე, სხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწერილისა რჩულის კანონისაი“ აქა შემოკრებილ არს და განმარტებულ არს“¹⁵.

ზემოთაღნიშნულის გარდა ექვთიმეს ნათარგმნი წიგნებიდან საყურადღებოა მსოფლიო ეკლესიის საკანონმდებლო ძეგლი „კანონი შეცოდებულთაგანი“. იგი მოხსენებული აქვს გიორგი მთაწმინდელს, ეს ნაშრომი „იმ სათაურით არ არის აღნიშნული, როგორც თვით დედანშია და ეწოდება „რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმართველისაი.. მაგრამ უეჭველია ერთი და იგივე თხზულება უნდა იყვეს“¹⁶.

ყველგან, სადაც კი ადგილი ჰქონდა რეფორმაციას ევროპაში, რეფორმატორული მოძრაობის ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამა დაპირისპირებული იყო იმდროინდელი საეკლესიო წყობილებისადმი. რეფორმატორული გარდაქმნები ეხებოდა ეკლესია-მონასტრების ეკონომიკურ წყობილებას და მიზნად ისახავდა მონასტრების საძმოს შიგნით კერძო საკუთრების აღმოფხვრას პირადი მოხმარების ნივთების ჩათვლით, მონასტერში ქონების ერთობის შემოღებას სამონასტრო ცხოვრების ძირითადი საკითხების ბერ-მონაზონთა ერთობლივად გადაწყვეტას და წოდებრიობის მთლიანად უგულვებლყოფას. ივანე ჯავახიშვილი ქართულ მონასტრებში რეფორმაციამდე არსებულ ცხოვრების წესებს მონარქიულს უწოდებს, ხოლო რეფორმატორული ღონისძიებების მიხედვით სამონასტრო ცხოვრების გარდაქმნას კი რესპუბლიკურ-დემოკრატიულს.

უცხოეთში არსებული ქართული მონასტრები თავიანთი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობით უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ საქართველოს საშინაო-პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაზე, ისინი სერიოზულ რელიგიურ-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. მარტო ათონის მონასტერში, გიორგი მთაწმინდელის წინამძღოლობის დროს, როგორც ამას თვითონ გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს, 300 ბერ-მონაზონი იყო. ქართულ მონასტრებს უცხოეთში ხელმძღვანელობდნენ საგანგებოდ განსწავლული მოძღვრები, ეს მონასტრები სწავლა-განათლებისა და სამწერლო საქმიანობის ცენტრებიც იყო. უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნები და იქ არსებული რელიგიური დაწესებულებები ზემოქმედებას ახდენდნენ საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე, მტკიცედ იცავდნენ საერთაშორისო — რელიგიურ ასპარეზზე ეროვნულ ინტერესებს უცხოელი და განსაკუთრებით ბერძენი ბერების შემოტევისაგან.

¹⁴ ი. ჯავახიშვილი; ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 142-143.

¹⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. VI, გვ. 48.

¹⁶ იქვე, გვ. 40.

ექვთიმე მთაწმინდელის ათონის მონასტერში წინამძღოლობის დროს ბერ-
იენმა მღვდელმთავრებმა დაიწყეს უცხოეთში არსებული ქართული მონასტ-
რების ძარცვა და ქართველი ბერ-მონაზვნების დევნა-შევიწროება. მღვდელ-
მთავრებმა უცხოეთში არსებული ქართული მონასტრების სახელის
ვასატებად ექვთიმე მთაწმინდელის მოადგილეს ათონის მონასტერში უსაფუძ-
ვლოდ დადეს ბრალი რომანოზ მეფის ღალატში, რასაც თან მოჰყვა ბერძენთა
მხრიდან ქართველი ბერ-მონაზვნების შევიწროება. ქართველი ბერ-მონაზვნები
დღე და ღამე მოღვაწეობდნენ ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებ-
ლად, მისი დემოკრატიზაციისათვის.

იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ათონის მონასტერში მოღვაწეობიდან
იწყება რეფორმები მონასტრის ბერ-მონაზონთა შერჩევის საქმეში, კერძოდ,
მათი წინამძღოლობის დროს და მის შემდეგაც, ათონის მონასტერში ვინმეს
მიღებისას უპირატესობა ენიჭებოდა მშრომელ და განსაკუთრებული უნარისა
და ნიჭის მქონე დაბალი სოციალური წარმოშობის ადამიანებს. წარჩინებული
წარმოშობის ადამიანებს ექვთიმე საგულდაგულოდ აკვირდებოდა და სწავლობ-
და იმას, შეეძლო თუ არა მათ მდიდრული ყოფა-ცხოვრების ჩვევების დაძლევა
და ქონების ერთობის მიხედვით ცხოვრება. მას შემდეგ, როცა დარწმუნდებო-
და, რომ მონასტერში ბერ-მონაზვნად მოსული დიდებულები წარმოშობითა და
შეძლებით ქედმაღლობას თავს ვერ ანებებდნენ, ექვთიმე მის მიერ შემოღე-
ბული სამონასტრო ცხოვრების წესებთან შეუთუებელ წარჩინებულებს უკან ის-
ტუმრებდა გ. მთაწმინდელი, წერს, რომ ექვთიმე სიხარულით ღებულობდა სა-
ძმოს წევრად თუ ვინმე მოვიდოდა „ძმაი მშრომელი და მდაბალი... გრწმე-
ნიან ძმანო, ამითი მირჩევნია შეწყნარებად, ვიდრე ათასიმცა ვინ დრაჰკანი
ძომცა“.

მონასტრებში ბერ-მონაზვნებისათვის შრომა სავალდებულოდ მიაჩნდა ექ-
ვთიმეს. მონასტრის წინამძღოლიც ვალდებული იყო ბერ-მონაზვნების მსგავ-
სად ეშრომა. გ. მთაწმინდელის ცნობით სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებში,
მაგალითად ზღვიდან ნავის გამოზიდვა, ხორბლის გადმოტვირთვა ნავიდან
ხმელეთზე და ა. შ. ყველა ბერ-მონაზონს მონაწილეობა უნდა მიეღო. აღსანიშ-
ნავია, რომ ექვთიმე მთაწმინდელს შრომა მიაჩნდა ყველა ადამიანის გამთნაბ-
რებლად და სხვადასხვა სახის შრომაში დიდ განსხვავებას არ ხედავდა, ფიზიკუ-
რი შრომა მას გათანაბრებელი ჰქონდა ინტელექტუალურ შრომასთან. გიორგი
მთაწმინდელის ცნობით სამეურნეო სამუშაოებში მონაწილე ბერებს ეს ფი-
ზიკური შრომა ექვთიმეს განკარგულებით რელიგიურ სამსახურად, კერძოდ
ლოცვად ეთვლებოდა.

ქართული ეკლესია-მონასტრების ხელმძღვანელობის არისტოკრატიზაცია
ი. ჯავახიშვილის აზრით X საუკუნეში უნდა დაწყებულიყო. ამ მოვლენას გა-
ბედული ბრძოლა გამოუცხადა გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც იოანე და
ექვთიმე მთაწმინდელების ლოცვა-კურთხევით გახდა ათონის მონასტრის წინამ-
ძღოლი და ღირსეულად განაგრძო სახელოვანი წინაპრების მიერ დაწყებული
რეფორმატორული მოღვაწეობა.

გიორგი მთაწმინდელის ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევენ მის ზოგად
მსოფლმხედველობაზე. ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი
გამოკვლევა იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების რეფორმატორული საქმიანო-


ბის შესახებ. ნაწარმოებში აღწერილია იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება და საქმიანობა; მაგრამ ნაწარმოებში გიორგი მთაწმინდელის ზოგად მსოფლმხედველობასთან ერთად დახასიათებულია ის მიზნები და ამოცანები, რასაც ისახავდა ქართული რეფორმაცია, დასაბუთებულია ქართული რეფორმაციის პროგრამის ძირითადი მოთხოვნები. გიორგი მთაწმინდელის ეს ნაწარმოები „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა შუენისა იოანესა და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაისა, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“, ათონის მონასტერში გიორგი მთაწმინდელი საგანგებოდ ჩავიდა, რათა საფუძვლიანად გასცნობოდა იოანეს და ექვთიმეს შემოქმედებით საქმიანობას და აგრეთვე მათ თხზულებებს, რომლებიც მონასტერში ინახებოდა, იგი საჭიროდ და აუცილებლად თვლიდა ბერძენ-ქართველთა ინტერესების შეჯახების პროცესში სათანადოდ წარმოეჩინა ათონის მონასტერში ქართველთა საქმიანობა და ამით შეეჩერებინა ბერძენ მღვდელმთავართა შემოტევა ქართველების წინააღმდეგ. პირველყოვლისა, ბერძნებს განზრახვა ჰქონდათ ათონის მონასტრის დაბარსებლების იოანეს და ექვთიმეს სახელები წაეშალათ და მოესპოთ საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებულ ათონის ქართველთა მონასტრის შემოქმედებითი საქმიანობის კვალი, მონასტრის ქართველ ბერთა თხოვნით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას აქვე დეკანოზის თანამდებობა ეკავა, დაიწყო იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების სამონასტრო მოღვაწეობის შესწავლა და აღწერა, გიორგი მთაწმინდელი ამ ღირსეულ საქმეს სავსებით ნათლად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მიხედვით შესდგომია.

ზემოთაღნიშნული ნაწარმოების შესავალში გიორგი მთაწმინდელი ეხება საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა საკითხებს და იმ მეთოდებს, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მკვლევარმა დასახული საქმის შესრულებისას.

გიორგი მთაწმინდელის მტკიცებით, ღმერთი არის უმაღლესი არსება, რომლის მიზანია ამქვეყნად ადამიანებისათვის სიკეთის მოვლინება, კაცობრიობის განვითარება მიმდინარეობს პროგრესული გზით და ადამიანებს ამ მიზნით ღმერთი საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპზე მოუვლენს ღირსეულ მოღვაწეებს, რომლებსაც ხალხთა საკეთილდღეოდ დაკისრებული აქვს განსაკუთრებული მისია, თუ როგორ სრულდება ღმერთის ნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღწერილი უნდა იქნეს და იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს.

საგანგებოდ ჩერდება გიორგი მთაწმინდელი იმ მეთოდებზე, ხერხებზე და აგრეთვე წყაროებზე, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ღმერთის მიერ მოვლენილი ღირსეული მოღვაწეების ცხოვრების და შემოქმედების აღწერისას. გიორგი მთაწმინდელის აზრით, ისტორიული თხზულების წერა დიდ ცოდნას მოითხოვს, როგორც მისი ავტორის, ასევე მკითხველისაგანაც. მკითხველს რომ გაუადვილდეს ისტორიული თხზულების შინაარსის სწორი გაგება, აუცილებელია ისტორიული მოვლენების და ფაქტების მოთხრობას ავტორი იწყებდეს მხოლოდ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით და ფაქტობრივი მასალები ანალიზის საფუძველზე შეთხზული ამბების ვადმოცემა ავტორმა უნდა შეძლოს მომენტის შესაფერისად ვრცლადაც და მოკლედაც. გიორგი მთაწმინდელის ამ მოსაზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მიერ საეკლესიო ცხოვრების რეფორმატორების იოანეს და ექვთიმეს მიერ შესრულებული საქმეების სიღიადის გასაგებად.

გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოებიდან სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ



ცნობა იმის შესახებ, რომ ათონის მონასტერში მისი წინამძღოლი დად შეწუხებული იყო ამის გამო, რომ საბერძნეთის ეკლესიები მდიდარი ფილა წიგნებით. საქართველოში კი ქართულ ენაზე ამ წიგნების დიდი უმრავლესობა არ არსებობდა. ქართველთა სულიერი ცხოვრების ამ ხარვეზის შესავსებად იოანე სისტემატურ ღონისძიებებს ღებულობდა და პირველყოფლისა. ერთად-ერთი შვილი ექვთიმე დაასაქმა „სწავლითა ბერძულითა“ და მას შთააგონებდა „სრულად გადმოთარგმანებით წარმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად“¹⁷. ექვთიმემ გაამართლა მამის იმედები. ქართულად თარგმნა და მცენიერული შრომებით გაამდიდრა ქართველთა სულიერი ცხოვრება. ექვთიმეს შემდეგ იოანეს ანდერძის თანახმად ათონის მონასტრის წინამძღოლობა წილად ხვდა გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ბერძენ-ქართველ მღვდელმთავართა ბრძოლაში, ქართული, ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ამ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთ საკითხს, რომელსაც ბერძენი სამღვდელთა აზრით, ქართველები უნდა დაემარცხებინა და მათი მორჩილი გაეხადა. ი. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ეს საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის და თვითმმართველობის უფლებას შეეხებოდა. რასაკვირველია პირველად გიორგი მთაწმინდელის დროს არ დაბადებულა ეს საკითხი; უცბად ამგვარ საგანზე სჯა-ბაასის დაწყება შეუძლებელია; როდესაც ანტიოქელ სამღვდელთა ამ საკითხზე კამათის ჩამოგდება სურდათ, უნდა სცოდნოდათ უეჭველია, რომ სწორედ ეს საკითხი იყო ქართველებისათვის და მათი სამღვდელთაებისათვის საშიშარი, რომ სწორედ ამ მხრივ შეიძლებოდა მათი ჯობნა და საბოლოო დამარცხება... გიორგი მთაწმინდელის დროს თურმე „კაცია ვიეთმე მრავალღონეთა და მანქანათა მოახსენეს და დაუწყეს პატრიარქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელ-მოძღვარნი ქართლისანი არა რომელთა პატრიარქისა ხელმწიფობასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დასხმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და არა მართალ არს, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქუეყანასა მათსა, და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღვთასასა და საყდართა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამის ხელმწიფობასა ქუეშე, ნათესავი არს უმეცარი და სამწყრო მცირე და ჩუენდა მახლობელად არიან. და ჯერ არს, რათა ხელმწიფობასა ქუეშე ანტიოქიისა პატრიარქისასა იმწესებოდენ და აქა იკურთხეოდის კათალიკოსი მათი“¹⁸.

ანტიოქიის პატრიარქსეს ბეზლობა უყურადღებოდა არ დაუტოვებია. მეტიც, კიდევაც დასჯდომია ჭკუაში, რადგან ეს ბრალდება მართლაც შეიძლებოდა მოხერხებულად გამოეყენებია ქართველ მღვდელმთავრებთან ბრძოლაში ანტიოქიის საპატრიარქოს გასაფართოებლად და საეკლესიო შემოსავლის გასაზრდელად. ანტიოქიის პატრიარქმა გადასწყვიტა საქმე ქართველებთან მოლაპარაკებით გაეთავებინა და ამ მიზნით მან მიმართა იმ დროის გამოჩენილ რეფორმატორსა და ქართველებს შორის უმაღლეს ავტორიტეტს გიორგი მთაწმინდელს, რათა მას დაერწმუნებია ქართველთა მეფე და ქართველი მღვდელმთავრები, ქართული ეკლესია ნებაყოფლობით დამორჩილებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს. თანაც ანტიოქიის პატრიარქი იმუქრებოდა, რომ ქართულ ეკლესიას

¹⁷ თ. ყორღანია, ქრონიკები, 1, 40-1.

¹⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 181-182.

ლესიას იგი შეთქმულებას მოუწყობდა, კერძოდ, მართლმადიდებლურ სამყაროში ოთხივე სამოციქულოს აუწყებდა, რომ ქართველი მღვდელმთავრები ქედრულად მალლობენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქუეყანაში არცერთ მოციქულს ვერაფერს უქადაგებია და გაუფრცვლებია ქრისტიანობა და „თვინიერ სამოციქულოსა კანონისა თვით იმწყესებიან და მოციქულთაგანი არავინ მოსულ არს ქუეყანასა მათსა“¹⁹.

ამრიგად, ანტიოქიელ პატრიარქს ვერაგული გეგმები ჰქონდა, იგი ცდილობდა ქართველებისათვის მწვალებლობა დაებრალებია, ქართველი მღვდელმთავრების შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელი შეეშალა. ასეთი ვითარებაში „ქართველებისათვის შეურყეველი საბუთი იყო საჭირო, რითაც ბერძნებისათვის სამუდამოდ კრიჭა შეეკრათ. ასეთ საბუთად... მხოლოდ ისეთი ისტორიული საბუთი გამოდგებოდა, რომლითაც ცხადად დამტკიცდებოდა, რომ ქრისტიანობას საქართველოში ერთ-ერთი მოციქულის ქადაგებამ დაუდო საფუძველი, მაშინ ანტიოქიელი სამღვდლოება იძულებული იქნებოდა გაჩუმებულიყო და ქართული ეკლესიის დამორჩილების იმედი გაუცრუვდებოდა“²⁰.

თავისი დროის მაღალი ავტორიტეტის მქონე მღვდელმთავარმა ასეთი საბუთიც აღმოაჩინა, ბერძენ მღვდელმთავრებს პირში ბურთი ჩასხრა და ბერძნებს მიუთითა, რომ რელიგიურ-სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ქართულ ეკლესიას უნდა დამორჩილოს ანტიოქიის საპატრიარქო, რადგან ისტორიული მოვლენები ცხადყოფენ, რომ საქართველოში ქრისტიანობა გაავრცელა ქრისტეს მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, ბერძნებში კი ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია ანდრია პირველწოდებულის უმცროსი ძმის პეტრეს სახელთან და ამას გარდა, „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანმა, სიმონს ვიტყვი კანანელსა — ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“.

ამრიგად, გიორგი მთაწმინდელმა ცხადყო, რომ ქართველები ქრისტიანულად განათლებულია ქრისტეს მოციქულთა მიერ, მეტიც ანდრია იყო ერთ-ერთი მაღალი ავტორიტეტის მოციქული, რომელმაც ქრისტიანობა იქადაგა და გაავრცელა საქართველოში.

ბერძენ მღვდელმთავრებთან ბრძოლაში ამაღლდა გიორგი მთაწმინდელის სახელი, ბერძნებმა და ქართველებმა იგი აღიარეს ქრისტიანული სამყაროს გამოჩენილ იდეოლოგად და მოღვაწედ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ქრისტიანული რწმენისა და წყობილების განმტკიცებისათვის, ქართულმა ეკლესიამ იგი აღიარა უმაღლეს ავტორიტეტად ხოლო ქართველმა მცდელებმა მისი სახელი გამოიყენეს ამ დროს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების წარმატებით დასაგვირგვინებლად.

გიორგი მთაწმინდელი რამდენჯერმე მიიპატიჟა საქართველოს მეფემ ბაგრატი მეოთხემ სამშობლოში ათონის მონასტრიდან. პირველ მიიპატიჟებაზე გიორგი მთაწმინდელმა უარი განაცხადა, რადგან იმ დროს საქართველოს ეკლესიაში არსებული მდგომარეობა არ მიაჩნდა მისი იდეალების განხორციელებისათვის შესაფერისად, მაგრამ მეორედ მიიპატიჟებაზე უარი აღარ უთქვამს და საქართველოში დაბრუნდა, გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ზარ-ზემით შიილეს და ფოთიდან ქუთაისამდე პატივისცემით მიაცილეს, ქუთაისიდან კი

¹⁹ იქვე, გვ. 182.

²⁰ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 183.

გეორგი მთაწმინდელი საქართველოს მეფეს ბაგრატ მეოთხეს ეახლა, ბაგრატმა კი იგი დიდი სიხარულით მიიღო.

საქართველოს მდგომარეობა კი ამ დროს მძიმე იყო, ქვეყანაში შიმშილობა მძვინვარებდა, ხალხი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ქართულ ეკლესიაში ამ დროს წოდებრიობა იყო გაბატონებული, საეკლესიო თანამდებობები დაკავებული ჰქონდათ ფეოდალურ არისტოკრატის, რომელიც ქვეყნის მთელ სიმდიდრეს ეკლესიების გამშვენიერებას ახმარდა, ხალხი კი უყურადღებოდ იყო პიტოვებული და შიმშილობდა. ი. ჯავახიშვილი წერს, რომ ამ დროს საქართველოს ეკლესიაში „წოდებრიობა და სიმდიდრე გაბატონებული იყო: საეპისკოპოსო, ხარისხი მაშინ დიდებულ აზნაურთა გვარისშვილებს ეპყრათ. ამ თანამდებობას მეფე ბაგრატ IV თურმე ჰყიდდა და ეკლესიას ასეთი უკანონობა შემოუპარა, რასაკვირველია ეპისკოპოსობას ღირსეული კი არ მიიღებდა, არამედ ვინც უფრო მდიდარი იქნებოდა. ეს საშინელი გამანადგურებელი უწყსობა ძირ-ფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყო და გეორგი მთაწმინდელმა აქ დიდი გამბედაობა გამოიჩინა“²¹.

გეორგი მთაწმინდელის გამბედაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართულ ეკლესიაში წესრიგის დასამყარებლად იგი არავის ინდობდა, თვით მეფესაც კი და მღვდელმთავრებს წესრიგისაკენ მოუწოდებდა, ებრძოდა ეკლესიაში გაერცვლებულ მექრთამეობას და ვერცხლისმოყვარეობას და რაც მთავარია, მფარველობდა დაბალი სოციალური წარმოშობის, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭის და უნარის საერო და საეკლესიო მოხელეებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბრძოლას, რომელიც გეორგი მთაწმინდელმა დაიწყო ქართულ ეკლესიაში წოდებრიობის წინააღმდეგ. მან შეკრიბა დაბალი სოციალური წარმოშობის, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდები და მღვდლებად აკურთხა, რაც იმ დროისათვის უჩვეულო ამბავი იყო და დიდ გაკვირვებას იწვევდა საზოგადოებაში. შემდეგში გეორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი გეორგი ხუცეს-მონაზონი ამის შესახებ წერდა, რომ „ესე ნუ ვის უკვირს, რამეთუ მამამთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და მეფე გახდა ეგვიპტისა, ღოლო დავითი მწყემსი“ და მიუხედავად ამისა ღვთისმეტყველამდე ამაღლდა.

გეორგი მთაწმინდელმა ქართული ეკლესიის მმართველობაში მონარქიული წესების ნაცვლად დემოკრატიული წყობილება შემოიღო. ეს საქართველოში მოასწავებდა რეფორმაციის დაწყებას, რაც საყურადღებო მოვლენაა, რადგან „დასავლეთ ევროპაშიც კი ეკლესიებსა და მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება XIII საუკუნეში დაიწყო“²². ბრძოლას ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის გეორგი მთაწმინდელი ხუთი წლის განმავლობაში აწარმოებდა, რის შემდეგ იგი სიყვარულით გამოეთხოვა ერს. მეფეს, სამშობლოს და საქართველოში შიმშილობის დროს შეგროვებული 80 მოწაფით 1065 წელს ათონის მონასტრისკენ გაემგზავრა, მაგრამ იმავე წელს იგი მოულოდნელად კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა.

²¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 186.

²² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 191.

ვისაც გიორგი მთაწმინდელის საქართველოში ყოფნის დროინდელი ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის და გიორგი მთაწმინდელის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგების წარმოდგენა შესაძლებელია. მის ბუნებრივად გაახსენდება დასავლეთ ევროპაში და კერძოდ, გერმანიაში მარტინ ლუთერის, თომას მიუნცერის და სხვათა სახელებთან დაკავშირებული რეფორმაცია, რითაც გერმანიის ეკლესიაში ახალი პერიოდი, რენესანსი დაიწყო.

საქართველოს სულიერ ცხოვრებაში იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების შემოქმედებით საქმიანობის შემდეგ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეკლესიაში რეფორმაციას, იწყება საერო რენესანსულ-ჰუმანისტური მოძრაობა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დავით აღმაშენებლის, ყუთლუ-არსლანის და შოთა რუსთაველის მეთაურობით.

ი. ჯავახიშვილი ამთავრებს რა ქართული რენესანსის დაწყებითი საფეხურის, რეფორმაციის შესწავლას, სამართლიანად შენიშნავს: „როგორც შემდეგ თავში, საქართველოს მეფის ხელისუფლების ისტორიის დროს დავრწმუნდებით, სამონასტრო ცხოვრებაში მონარქიული წესწყობილების რესპუბლიკურად შეცვლა საქართველოში მარტო ეკლესიის ხფეროს არ შეხება, არამედ მისი გავლენის კვალი სახელმწიფო წესწყობილებასაც ცხადად ემჩნევა“.

აღორძინების ეპოქა უცხოეთის და საქართველოს ეკლესია-მონასტრებში იწყება რეფორმაციით, რის შემდეგ მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა ნათლად შეიმჩნევა საერო ცხოვრებაში, კერძოდ, სახელმწიფოებრივ მმართველობაში, როცა დავით აღმაშენებელმა შექმნა საერთო კავკასიური სახელმწიფო და შეიმუშავა ახალი პოლიტიკური კურსი.

პალერი ლორია

ადმინისტრაციული იუსტიცია

კანონიერების უზრუნველყოფა სახელმწიფო მმართველობაში მიიღწევა როგორც სახელმწიფო აპარატის შიგნით მმართველობის შესაბამისი ფუნქციის (კონტროლის) განხორციელების გზით, ისე აპარატის გარეთ სპეციალური ორგანოების მეშვეობით. პირველ შემთხვევაში ესაა სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მეორე შემთხვევაში — ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გატარება. საქმიანობის ორივე სახე (როგორც კონტროლი, ისე ადმინისტრაციული სასამართლო წარმოება) წარმოადგენს ადმინისტრაციული იძულების იურისდიქციულ საქმიანობას და მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მმართველობაში კანონიერების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მმართველობის აპარატის შიგნით, მის სისტემაში კანონიერების დაცვის საშუალებას ადმინისტრაციულ-იურისდიქციულ კონტროლს უწოდებენ, ხოლო მის გარეთ — ადმინისტრაციულ იუსტიციას.

კანონიერების დაცვა სახელმწიფო აპარატის უპირველესი ამოცანაა. მთელი სახელმწიფო მექანიზმი მოწოდებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებული ყველა სოციალური ჯგუფის, ორგანიზაციის თუ დაწესებულების და განსაკუთრებით თითოეული მოქალაქის, თითოეული ადამიანის კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვისაკენ. მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლებები და კანონიერი ინტერესები შესაბამის სუბიექტებს გააჩნიათ. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს რეალური უფლებები და არა სახელმწიფოს მიერ უზუარპირებულ უფლებებში მონაწილეობის, მისი უფლებებით ნაწილობრივ სარგებლობის შესაძლებლობა. საბჭოთა სოციალისტურმა წყობამ ადამიანს წაართვა ყველა უფლება დაწყებული საკუთრების უფლებითა და დამთავრებული სიცოცხლის თავისუფლებით. ამან გამოიწვია კანონიერების უხეში დარღვევები და თვითნებობები, ადამიანების მასობრივი რეპრესიები, სახელმწიფო აპარატისადმი მონური მორჩილება. ადამიანთა არსებობის შენარჩუნების ერთადერთი შესაძლებლობა და მიზანსწრაფვა იყო სახელმწიფო აპარატში მუშაობა, მასში რაიმე თანამდებობის მოპოვება და ბრძოლა უკეთესი თანამდებობებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანები თანამდებობების მონებად აქცია. სახელმწიფოს მათრახის ქვეშ მყოფი ხალხი ეწეოდა მონურ შრომას, რომ-

ლის შედეგების უმნიშვნელო ნაწილით სარგებლობაც კი მას შეეძლო მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვით.

ასეთი სახელმწიფო მექანიზმის ერთბაშად დაშლა მეტად ძნელია, მაგრამ გადაუდებლად აუცილებელი. უბირველეს ყოვლისა, აუცილებელია ხელისუფლების რეალური დანაწილება სახელმწიფო ორგანოებს შორის, განსაკუთრებით საჭიროა მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადმინისტრაციული იუსტიციის არსებობა. ამის პარალელურად უნდა მოხდეს მეურნეობის ყველა დარგის (გარდა სამხედრო მრეწველობისა) და საკუთრების ყველა ობიექტის პრივატიზაცია. სახელმწიფოს არავითარი საკუთრება და არავითარი პრეტენზია ვინმეს საკუთრებაზე არ უნდა ჰქონდეს. ყოველ ადამიანს თავისი რეალური მატერიალური არსებობის სრული შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კანონიერების დაცვა ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. სხვაგვარად კანონიერების დაცვა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ უზურპირებული ხელისუფლების დაცვას ადამიანის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რომლის დროსაც ადმინისტრაციული იუსტიცია სრულიად ზედმეტი ხდება, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო. სახელმწიფო ბოროტების საწყისი არ უნდა იყოს საზოგადოებაში, იგი კანონიერების დაცვისა და ადამიანთა ჰარმონიული ცხოვრების ბურჯი უნდა გახდეს.

სახელმწიფო, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, იქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა (კანონებს კი მეტწილად რეფერენდუმის წესით უნდა ლეზულობდნენ) და საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების მოგვარება, ხოლო სახელმწიფო აპარატის შესანახად უნდა ასეობდეს მხოლოდ საგადასახადო სისტემა. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში სახელმწიფოს „ხელის ფათური“ მოასწავებს ხელისუფლების უზურპაციას, ადამიანთა უფლებების გათელვას, ბრძოლებს და სისხლისღვრას ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და თანამდებობების მოსაპოვებლად. შემთხვევით როდი იყო, როცა გენიალური ქან-ქაკ რუსო მოითხოვდა საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებას უკანასკნელისაგან მოსალოდნელ ბოროტებათა ალაგმვის მიზნით.

როგორც ადმინისტრაციული იუსტიციის, ისე ადმინისტრაციული იურისდიქციული კონტროლის მიზანია სახელმწიფო მმართველობის სფეროში წამოჭრილი დაეებისა და სამართალდარღვევების განხილვა ამ სფეროში კანონიერების უზრუნველსაყოფად. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება მომხდარი სისხლისსამართლებრივი დარღვევების (დანაშაულობათა) გამოძიება და განხილვა, რაც სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო-კანონმდებლობის რეგულირების საგანია და სცილდება ადმინისტრაციული კონტროლისა და ადმინისტრაციული იუსტიციის საზღვრებს. დანაშაულის გამოძიების პროცესუალური ფორმები არ განეკუთვნება მმართველობის ფორმებს, ვინაიდან დანაშაულის გამოძიება აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა არ არის, იგი მართლმსაჯულების ნაწილია.

ადმინისტრაციული იუსტიცია, ამ სიტყვების იურიდიული მნიშვნელობი-

დან გამომდინარე, გულისხმობს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო გადაწყვეტას. სასამართლო ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოების სისტემაში არ შედის, მაგრამ სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტა ადმინისტრაციული იურისდიქციის ჩასიათისაა და საქმისწარმოებაც ადმინისტრაციულ-პროცესუალური.

ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებში საქმეთა გადაწყვეტა ადმინისტრაციული იურისდიქციის ჩასიათს იმიტომ ატარებს, რომ ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა აქ ხდება მმართველობის ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. ადმინისტრაციული სასამართლო ახორციელებს ორგანიზაციულ საქმიანობას, რის მეშვეობითაც იგი აღწევს კანონიერების აღდგენას ან დაცვას მმართველობის სფეროში. ადმინისტრაციული იურისდიქცია ადმინისტრაციულ იუსტიციის ორგანოებში (ადმინისტრაციულ სასამართლოებში) ატარებს ნეგატიურ მოვლენებთან (ადმინისტრაციულ დავებთან და სამართალდარღვევებთან) ბრძოლის ჩასიათს, რის გამოც მმართველობის ორგანოთა პოზიტიური იურისდიქციული საქმიანობის სფეროში ისინი არ ერევიან, თუ ეს არ არის დაკავშირებული განსახილველ კონკრეტულ საქმესთან.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები განიხილავენ მხოლოდ ადმინისტრაციულ დავებს (ადმინისტრაციულ საჩივრებს, ადმინისტრაციულ სარჩელებს) და ადმინისტრაციულ, დისციპლინურ, მატერიალურ სამართალდარღვევებს, მაგრამ საერთოდ არ ერევიან მმართველობის ორგანოების აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში, გარდა განხილულ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული საქმიანობისა, რაც თავისთავად მმართველობის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ნაწილია.

ბიუროკრატია უმაღლეს ადმინისტრაციას გულისხმობს. იგი წარმოსდგება ორი სიტყვისაგან: ფრანგული „ბიურო“-სა (დაწესებულება) და ბერძნული „კრატოს“-აგან (ხელისუფლება). ბიუროკრატის საქმიანობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული, რომელიც კანონების აღსრულებას ისახავს მიზნად. რამდენადაც კანონის სიცოცხლისუნარიანობა მის აღსრულებაშია, ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატის მიერ კანონიერების დაცვას.

აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის სფეროში კანონიერების დაცვის მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო დაცვა. სასამართლო ორგანოთა სისტემას, რომელიც მმართველობის სფეროში კანონიერებას სპეციალურად იცავს, ადმინისტრაციულ იუსტიციას უწოდებენ.

ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი წარმოიშვა ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში, ხოლო შემდეგ გავრცელდა მთელ ევროპაში. არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის 3 სისტემა: ინგლის-ამერიკული, ავსტრია-გერმანული, ფრანგული.

ინგლის-ამერიკული ადმინისტრაციული იუსტიცია გულისხმობს ადმინისტრაციული

ტრაციულ საქმეთა განხილვას საერთო სასამართლოებში, ხოლო სპეციალური საქმეებისა — საუწყებო ადმინისტრაციულ ტრიბუნალებში (მაგ., აშშ-ში კვაზი — სასამართლოებში). ეს უკანასკნელები მეტწილად განიხილავენ დავებსა და საჩივრებს პენსიების დანიშვნის, სამედიცინო დახმარების და სხვათა გამო.

ავსტრია-გერმანული ადმინისტრაციული იუსტიცია მოიცავს ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს, მიწების უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოებს, ხოლო უფრო ქვედა რგოლი არ არსებობს. მათ მეთაურებს პრეზიდენტები და ვიცე-პრეზიდენტები ეწოდებათ. მათი წევრები ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, ხოლო საპატიო წევრები აირჩევიან. ეს სასამართლოები მოქმედებენ ადმინისტრაციული სამართალწარმოების კონტროლით, და იხილავენ არა მარტო მოქალაქეთა, არამედ კომპანიების, კორპორაციებისა და სხვათა საჩივრებს მმართველი ბიუროკრატის მიმართ.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანიზაცია სისტემა. იგი შედგება სამი რგოლისაგან: სახელმწიფო საბჭოსაგან, რომელიც ცენტრალური და ხელმძღვანელი ორგანოა, რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან და სპეციალიზებული ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან, რომლებიც იქმნებიან სპეციალურ საქმეთა განსახილველად, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო ცხოვრების მეტად ფართო სფერო: აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ეშელონი და მმართველობის ყველა აქტი დაწყებული მუნიციპალური გადაწყვეტილებიდან და დამთავრებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ორდონანსებით.

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო იქმნება მთავრობის მიერ, მისი ოფიციალური თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი, ხოლო მოადგილე — იუსტიციის მინისტრი, მაგრამ გარდა საზეიმო შემთხვევებისა ისინი ამ ფუნქციებს არ ასრულებენ და ამიტომ, ფაქტობრივად, სახელმწიფო საბჭოს მეთაურია მისი ვიცე-თავმჯდომარე. სახელმწიფო საბჭოს გააჩნია ბიურო და 4 სექცია (საზოგადოებრივ საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსების, სოციალურ საკითხთა). განსაკუთრებით გამოიყოფა სასამართლო იურისდიქციული სექცია, რომელიც აკონტროლებს ქვეყანაში დავებისა და კონფლიქტების საქმეთა განხილვას. ამდენად სახელმწიფო საბჭო არის როგორც საკასაციო, ისე პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლო.

საფრანგეთში 30 რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოა, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე რეგიონებია ქვეყანაში. არსებობს პარიზის ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც რამდენიმე სექციისაგან და 50 წევრისაგან შედგება. არსებობს ვერსალის ადმინისტრაციული სასამართლოც, რომლის იურისდიქცია ვრცელდება პარიზის განაპირა და თვით ვერსალის ტერიტორიაზე. აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა ხდება საკონკურსო შერჩევის წესით ეროვნული ადმინისტრაციული უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებისა და პერიფერიული საშტატო ჩინოვნიკებისაგან. ეს სასამართლო-

ები წელიწადში დაახლოებით 40 ათას საქმეს განიხილავენ. რომელთა 10-15% სააპელაციოდ გადადის სახელმწიფო საბჭოში.

საფრანგეთის სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ სასამართლოთაგან აღსანიშნავია საანგარიშო პალატა, რომელიც აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულებას და მას ჰყავს თავისი რევიონალური საანგარიშო პალატები, რომლებიც ადმინისტრაციული სასამართლოებია. ასევე არსებობს სპეციალიზებული დისციპლინური ადმინისტრაციული სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის (დახმარების) ადმინისტრაციული სასამართლო სამხედრო პენსიების საქმეებზე და ომით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლო.

რუსეთის იმპერიაში ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტი განუვითარებელი იყო. იგი წარმოდგენილი იყო საგუბერნიო საკრებულოთა სახით (გუბერნსკიე პრისუსტვია), რომლებიც განიხილავდნენ მხოლოდ საგადასახადო, საგზაო ბეგარის, საპოლიციო დადგენილებათა დარღვევების საქმეებს. მათი ზედა ინსტანცია იყო სენატის პირველი დეპარტამენტი. საქმის განხილვის სასამართლო პროცესუალური წესი ამ ორგანოებში გამორიცხული იყო. იწერებოდა მხოლოდ ოქმები. უწყების წარმომადგენელს საქმის განხილვისას მოსამართლის თანაბარი უფლებები ჰქონდა.

დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკაში, 1919 წლის 30 ივლისის „საქართველოს სენატის დებულების“ თანახმად, სენატის სამოქალაქო საკაციალო დეპარტამენტში შექმნილი იყო საადმინისტრაციო განყოფილება, რომელიც ზედა ინსტანცია იყო ადგილობრივი სასამართლოების საადმინისტრაციო განყოფილებების მიმართ. ეს ორგანოები განიხილავდნენ საჩივრებს, პროტესტებს და თხოვნებს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიმართ და საერთოდ ყველა საქმეს, რაც „არ ეკუთვნის სენატის სისხლის სამართლის, სამოქალაქო დეპარტამენტების ან საზოგადო კრების ან დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს განსახილველი საკითხების რიცხვს“ (დებულების მუხ. 34, პ. 15).

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ადამიანთა უფლებების დაცვის ყველა დემოკრატიული ფორმა თუ იგი რალაც ფორმით მაინც იყო შემორჩენილი მეფის თვითმპყრობელობის დროიდან. ეს შეეხებოდა საგუბერნიო საკრებულოებსაც. ადმინისტრაციული იუსტიცია და ადმინისტრაციული სამართალი საერთოდ ბურჟუაზიული სამართლის რეცეფციად იქნა მიჩნეული საბჭოთა სინამდვილეში, რის გამოც დაიწყო ბრძოლა სამართლის ამ დარგის მიმართ. 30-იანი წლების უმაღლეს სასაწავლებლებში აკრძალული იყო სამართლის ამ დარგის სწავლება, მაგრამ იურისტთა პირველ საკავშირო ყრილობაზე (1938 წ.) აღინიშნა ადმინისტრაციული სამართლის არსებობის შესახებ საბჭოთა სინამდვილეში, (თუმცა მეტად შეზღუდული და არადემოკრატიული სახით), და აი. 1940 წელს პირველად, ლენინგრადელი მეცნიერი ა. მაგიდი აყენებს წინადადებას ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის შესახებ. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას გაგონებაც არ უნდოდა ამის თაობაზე, და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, რო-

გორ შეიძლება ბოლშევიკური დიქტატურის სახელმწიფოში პარტიის მიერ წერტილური ჩინოვნიკის მოქმედებაში ვინმეს ეჭვზე შეპარვოდა და მით უფრო სასამართლო განსჯის საგნად გამხდარიყო იგი.

საბედნიეროდ, დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოში თავისუფლად შეიძლება დაისვას საკითხი ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოთა სისტემის შექმნის შესახებ. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს მართლმსაჯულების ტრადიციულ-უნევერსალური პრინციპიდან, რომლის თანახმადაც „არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეში“, რომ თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების განსჯა კვლავ თანამდებობის პირს არ უნდა მივანდოთ, ნეიტრალური ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა გამოიწვევს მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებების ხელყოფას. მეორეც, ადმინისტრაციული სასამართლო ნეიტრალური და კალიფიციური იურიდიული დაწესებულებაა, რომელიც კანონების ზუსტი შესაბამისობით გადაწყვეტს ადმინისტრაციულ დავას და ადმინისტრაციული მსუხმობის გამოყენების ფარგლებს. მესამეც, ნეიტრალური ადმინისტრაციული სასამართლო უკეთ გამოძებნის შემარბებელ მომენტებს მოდავე მოქალაქესა და მმართველობის ორგანოს თუ თანამდებობის პირს შორის. ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეზე ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე მმართველობის აქტს, ვინაიდან, პირველი გამოიტანება მთელი სახელმწიფოს სახელით. დაბოლოს, ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმისწარმოება ეყრდნობა ადმინისტრაციულ პროცესს, რომელიც გულისხმობს სწრაფ სამართალწარმოებას და გამოიწვევს დავის საგანზე უფლების გაქრობას ხანდაზმულობის გამო.

ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა გულისხმობს, რომ: 1) ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება მმართველობის ორგანოებისაგან გამოცალკევებულ, სპეციალურ, ნეიტრალურ ორგანოში — ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული მოსამართლის მიერ; 2) ადმინისტრაციული სასამართლო შეამოწმებს მმართველობის ორგანოს და მისი თანამდებობის პირს, განხორციელებს კონტროლს მხოლოდ იმ ადმინისტრაციული საქმის გამო და იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მის წარმოებაშია; 3) ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმისწარმოება განხორციელდება ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ფორმებში, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიულობას, სისწრაფეს, სიმარტივეს, ობიექტურ ქეშმარიტებას და კანონიერებას.

ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა შეიქმნეს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე — რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) ადმინისტრაციული სასამართლოების სახით, რომელთაც სააპელაციო ინსტანციად ეყოლებათ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული პალატა. ორგანოთა მთელი ამ სისტემის შექმნა რესპუბლიკის მთავრობას უნდა ევალებოდეს.


ადმინისტრაციულ სასამართლოებს უნდა გადაეცეთ ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმის განხილვა, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე მოქალაქეა. ამას-

თან დაკავშირებით. გადასინჯვას საჭიროებს არა მარტო ადმინისტრაციულ სა-
მართლდარღვევათა კოდექსი, არამედ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და
სამოქალაქო-პროცესუალური კოდექსები. ადმინისტრაციული მოსამართლე უნ-
და იხილავდეს ყველა ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეს, ხოლო პასუ-
ხისმგებლობის დებენალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრინციპებიდან გა-
მომდინარე, საჭირო იქნება მთელი რიგი დანაშაულობებისათვის დაწესდეს ად-
მინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამასთან, ვაიზარდოს ადმინისტრაციული
ჯარიმის ოდენობა. პასუხისმგებლობისა და კანონმდებლობის სტაბილიზაციის
პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა წეს-
დებოდეს მხოლოდ კანონით და არა კანონქვემდებარე აქტებით, მით უფრო
დაუშვებელია მისი შემოღება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრი-
ვი ორგანოების მიერ, რაც გამოიწვევს განუკითხაობას და ქაოსს ადმინისტრა-
ციული პასუხისმგებლობის სფეროში. თუკი ინგლისის პარლამენტს იმის დრო
რჩება, რომ იმსჯელოს ავტომანქანებში ღვედებით მგზავრობის აუცილებლო-
ბაზე, საქართველოს პარლამენტს რა გაუჭირდება, რომ ადმინისტრაციული პა-
სუხისმგებლობა ამა თუ იმ დარღვევისათვის სხვა ორგანოს მეშვეობით შე-
მოიღოს?

ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა იხილავდნენ არა მარტო ად-
მინისტრაციული გადაცდომების საქმეებს, არამედ მოქალაქეთა საჩივრებსაც
მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების
გამო, შრომის და საბინაო დავების საქმეებს, საჩივრებს ნოტარიუსებისა და
წმარის ორგანოების არასწორ მოქმედებაზე, და საერთოდ, სამოქალაქო განსა-
კუთრებული წარმოების ყველა საქმეს. ადმინისტრაციული სასამართლოების
ფუნქციების უნიფიცირების შესაბამისად ცალკეულ ორგანოებს უნდა ჩამო-
ერთვათ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის უფლება. ეს პირველ რიგში
წეება ადმინისტრაციულ კომისიებს, რომლებიც ფაქტობრივად არ არსებო-
ბენ, ისინი მმართველობის კოლექტიური ორგანოებია და უნდა შეიქმნან კო-
ლექტიური მმართველობის ორგანოებთან — საკრებულოების გამგეობებთან.
მაგრამ ისინი არ იქმნებიან.

სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს 1990 წლის 28 დეკემ-
ბრის კანონი¹ მე-4 კარში სპეციალურად ითვალისწინებს ადმინისტრაციული
მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებას. ადმინისტრაციული მოსამართლენი
ინიშნებიან 5 წლით საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ რაიონის (ქა-
ლაქის) სასამართლოებში. ავტონომიურ რესპუბლიკებში ისინი ინიშნებიან ავ-
ტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრების მიერ საქართველოს იუს-
ტიციის მინისტრთან შეთანხმებით. ამ კანონის 87-ე მუხლის თანახმად, ადმი-
ნისტრაციული მოსამართლეები განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ სა-
მართლდარღვევათა შესახებ; რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის
დავალებით ახორციელებენ კონტროლს სასამართლოს კანცელარიისა და სასა-
მართლოს აღმასრულებელთა მუშაობისადმი; საქართველოს კანონმდებლობით
გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავენ სამოქალაქო სამართალწარმო-
ების წესით სასამართლოებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა აღს-

¹ ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 12 იანვარი.



რულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამრიგად, ადმინისტრაციული მოსამართლეების კომპეტენცია აღნიშნული კანონმდებლობით მეტად შეზღუდულია. მათ უფლება არა აქვთ განიხილონ მოქალაქეთა საჩივრები თანამდებობის პირებისა და მმართველობის ორგანოთა უკანონო მოქმედებების შესახებ, საქმეები სასარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო, საბინაო და შრომის დავები, საჩივრები ნოტარიუსებისა და მმართველობის ორგანოების არასწორი მოქმედებების შესახებ და სხვ. ასეთი ადმინისტრაციული მოსამართლე, რასაკვირველია, ადმინისტრაციული იუსტიციის მუშაი არაა, იგი ერთგვარი ტექნიკური ამსრულებელი და კონტროლიორია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მხოლოდ ზოგიერთი საქმე ექვემდებარება სასამართლოს განსახილველად, ადვილად დავასკვნით, რომ საქართველოში ადმინისტრაციული მოსამართლე მეტად შეკვეცილი უფლებების მქონეა და მას პირობითად თუ ეწოდება მოსამართლე, ვინაიდან ძირითად ადმინისტრაციულ საქმეებს სხვა მოსამართლეები (არა ადმინისტრაციული მოსამართლეები) განიხილავენ.


ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აყენებს დღის წესრიგში საკითხს საქართველოში ადმინისტრაციული იუსტიციის შემოღებისა და ადმინისტრაციული მოსამართლეების უფლებების გაფართოების შესახებ.

ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტა ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმების მეშვეობით. საქმეთა სამოქალაქო სასარჩელო და ადმინისტრაციულ-პროცესუალური განხილვის წესებს შორის სხვაობა მეტად დიდია. ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა ხდება მმართველობის სფეროში ჩარევის გზით, ადმინისტრაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების საფუძველზე. სასამართლოს ამ დროს არ შეუძლია გადაწყვიტოს დავა მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე, ვინაიდან, ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარეა, რომელიც მოქალაქის ინტერესებს იცავს სახელმწიფოს წინაშე კანონიერების საფუძველზე, ამიტომ, მოქალაქე ამ პროცესში დაქვემდებარებულია ადმინისტრაციული სასამართლოსადმი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია მოიპოვოს ადმინისტრაციული უფლებები. სამოქალაქო სასარჩელო საქმისწარმოების დროს, (განსაკუთრებით საკასაციო ინსტანციაში) სასამართლო ეყრდნობა წარმოდგენილ მასალებს, ხოლო ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო აწარმოებს გამოძიებას და ადგენს კანონიერების დარღვევას მმართველობის სფეროში, რომლის „მსხვერპლიც“ მოქალაქე აღმოჩნდა. ადმინისტრაციულ საქმისწარმოების დროს მოსამართლის აცილება დაუშვებელია, ვინაიდან, მოცემული რაიონის თუ ქალაქის ადმინისტრაციული საქმის განხილვა მის კომპეტენციას შეადგენს და არ შეიძლება ეს საქმე სხვა სასამართლოს თუ მოსამართლეს გადააბარონ. სრულიად განსხვავებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმისწარმოების ვადები, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესში შეკვეცილია. ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს დასაშვებია თავისუფალი გათვალისწინების უფლება და საქ-

მის ოპერატიული გადაწყვეტა, რაც სამოქალაქო პროცესში გამორიცხულია. როგორც ცნობილია, თუ სამოქალაქო პროცესში არც ერთი მხარე არ გამოცხადდა, საქმე შეიძლება არ იქნეს განხილული, რაც ადმინისტრაციულ პროცესში დაუშვებელია, ვინაიდან ეს იქნებოდა მმართველობის განხორციელებაზე უარის თქმა.

ფრანგი ადმინისტრაციისტი გუი ბრებანი არასწორად ხსნის სასამართლო განცხადების „გადაცემითი ეფექტის“ არსს, როცა მიიჩნევს, რომ ამ პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული მოსამართლე შემოფარგლულია შეტანილი განცხადების თუ საჩივრის შინაარსით, რომ დავის გადაწყვეტისას მოსამართლე „არ უნდა გავიღეს მომჩივანის არგუმენტაციის ფარგლებს გარეთ“. ამის დასამტკიცებლად ავტორს მოაქვს მაგალითი საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის დროიდან, როდესაც ორი გენერალი ერთდროულად და ერთნაირად იქნა მთავრობის მიერ დასჯილი უკანონო ნორმატიული აქტის საფუძველზე. მათგან ერთმა გენერალმა იჩივლა სახელმწიფო საბჭოში სანქციის უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე გენერალმა — სანქციის მეტისმეტი სიმძიმის გამო. სახელმწიფო საბჭომ პირველი გენერალი გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მეორე არა, როგორც არასაფუძვლიანი არგუმენტაციის მქონე პირი.² ასეთი გადაწყვეტა საკითხისა არა თუ არასწორი, დაუშვებელიცაა მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების თავისებურება სწორედ იმაშია, რომ ადმინისტრაციული სასამართლო უნდა გასცდეს მომჩივნის საჩივრის ფარგლებს და ჩასწვდეს სახელმწიფო მმართველობის სიღრმეში მომხდარი დარღვევების არსს, ვინაიდან საქმე გვაქვს კანონიერების აღდგენასთან სწორედ მმართველობის სფეროში. გადაცემითი ეფექტის არსი ადმინისტრაციულ პროცესში იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ აღძრავს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას, რომ ამისათვის აუცილებელია მოქალაქის, ან თანამდებობის პირის საჩივარი თუ განცხადება, ხოლო აღძრული საქმის გამოძიება და გადაწყვეტა ადმინისტრაციული ფორმებისა და მეთოდების მეშვეობით უნდა მოხდეს.



² Г. Брэбан. Французское административное право, с. 440.



სამარსველოს რესპუბლიკის რაიონების და ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა სია

ა. თბილისი

ნაძალადების რაიონი

თორღია ვახტანგ ილიას ძე
გიორგაძე ილია დავითის ძე
ვარაზაშვილი როლანდი ნიკოლოზის ძე
ღვალაძე გელა გიორგის ძე
წანდუქელი წინაიდა ალექსანდრეს ასული
ქაშაძე კობა ამირანის ძე

დიდუბის რაიონი

ხურციძე იოსებ შოთას ძე
კვარაცხელია ცეკარი ვალერიანის ძე
ჭავჭავია თეიმურაზ ფარნაოზის ძე
კოტრიკაძე მიხეილ მირიანის ძე

ჩუღურეთის რაიონი

თევდორაძე მერაბ დურმიშხანის ძე
გოგოხია მარინა ვალაქტონის ასული
კერესხელიძე ავთანდილ შამშეს ძე
პოხოტონელიძე შამუკა რუბენის ძე

პრწანისის რაიონი

ოთარაშვილი მიხეილ პავლეს ძე
ხაბულიანი ნაირა ერაჯის ასული
ჭუმბურიძე თეიმურაზ გრიგოლის ძე
დევედარიანი ზურაბ თეიმურაზის ძე

ვაპის რაიონი

ალანია ვახტანგ ნაპოლეონის ძე
წერეთელი ვლადიმერ იოსების ძე
გაგუა ვიოლეტა არსენის ასული
ბადაგაძე გივი ნიკოლოზის ძე

იხნის რაიონი

ფიცხელაური შენგელი ალექსის ძე
გვანცელაძე ალექსანდრე იხიდორეს ძე
ბარაბაძე თამაზ მელიტონის ძე
სახიაშვილი გიორგი ფილიმონის ძე
ქრისტესიაშვილი პაატა ალექსანდრეს ძე
ვაბელია ქეთევან სერგოს ასული

მთაწმინდის რაიონი

ვეკუა გიგლა შირიმის ძე
ლომსაძე სერგო ვალერიანის ძე
დადიანი სამსონ ცოტნეს ძე
თალაკვაძე ვახტანგი გიორგის ძე

სამგორის რაიონი


ნადირაძე რევაზ შალვას ძე
ყურაშვილი ქეთევან ნესტორის ასული
ბერიშვილი იოსებ დარისპანის ძე
ნებიერიძე ნიკოლოზ ნოდარის ძე

საბურთალოს რაიონი

რამიშვილი ჭემალ გრიგოლის ძე
დონჭაშვილი თამაზ ირაკლის ძე
ჭაჭუა ავთანდილ ნიკოლოზის ძე
ნარიშვანიძე ლეილა ივანეს ასული

გლდანის რაიონი

ბირკაია ნუგზარ ნიკიტას ძე
ასაშვილი გიორგი ივანეს ძე
სურგულაძე თამაზ კონსტანტინეს ძე
რზგოვეი ვლადიმერ გნდოს ძე
ქანტურია ლონდა ივანეს ასული



ბ. რუსთავი

თურმანული ნიკოლოზ ხუმაბერიძის

დგებუაძე ოპარ დავითის ძე
კორინთელი ალბერტ გივის ძე
ძირკველიშვილი კონსტანტინე გივას ძე
კერესელიძე ჯაბა სერგოს ძე

ახალციხის რაიონი

თელიაშვილი ავთანდილ სიმონის ძე.

გორის სასამართლო

ახალქალაქის რაიონი

ჯანელიძე რევაზ პეტრეს ძე
სოსიაშვილი იოსებ ალექსის ძე
ძლიერიშვილი ჭემალ ალექსის ძე
თავაძე თამაზ გენოს ძე
ქალიაშვილი ოთარ დიმიტრის ძე

ბულაძე ჭუმბერი ივანეს ძე

ახალგორის რაიონი

ნიაური ვუჟუნა ისაკის ასული

ბ. ქუთაისი

ბაღდათის რაიონი

ბუხაიძე შოთა იპოლიტეს ძე
კილასონია გიული ვალიკოს ძე
მამალაძე მამუკა გოდერძის ძე
შალიკიანი ვაჟა გერონტის ძე
თორღია ინგა ალექსანდრეს ასული
ფილიპაშვილი გურამ ლევანის ძე
ყვავაძე ზურაბ ბეჟანის ძე
ბუმბუხრიძე ლუარა ლევანის ასული

ჩინჩალაძე ნუგზარ ვალერიანის ძე

ბოლნისის რაიონი

შავერვაშვილი შოთა სტეფანეს ძე

გობრონიძე კახა აკაკის ძე

ბორჯომის რაიონი

ბ. ფოთი

ნოზაძე დავით აბესალომის ძე

კვირკველია ალექო შოთას ძე

გაბუნია მზევინარ შალვას ასული

ბარდაზენის რაიონი

ბ. ტბიბული

ქელიძე როლანდ ვახილის ძე

ებრაღიძე გია არჩილის ძე

სისაური რევაზ თენგიზის ძე

წურწუმია ბესარიონ ოთარის ძე

ლუაშვილი ქეთევან სოსოს ასული

ბ. ზნაურა

ბურჯანის რაიონი

ცხადაძე კაჟმერ ანდროს ძე
სხირტლაძე გოჩა ნოდარის ძე

უტიაშვილი იოსებ ვალერიანის ძე

ღვალაძე მაგული შალვას ასული

აბაშის რაიონი

დგანისის რაიონი

გოგავა თამარ გერონტის ასული

ადიგენის რაიონი

ხუციშვილი იზოლდა შოთას ასული

ტატალაშვილი ივანე გრიგოლის ძე

დუშეთის რაიონი

ასპინძის რაიონი

ოქრუაშვილი ეთერი თევდორეს ასული

ლონდარიძე გიორგი გრიგორის ძე

დედოფლისქაროს რაიონი

ამგროლაურის რაიონი

ნადაშვილი დავით დავითის ძე

სეფიაშვილი ოლია გურამის ასული

გოციროძე გურამ შალვას ძე

პანის რაიონი

ლორთქიფანიძე გელა გივის ძე

ჯესტაშონის რაიონი

კაპანაძე თამაზ შოთას ძე

ჯუშადიღის რაიონი

მორგოშია ჭეირან იბოლიტეს ძე
არნანია ნუგზარ კონსტანტინეს ძე
არონია ნაზი თეოფანის ასული

თელავის რაიონი

ყაჭრიშვილი ვაჟა შოთას ძე
გარსევანიშვილი ლეილა ვახტანგის ასული

თეთრიწყაროს რაიონი

ღარჩიაშვილი თამაზ ილიას ძე

თერჯოლის რაიონი

კუშბუჩიძე კობა დავითის ძე

თიანეთის რაიონი

ღევერაშვილი იოსებ გიორგის ძე

ტასპის რაიონი

გოჩიტაშვილი გორა შალვას ძე
ჭერვალიძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე

ლაბოდახის რაიონი

ჩალათაშვილი ნადეჟდა ბიჭიკოს ასული
ჩაფიძე ნელი ჭიჭიკოს ასული

ლანჩხუთის რაიონი

გვარჭელაძე ვლადიმერ კუკურის ძე

ლენტეხის რაიონი

უშხვანი ოლია სოგრატიის ასული

მარნეულის რაიონი

წურწუშია ზურაბ ოთარის ძე
კალანდაძე დავით ზაურის ძე
ნაცვლიშვილი ყადიმა ადაბეგის ძე

მესტიის რაიონი

სუბელიანი მარინა რაუდენის ასული

მცხეთის რაიონი

ერქვანიძე დავით დავითის ძე
ჩანჭხელიანი იაშუე უჩახ ასული
კირვალიძე ვალერიან მიხეილის ძე

მარტვილის რაიონი

კაკულია მურზან პორფილეს ძე

ნინოწმინდის რაიონი

ჩობანიანი არარატ გარნიკის ძე

ოჯურბეთის რაიონი

ნიკოლაიშვილი ვლადიმერ ალიოშას ძე
ჯანელიძე მედეა ისიდორეს ასული

ონის რაიონი

ჩიქვილაძე ნოდარ ონიხიმეს ძე

საგარეჯოს რაიონი

მასურაშვილი თემურ არჩილის ძე
ქანტურია ჭაბუკი ნუგზარის ძე

სამტრედიის რაიონი

წიქვაძე მურმან შოთას ძე
ხაყალია ნიკოლოზ სულეიკოს ძე
რუხაძე ზურაბ ევგენის ძე

საჩხერის რაიონი

ჯაბანიძე ნუგზარ ვახტანგის ძე

სიღნაღის რაიონი

ბეგიაშვილი იოსებ გიორგის ძე
გუგუწაშვილი ნანა ივანეს ასული

სენაკის რაიონი

სალაყონია ინეზა ირაკლის ასული
ბალათურია აბელი სერგოს ძე


ძარეზის რაიონი

მამეწარაშვილი ოთარ გიორგის ძე
რამიშვილი ზაზა ანზორის ძე



უაზგავის რაიონი

წალკის რაიონი



ჩქარეული ღონგინოზ ნიკოლოზის ძე

პაპუაშვილი გივი რობერტის ძე

უგარლის რაიონი

წალკუაოს რაიონი

ბერიაშვილი გიორგი იოსების ძე

კოვერიძე პავლე სულიკოს ძე
ბერაძე გივი ქაკუნას ძე

ჩხორცხუის რაიონი

ხარაბაულის რაიონი

ხარეზაძე თენგიზ ლავრენტის ძე

წვიადაძე ნათელა გივის ასული

ჩოხატაურის რაიონი

ხაშურის რაიონი

ურიდია თამაზ მიხეილის ძე

ლომინაძე თენგიზ შოთას ძე
კოჭორიძე კუკური ივანეს ძე

ცაგერის რაიონი

ხობის რაიონი

გურგუჩიანი ლეილა ბიჭიკოს ასული

კოდუა ვახტანგ გიორგის ძე

წალენჯიხის რაიონი

ხონის რაიონი

შონია ვახტანგ ბოდლოს ძე

თოდუა შია ვარლამის ასული

ფიფია თენგიზ ვახილის ძე

მეშველიანი მურთაზ სერაპიონის ძე



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ*

ნაწილი მეოთხე

სამართალდამრღვევებთან მოპეროვა გამოსასწორებელი დაწესებულებების გარეთ

23. გადაწყვეტილებების ეფექტურად შესრულება

23. 1. საჭიროა გადასინჯულ იქნეს შესაბამისი დებულებანი 14. 1. წესში მითითებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულების შესახებ თავად ამ ორგანოს ან ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ, გარემოებათა თანახმად.

23. 2. ამგვარი დებულებანი უნდა შეიცავდეს კომპეტენტური ორგანოს უფლებას — პერიოდულად, აუცილებლობის შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები დადგენილებაში იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილებები შესაბამისობაში იქნება მოცემულ წესებში მითითებულ პრინციპებთან.

კომენტარი

არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფრო მეტად, ვიდრე უფროსებში, შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გავლენა ჰქონდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ცხოვრებაზე. ამიტომ. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების შესრულებაზე მეთვალყურეობა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ან დამოუკიდებელი ორგანოს (თავდებობის საქმეთა კომისიები, პრობაციის სისტემის სამსახური, ახალგაზრდობის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულება და სხვები) მიერ, რომელთა უფლებამოსილება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილების ანალოგიურია. ამ მიზნით ზოგიერთ ქვეყანაში შემოღებულია თანამდებობა juge de l'exécution des peines.

ხელისუფლების ამ ორგანოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები მოქნილი უნდა იყოს. 23-ე წესში მოცემულია მათი ზოგადი აღწერა. რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ფართოდ გამოყენება.

24. აუცილებელი დახმარების გაწევა

24. 1. საჭიროა ძალისხმევა საქმის განხილვის ყველა ეტაპზე არასრულწლოვანისათვის საჭირო დახმარების გაწევის უზრუნველყოფისათვის. ასეთებია:

* დახასრული. დახაწყისი იხ. ურნალი „სამართალი“ № 1, 1992 წ.

საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა. განათლების მიღება ან პროფესიული მომზადება. შრომითი მოწყობა და ნებისმიერი სხვა დახმარება. როდესაც მოქალაქე იძლება სასარგებლო და პრაქტიკული აღმოჩნდეს გამოსწორების პროცესის მიზნებისათვის ხელშესაწყობად.

კომენტარი

უპირველესი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა კეთილდღეობისათვის ხელშეწყობას. ამიტომ 24-ე წესში ხაზგასმულია აუცილებლობა საჭირო პირობების შექმნის, დახმარების და სხვა საჭირო სამსახურის გასაწევად არასრულწლოვანის ინტერესების უზრუნველყოფისათვის გამოსწორების მთელი პროცესის მანძილზე.

25. მოხალისეთა და სხვა სათემო სამსახურების მოტილიზაცია

25. 1. საჭიროა ჩაერთონ მოხალისეები, მოხალისე ორგანიზაციები, ადგილობრივი დაწესებულებები და სხვა სათემო სამსახურები, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ არასრულწლოვანთა გამოსწორების საქმეში თემთან. დამდენადაც შესაძლებელია — ოჯახთან ერთად.

კომენტარი

ეს წესი ასახავს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მთელი ქუშაობის გამოსწორებაზე ორიენტირების აუცილებლობას. ხელისუფლების კომპლექტური ორგანოს მითითებათა ეფექტურად შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თემთან ურთიერთობას. კერძოდ, მოხალისეებს და მოხალისე ორგანიზაციებს ძალზე ფასეული დახმარების გაწევა შეუძლიათ. მაგრამ დღეს-დღეობით მათი შესაძლებლობები არასაკმარისად არის გამოყენებული. ზოგ შემთხვევაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ყოფილ სამართალდამრღვევებს (მათ შორის — ყოფილ ნარკომანებს).

25-ე წესი ეყრდნობა პრინციპებს, რომლებიც გადმოცემულია 1. 1.—1. 6. წესებში და ანალოგიურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისი დებულებებისა.

ნაწილი მეხუთე

სამართალდამრღვევებთან მოკაოოზა გამოსასწორებელ

დაწესებულებებში

26. გამასწორებელ დაწესებულებებში სამართალდამრღვევებთან მოკაოოზის მიზნები

26. 1. გამასწორებელ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანებთან ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია მზრუნველობის, დაცვის, განათლების და პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფა. რათა დაეხმაროს მათ საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებაში.

26. 2. გამასწორებელ დაწესებულებაში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა აყოს მოვლით, დაცვით და ყველა სახის აუცილებელი — სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური დახმარებით, ასევე დახმარებით განათლების და პროფესიონალური მომზადების სფეროში, რომელიც

შეიძლება საჭირო გახდეს მათი ასაკის, სქესის და პიროვნულობის, ასევე, მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

26. 3. გამასწორებელ დაწესებულებაში არასრულწლოვანი იმყოფებიან უფროსებისაგან განცალკევებით, ან სპეციალურ გამოსასწორებელ დაწესებულებაში ან სპეციალურ განყოფილებაში იმ გამასწორებელი დაწესებულებებისა, სადაც იმყოფებიან უფროსებიც.

26. 4. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ ახალგაზრდა სამართალდამრღვევ ქალებს, მათი პირადი პრობლემებიდან და გასაჭირიდან გამომდინარე. მათთვის გარანტირებული უნდა იყოს ისეთივე მოვლა, დახმარება, მოპყრობა და პროფესიონალური მომზადება, როგორც ახალგაზრდა სამართალდამრღვევი კაცებისათვისაა გათვალისწინებული. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი მოპყრობა მათთან.

26. 5. გამასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანების კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვს, რომ მათ მშობლებს ან მათზე მზრუნველებს უფლება ჰქონდეთ მოინახულონ ისინი.

26. 6. აუცილებელია წახალისდეს სამინისტროთაშორის დაწესებულებათაშორის თანამშრომლობა შესაბამისი აკადემიური შესაძლებლობების მიხედვით პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფისათვის გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანებისა, რათა მათ გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან გამოსვლის შემდეგ სრული განათლება ჰქონდეთ.

კომენტარი

გამასწორებელ დაწესებულებებში მყოფ სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მიზნები, ფორმულირებული 26.1. და 26.2. წესებში, მისაღები უნდა იყოს ნებისმიერი სისტემის და კულტურისათვის. მაგრამ ისინი არ არის მიღწეული ყველგან და, ამასთან დაკავშირებით, გასაწევია დიდი სამუშაო.

სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი ნარკომანების, აგრესიული და ფსიქიურად დაავადებული ახალგაზრდებისათვის.

აუცილებელია უფროსი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენისაგან თავის არიდება და არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დაცვა, როგორც მითითებულია 26. 3. წესში, რაც შეესაბამება VI კონგრესის მე-4 რეზოლუციაში გადმოცემულ ამ წესების ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს. ეს წესი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოების მიერ სხვა ზომის გამოყენებას უფროსი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენისაგან თავის ასარიდებლად, მაგრამ ეს ზომები მოცემულ წესებში მითითებულ წესებზე არანაკლებ ეფექტური უნდა იყოს (იხ. აგრეთვე წესი 13. 4.).

წესი 26. 4. დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სამართალდამრღვევ ქალებს, როგორც ეს აღინიშნა VI კონგრესზე, ჩვეულებრივ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე მამაკაცებს. კერძოდ, VI კონგრესის მე-9 რეზოლუცია მოუწოდებს, სამართლიანად მოეპყრან სამართალდამრღვევ ქალებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ კონკრეტულ პრობლემებს და გასაჭირს თავისუფლების აღკვეთის პერიოდში. ამას გარდა, ეს წესი განხილულ უნდა იქნეს VI კონგრესის კარაკასის დეკლარაციის გათვალისწინებით, რომელიც მოუწოდებს სამართლიანად მოეპყრან სამართალდამრღვევ ქალებს მართლმსაჯულების აღსრულების დროს, ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის შე-

სახებ დეკლარაციის, ასევე, ქალების მიმართ ყველა სახის დისკრემინაციული მოპყრობის აღკვეთის შესახებ კონვენციის გათვალისწინებით.

დაპატიმრებულთა მონახულების უფლება (წესი 26. 5.) გამომდინარეობს 7.1, 10.1, 15.2, 18.2 წესებიდან. სამინისტროთაშორისი და დაწესებულებათა შორის თანამშრომლობას (წესი 26.6.) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსასწორებელ დაწესებულებებში დაპატიმრებულებთან მოპყრობის ხარისხის ამოღების და მათი პროფესიონალური მომზადებისათვის.

27. გაეროს მიერ მიღებული დაპატიმრებულთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენება

27. 1. დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და შესაბამისი რეკომენდაციები, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენება გამასწორებელ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის დროს. იმ სამართალდამრღვევთა ჩათვლით, რომლებიც დაკავებული არიან სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში.

27. 2. აუცილებელია ძალისხმევა, რათა, რაც შეიძლება სრულად შესრულდეს დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში გადმოცემული პრინციპები არასრულწლოვანთა სხვადასხვა საჭიროების, მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით.


კომენტარი

დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები იყო პირველი ამგვარი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მიიღო გაერომ საყოველთაო აღიარებით. მათი მოქმედება იგრძნობა მთელ მსოფლიოში. თუმცა, დღესაც არსებობს ქვეყნები, სადაც მათი განხორციელება ფაქტი კი არ არის, არამედ სურვილად რჩება. მინიმალური სტანდარტული წესები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც გამოსასწორებელმა დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ ჰუმანურად და სამართლიანად.

დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახულია ზოგიერთი ძირითადი სახის მოპყრობა გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისადმი (მოთავსება და აღჭურვა, საძილე მოწყობილობანი, ტანისამოსი, განცხადებების და საჩივრების განხილვა, კონტაქტები გარე სამყაროსთან, კვება, სამედიცინო მომსახურება, რელიგიური რიტუალების აღსრულება, დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად, მოთხოვნები პერსონალის მიმართ, შრომითი საქმიანობა და სხვა), ასევე დებულებები, რომლებიც ეხება საშიში სამართალდამრღვევების დასჯას, დისციპლინის და მორჩულების ღონისძიებებს, არ იქნება მიზანშეწონილი, შეიცვალოს დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, რათა აისახოს გამოსასწორებელი დაწესებულებების განსაკუთრებული ნიშნები არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ მინიმალური სტანდარტული წესების მოქმედების სფეროში, რომელიც ეხება მართლმსაჯულების აღსრულებას არასრულწლოვანთა მიმართ.

27-ე წესში მითითებულია აუცილებელი მოთხოვნები გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანების მიმართ (წესი 27. 1.). ასევე, მათი კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ასაკის, სქესის და პიროვნულობის გათვალისწინებით (წესი 27. 2.). ამიტომ, მოცემული წესის ში-

ნაარსი და მიზნები გარკვეულად ემთხვევა დაბატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ზოგიერთ შესატყვის დებულებას.



28. პირობითი გათავისუფლების რეზულატულად გამოყენება ადრეულ ეტაპებზე

28. 1. გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან პირობითი გათავისუფლება ხდება შესაბამისი ორგანოების მიერ, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით და რაც შეიძლება ადრეულ ვადებში.

28. 2. არასრულწლოვანებს, რომლებიც პირობით არიან გათავისუფლებულნი გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან, უწევენ დახმარებას და ისინი იმყოფებიან შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. მათ უნდა დაეხმაროს თემი.

კომენტარი

უფლება, პირობითი გათავისუფლების ნებართვის შესახებ, შეიძლება მიიღოს 14.1. წესში მითითებულმა ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ ან ხელისუფლების ნებისმიერმა სხვა ორგანომ. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს განსაზღვრება „შესაბამისი“ და არა „ხელისუფლების კომპეტენტური“ ორგანო.

თუ საშუალებას იძლევა გარემოებანი, უპირატესობა უნდა მიეცეს პირობით გათავისუფლებას, რომლის მეოხებითაც ახალგაზრდა არ არის ვალდებული მთლიანად მოიხადოს სასჯელის ვადა. როდესაც არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობს გამოსწორების პროცესის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობას, ის სამართალდამრღვევნი, რომელნიც საშიშად ითვლებოდნენ გამოსასწორებელ დაწესებულებაში მიღებისას, შეიძლება გათავისუფლებული იქნენ პირობით, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა გარემოებანი. გამოსაცდელი ვადის დაწესების მსგავსად, ამგვარი გათავისუფლება შეიძლება მოხდეს რიგი პირობების შესრულებით, რომელთაც აწესებს შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტილებაში მითითებული ვადით. მაგალითად, სამართალდამრღვევის „კარგი ყოფაქცევის“ გამო, სათემო ღონისძიებებში მონაწილეობისას, შესუსტებული რეჟიმის გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების პირობით და სხვ.

გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან პირობითად გათავისუფლების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს დახმარება და ზედამხედველობა პრობაციის სისტემის თანამდებობის პირის ან სხვა თანამდებობის პირთა (კერძოდ, ქვეყნებში, სადაც პრობაციის სისტემა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული) მიერ, ასევე უნდა წახალისდეს თემის მხარდაჭერა.

29. სამუშაოს შუალედური ფორმები

29. 1. საჭიროა ძალისხმევა, რათა გამოყენებულ იქნეს სამუშაოს შუალედური ფორმები, როგორც არის შესუსტებული რეჟიმის გამოსასწორებელი დაწესებულებები, აღმზრდელიობითი სახლები, დღის მომზადების ცენტრები და მათთან შესატყვისი ანალოგიური ფორმები, რომლებიც დაეხმარება არასრულწლოვანთა ჯეროვან ინტეგრაციას საზოგადოების ცხოვრებაში.

კომენტარი

ანგარიში უნდა გაეწიოს გამოსასწორებელი დაწესებულებიდან გამოსულ არასრულწლოვანისადმი მზრუნველობით მოპყრობის მნიშვნელობას. წესში განსაკუთრებით მითითებულია, რომ აუცილებელია შეიქმნას შუალედური ხასიათის დაწესებულებათა ქსელი.

ამავე წესში ხაზგასმულია აუცილებლობა იმისა, რომ შეიქმნას სხვადასხვაგვარი დაწესებულებანი და სამსახურები, რომლებიც გაანგარიშებულია საზოგადოებაში დაბრუნებული ახალგაზრდა სამართალდამრღვევების სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებისთვის და საზოგადოების ცხოვრებაში მათი წარმატებით რეინტეგრაციისათვის, ხელმძღვანელობის და სტრუქტურული მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის.

ნაწილი მეექვსე

გამოკვლევები, პოლიტიკის დაგეგმვა, შემუშავება და შეფასება

30. გამოკვლევები, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების საფუძველი

30. 1. საჭიროა ძალისხმევა, რათა ორგანიზებულ იქნეს და წახალისდეს აუცილებელი საკვლევი სამუშაოები, რომლებიც პოლიტიკის ეფექტური დაგეგმვის და შემუშავების საფუძველია.

30. 2. საჭიროა ძალისხმევა, რათა პერიოდულად მიმოხილული და შეფასებული იქნეს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების და დანაშაულობათა ტენდენციები, პრობლემები და მიზეზები, ასევე, დაპატიმრებულ არასრულწლოვანთა სხვადასხვა სახის კონკრეტული საჭიროებანი.

30. 3. საჭიროა ძალისხმევა, რათა შეიქმნას რეგულარული, შეფასებული გამოკვლევების მექანიზმი არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში და მოხდეს შესაბამისი მონაცემების და ინფორმაციის შეკრება და ანალიზი მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის რეფორმის, შემდგომი დახვეწის და შეფასებისათვის.

30. 4. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების დროს მომსახურება სისტემატურად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორც განუყოფელი ნაწილი ღონისძიებებისა ეროვნული განვითარებისათვის.

კომენტარი


გამოკვლევების გამოყენება, როგორც საფუძვლისა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სფეროში რაციონალური პოლიტიკისა, აღიარებულია უმთავრეს მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს სამეცნიერო მიღწევებს და არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის გამუდმებულ განვითარებას და სრულყოფილებას. ორმხრივ კავშირს საკვლევ სამუშაოს და პრაქტიკის შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სფეროში. ახალგაზრდობის ცხოვრების სტილში მიმდინარე სწრაფი და ზშირად რადიკალური ცვლილებების პირობებში, ასევე, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ფორმების და მასშტაბების გათვალისწინებით, საზოგადოების და მართლ-

მსაჯულების რეაქცია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და სამართალდარღვევებზე მალე ძველდება და არაადექვატურია.

ამიტომ 30-ე წესში მითითებულია სტანდარტები, რათა კვლევითი სამუშაოები ჩაერთოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და გამოყენებული იქნეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში. მოცემულ წესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არსებული პროგრამების და ღონისძიებების რეგულარულ მიმოხილვას და შეფასებას, ასევე, დაგეგმვას განვითარების უფრო ფართო კონტექსტში.

არასრულწლოვანთა საჭიროებების, ასევე, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების ტენდენციების და პრობლემების გაუმდგომი შეფასება წარმოადგენს უპირველეს პირობას შესაბამისი პოლიტიკის და ჩარევის ღონისძიებების შემუშავებისათვის, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. ამ კონტექსტში პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა დახმარება უნდა გაუწიონ გამოკვლევებს, რომლებსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი პირნი და ორგანიზაციები, და როგორც ჩანს, მიზანშეწონილია მიღებული და გათვალისწინებული იქნეს არასრულწლოვანთა მოსაზრება და არა მხოლოდ მათი, რომელთაც უშუალო კონტაქტები აქვთ მართლმსაჯულების სისტემასთან.

დაგეგმვის პროცესში პირველ ადგილზე უნდა წამოიწიოს აუცილებელი მომსახურების უზრუნველყოფის უფრო ეფექტური და სამართლიანი სისტემის შექმნის ამოცანა. ამ მიზნით უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა სხვადასხვაგვარი კონკრეტული საჭიროებების და პრობლემების კომპლექსური და რეგულარული ანალიზი. ამ მიზნით აუცილებელია არსებული რესურსების კოორდინირება, მათ შორის — ალტერნატიული და საზოგადოებრივი მხარდაჭერის, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული პროცედურების შემუშავებას შექმნილი პროგრამების რეზულტატების კონტროლისა და განხორციელებისათვის.





საარჩევნო დებულების პროექტის განხილვა

ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გამართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების პროექტის განხილვა, რომელიც საქართველოს იურისტთა კავშირის ინიციატივით მოეწყო. სხდომას უძღვებოდა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ რატიანი.

პროექტის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ალბერტ აბესაძე.

— დღეს, როცა ქვეყანა რეალურად იწყებს დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას — აღნიშნა მან. — ბუნებრივია, რომ კონსტიტუციური მშენებლობა პარლამენტიდან უნდა დაიწყეთ. ხელისუფლების უზენაესი ორგანოს არჩევნების კანონი თავისი დემოკრატიულობით მისაბამი უნდა იყოს და რეალურად უზრუნველყოს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა.

პარლამენტის არჩევნების დებულების პროექტის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ამ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევა მხოლოდ მყოფობით და საარჩევნო უფლების საფუძველზე. ეს არის შედარებით ნაკადი დემოკრატიული წესი, რომელსაც ხალხი მეტნაკლებად კარგად იცნობს. მწარე გამოცდილებამ დაგვიანახა, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს პარლამენტის არჩევამ პროპორციული სისტემით, ანუ პარტიული სიებით, როცა პარტია ან საარჩევნო ბლოკი ხელთ იგდებს დებუტატთა მანდატების უმრავლესობას.

მართალია არიან პროექტის ავტორები, როცა არ იზიარებენ მოსაზრებას ორპალატიანი პარლამენტის საკითხების შესახებ, რომელიც თითქოსდა გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე უნდა დაკომპლექტდეს, კუთხურობის პრინციპით პარლამენტის არჩევის ცდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვის რეალურ საფრთხედ გვეჩვენება, რომელშიც ხალხის მზარდი პოლიტიზაცია შეიძლება ნაციონალურ-ექსტრემისტული გზით წაიყვანოს.

შექმნილ სიტუაციაში პროექტის მთავარ დანიშნულებად მიგვაჩნია სახალხო სუვერენიტეტის ბაზაზე ხელისუფლების ორგანოების საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნების იდეა ისეთ ფარგლებში მოაქციოს, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს სახელმწიფოს ჩარევას პიროვნების საარჩევნო უფლების განხორციელებაში. იურისტებმა კარგად იციან, რომ მოქალაქის პოლიტიკური ხსიანის უფლებებიდან საარჩევნო უფლებას უკავშირებენ ე. წ. ბუნებრივ, პიროვნების ინადაყოლილ, მუდმივ უფლებათა კატეგორიას, რომელიც იმპერატიულად კი არ ებოძება ადამიანს, არამედ ბუნებრივად წარმოიშობა ქვეყნის მოქალაქეობის საფუძველზე. საარჩევნო კანონი არა მარტო სარკეა არსებული სახელმწიფო ხელისუფლებისა, არამედ მან იმავდროულად ხელისუფლების შეფუძალობისაგან უნდა დაიცვას პიროვნება. საარჩევნო უფლების რეალოზაცია თავისებური დიქტატო კანონმდებლის მიმართ, რაც ხელისუფლებას აიძულებს გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნები, ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების სტრუქტურები უნდა შეიქმნას და განვითარდეს საზოგადოებრივ ძალთა შეთანხმების, მათი ინტერესებისა და წების კონსენსუსის ბაზაზე. პარლამენტარიზმის ინსტიტუტი, არსებითად, საზოგადოებრივ ძალთა შორის გარკვეული შეთანხმების, ხელშეკრულების კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს.

მაგრამ რაოდენ დახვეწილიც არ უნდა იყოს წარმომადგენელი კანონპროექტი იგი უნაკლოდ მაინც არ გამოიყურება. მისი ავტორები, პოლიტიკურ ძალთა წინასწარობის დაცვის მიზნით, ამაოდ ცდილობენ არგულებით საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის მექანიზმის ყველა სა-

ქობი. მასში გამოკვეთილად არ იგრძნობა საჯარო ანუ სახელმწიფო-პოლიტიკური ხელისუფლების დაქვემდებარება ქვეყნის უმაღლესი სუვერენის — ხალხისადმი. მთავარი ისაა, რომ კანონპროექტში ძირითადი ყურადღება გადატანილია ორგანიზაციულ საკითხებზე და დავიწყებულია ამომრჩეველი. ამ დროს, სწორედ მისი ნებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს პარლამენტის ფორმირება.

ხალხის ინტერესების გამოხატველი საზოგადოებრივი სტრუქტურებიდან კანონპროექტში გვერდი აქვს ავლილი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. პროექტის მეტრე მუხლი, რომელიც პარლამენტი დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლებას ეხება, ამის საშუალებას აძლევს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, მათ გაერთიანებებსა და ამომრჩეველთა ჯგუფებს. ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი, როგორცაა პროფკავშირები, შემოქმედებითი კავშირები და სხვ. მოკლებული არიან ასეთ უფლებას. ეს აღნიშნული პროექტის სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია.

შენიშვნას იმსახურებს კანონპროექტის მრავალსიტყვაობა, რაც მისი სხვადასხვანაირი განმარტების საშიშროებასაც კმნის. ასეთი კანონი მოკლე და ყველასათვის ადვილი გასაგები უნდა იყოს, თორემ კანონპროექტის მოცულობამ და წაითი რეალიზაციის რთულმა მექანიზმმა შეიძლება დააფრთხოს მოქალაქე და ამ დოკუმენტისადმი გულგრილი გახადოს. არც ის მიგვაჩნია გამართლებულად, რომ კანონპროექტში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საარჩევნო კომისიებზე და პოლიტიკურ პარტიებზე, ხოლო ხალხის წარმომადგენლობითი რგოლების, ვთქვათ, ამომრჩეველთა ჯგუფების როლი მაჩვენალურია. დაკონკრეტებას საჭიროებს არა მარტო დეპუტატებისა და მათი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე, არამედ ხალხის მიერ მათი კონტროლის სისტემა. მიზანშეუწონლად გვეჩვენება, რომ სახელმწიფოს სახელით პარლამენტის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციაში გადაწყვეტი უფლებები ენიჭება არამყარ ორგანოს — ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, კანონპროექტის 25-ე მუხლში ჩამოყალიბებული მისი უფლებამოსილებანი იმდენად ყოველსომომცველია, რომ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ფაქტიურად აღარაფერი რჩებათ გასაკეთებელი. ამასთან, არაფერია ნათქვამი ცენტრალური საარჩევნო კომისიის საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმზე.


კარგი იქნებოდა კანონპროექტის პრეამბულაში მოკლედ აღნიშნულიყო, რომ პარლამენტი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და საკონტროლო ორგანო და საქართველო არის საპარლამენტო რესპუბლიკა.

კანონპროექტში უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სახელმწიფოს სხვა სტრუქტურების როლი არჩევნების ჩატარების ორგანიზაციაში. მეტი სიზუსტე და დელინტურება გვმართებს აღნიშნული არჩევნების ჩატარებისათვის საქართველოში შემავალი ეროვნული ავტონომიების უფლებამოსილებათა დაზუსტებისას. ჩვენი აზრით, არჩევნების მთელი ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვა ადგილებზე უნდა მიენდოთ ავტონომიურ რესპუბლიკებს, რაც გაზრდის მათ პასუხისმგებლობას რესპუბლიკის პარლამენტში ღირსეული წარმომადგენლობის შერჩევაში. ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს ავტონომიურ რესპუბლიკების მოსახლეობის კონტროლსაც თვითნაირი დეპუტატების საქმიანობისადმი.

კონკრეტულობა და გარკვეულობა აქვია პროექტის მე-10 მუხლს, რომელიც არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებს ეხება. მასში მითითებულია, რომ პარლამენტის არჩევნების ძირითად ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომ ამ სავარაუდო ხარჯებს განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია და რესპუბლიკის დროებითი მთავრობა (საინტერესოა რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ ისინი). აქვე უნდა განმარტებულიყო, შეუძლიათ თუ არა ამომრჩეველთა ჯგუფებს მატერიალური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებთან დაკავშირებულ ხარჯებში და რა ფორმით.

დაზუსტებას საჭიროებს კანონპროექტის მე-7 კარი, რომელიც დეპუტატობის კანდიდატების გრანტიების საკითხს ეხება. მასში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ დეპუტატობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიის წარმართვისას დაცულნი არიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ორგანიზაციული გარანტიებითა და დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლებით. აღნიშნული გარანტიებიდან კანონპროექტში ყურადღება გადატანილია მარტოდენ ორგანიზაციულ გარანტიებზე, რაც არაა საკმარისი.

კანონპროექტის 45-ე მუხლში ზუსტად არის განსაზღვრული, რომ დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლოს ათი ნდობით აღჭურვილი პირი. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ასეთი კატეგორიულობა და კონკრეტულობა არარეალურია. მიგვაჩნია, კანონპროექტში



აღინიშნოს, რომ დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლოს ათამდე ნდობით აღჭურვილი ზარი.

დაზუსტებას საჭიროებს კანონპროექტის მეორე კარის მეორე მუხლის სათაურში, რომელსაც საყოველთაო საარჩევნო უფლება ჰქვია, რომ პარლამენტის არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. კანონპროექტის შესავალში უკვე ნათქვამია და მარტო ერთი პრინციპის გამოყოფა სათაურში, არჩევნების უფლების დახასიათებისათვის, აღარ არის მიზანშეწონილი.

სერიოზული რედაქციული და არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანას საჭიროებს კანონპროექტის მე-12 და 48-ე მუხლები. მე-12 მუხლი ადგენს პასუხისმგებლობის ზომებს არჩევნების დებულების დარღვევისათვის. კანონპროექტის ავტორები ცდილობენ ამ მუხლში ამომწურავად ჩამოთვალონ ყველა ის სამართალდარღვევა, რაც საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს შეიძლება მოხდეს. ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

არსებითად უნდა შეიცვალოს კანონპროექტის 48-ე მუხლის რედაქცია, რომელიც დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობას ეხება. უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

„დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ ან შეუფარდონ სასამართლოს წესით ისეთი ადმინისტრაციული სახდელეები, როგორცაა გამსწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა პროკურატურის შეტყობინების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი, როგორც ევკემიტანილი, დააკაბულე იქნა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე“.

ამავე მუხლს უნდა დაემატოს მეოთხე აბზაცი შემდეგი რედაქციით: „დავებს, რაც წარმოიშობა პროკურატურის ორგანოებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის დეპუტატობის კანდიდატის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, განიხილავს სამი დღის ვადაში ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა არჩევნების დებულების დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

საერთო შთაბეჭდილება განსახილველ კანონპროექტზე ისეთია, რომ პრაქტიკულად ეხსნება გზა პარლამენტის ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ასეთ დროს იდეალური ვარიანტი იქნებოდა გეჰონოდა ჯერ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია და მის ბაზაზე შეგვეშეშავებინა პარლამენტის არჩევნების ახალი კანონი, რაც შეეხება მსჯელობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მექანიკურად გადმოტანისა და პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, მე იგი არარეალურად მეჩვენება. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ამ კონსტიტუციის დროებითი აღდგენა შეიძლება დაგვეგზმაროს მხოლოდ პარლამენტის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. დრო თავისას აყვებებს და ამიტომ, ამ კონსტიტუციის ზოგიერთი დებულება მოძველებულია, სამოცდაათი წლის მანძილზე მიღებულია ახალი ფუნდამენტური ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რაც, ბუნებრივია, ვერ აისახებოდა ამ კონსტიტუციაში. ამასთან 1921 წლის კონსტიტუცია ეფუძნება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების, მმართველობისა და სასამართლო ორგანოების განსხვავებულ სისტემას, რომელთა მექანიკური შემოტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ ქაოსსა და ორგანიზაციულ არე-დარევას გამოიწვევს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება. განსაკუთრებული კამათი და დამსწრე იურისტთა უთანხმოება გამოიწვია ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემამ და საარჩევნო კვოტის პრობლემამ. კანონპროექტის ავტორი ვახტანგ ხმალაძე შეეცადა განემარტა მათ მიერ შერჩეული მოდელის საფუძვლიანობა.

პრინციპი ასეთია, — ბრძანა მან, — ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა და ვისაც უნდა იმას მიცემს. საარჩევნო ოლქები მრავალმანდატიანია და დამოკიდებულია რაიონის სიდიდეზე. ვიქნათ, გვაქვს სამმანდატიანი ოლქი. აქედან უნდა აირჩეს სამი დეპუტატი. ამომრჩეველი ერთხანს უყურებს იმ კანდიდატს, ვინც უნდა რომ დეპუტატი იყოს. ამის შემდეგ, უყურებს ორიანს იმას, რომელიც სურს იხილოს დეპუტატად იმ შემთხვევაში, თუ პირველი არჩეული იქნება ან ვერ გავა დეპუტატად. სამიანს უყურებს იმ კანდიდატს, რომელიც უნდა იხილოს დეპუტატად იმ შემთხვევაში, თუკი პირველი ორი არჩეულ იქნება ან არცერთი არ იქნება არჩეული. როგორ ხდება ასეთ შემთხვევაში ხმების გადაცემა: საარჩევნო კვოტა გაყოფილია ოთხზე, პლუს ერთი. ზემოთ მოყვანილი მაგალითის დროს, თუ ერთმა მიიღო ხმების ორმოცი პროცენტი, მას მოეხსენება ათი პროცენტი და გადაეცემა მეორე ადგილზე მყოფს, და ასე შემდეგ. საზოგადოდ, არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს მოსულ ამომრჩეველთა მის ნაწევარზე მეტს,

ერთადერთი გადასაცემი ხმით. ეს არის მაგალითი, სადაც კვოტა არის ნამდვილ ბიულეტენთა რაოდენობა გაყოფილი ორზე, პლუს ერთი.

სსრკ-ის მონაწილეთათვის ასეთი განმარტება საქმარისი და დამაჯერებელი არ გამოდბა. ამასთან, შემოთავაზებული სისტემა მათთვის გარკვეულწილად გაუგებარი და ბუნდოვანი იყო. ეს აღნიშნა თავის გამოსვლაში ნოდარ ნეზიერძემ: „აქ პროფესიონალი იურისტები ესხედვართ — თქვა მან — და ჩვენ არ გვესმის ეს კანონპროექტი; რებუსივით არის, რიგითმა ამომრჩეველმა როგორ უნდა გაიგოს. მე მაქვს ამის გამოცდილება და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ სისტემას ხალხი ვერ გაიგებს, და ეს არ ექნება გასაკვირი, რადგან ბევრი ჩვენთაგანისათვისაც კი იგი გაუგებარია“.

სსრკ-ის მონაწილეთა ნაწილი არც არჩევნების შემოთავაზებულ მოდელს იზიარებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა აღნიშნა: ჰეგელს უთქვამს — „აღმოსავლეთში ან ღმერთი უნდა იქნებოდეს ან ადამიანი გააღვიძრო“. ამით იმის თქმა მინდა, რომ აღმოსავლურმა სისტემამ აქამდე მიგვიყვანა და ეს შედეგი გამოიღო. რაც უფრო მცირეა ერთი, თავისი სიმცირე გმირებისა და ტერიტორიის ხარჯზე სუფთა გამოისყიდოს. ჩვენ ერსაც გააჩნია მისწრაფება ადამიანების განდიდებისა. რატომ გავაკეთე ეს შესავალი. შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ შინაგანად განწყობილი ვარ ბლოკების წინააღმდეგ, და თუ მათ შევინარჩუნებთ, უარეს შედეგს მივიღებთ. განატონდება ერთი ბლოკი. გეთანხმებით, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ასეა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის კულტურა ამ ეტაპზე სულ სხვა საფეხურზეა. არც პარტიების რეგისტრაციის დღეს არსებული სისტემა მომწონს. ჩემი აზრით, საჭიროა, იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნას ნეიტრალური საგანგებო კომისია (ისტორიკოსების, ფილოლოგების და სხვათა შემადგენლობით), რომელიც წინასწარ განიხილავს მათი დოკუმენტების საჭიროებას, და თუ პარტიას გააჩნია რაიმე სპეციფიკური, სხვათაგან განსხვავებული მიზანი, მისცემს თანხმობას მის რეგისტრაციასზე.


რაც შეეხება არჩევნების სისტემას, — განაგრძო ბატონმა გიორგიმ, — დღევანდელ პირობებში პროპორციული სისტემის წინააღმდეგი ვარ. პარტიული სივებით არჩევნებმა მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. მე მგზამუშებოდა ჩვენი პარლამენტის სსრკ-მებს რომ ვუყურებდი. შთაბეჭდილება იყო უარყოფითი, ჭერ ინტელექტუალურად, შემდეგ ქცევით.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი საკითხი. ვინ უნდა მიიღოს ეს კანონი? უნდა გავითვალისწინოთ უცხოეთის გამოცდილება. საქანონმდებლო პრაქტიკა. თითქმის ანალოგიური სიტუაცია იყო ინდოეთში 1947 წელს. შეიკრიბა ეროვნული კრება, კონგრესი და მიიღეს ჭერ დეკლარაცია, შემდეგ საარჩევნო კანონი. მე ვეთანხმები ეროვნული კრების მოწვევის იდეას.

პირველ რიგში მინდა შევეხო საკითხს პარტიების შექმნისა და მათი რეგისტრაციის შესახებ, — განაცხადა თავის გამოსვლაში იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ტარიელ კულუაშვილმა, — შემოვიდა წინადადება, რომ იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებს გადაწყვეტს. მე არ მიმაჩნია გამართლებულად, ერთმა რომელიმე ორგანომ გადაწყვიტოს პარტიის შექმნის მიზანშეწონილობა. ეს ხალხის, თვით ამომრჩეველთა კომპეტენციაა. ხალხმა უნდა გამოავლინოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ პარტიის მიმართ და ამით მისი არსებობის საკითხიც ავტომატურად გადაიჭრება.

რაც შეეხება არჩევნებს და არჩევნების შესახებ დებულებას, — კანონპროექტი თავისთავად რთულია, მაგრამ აპრობირებულია და ადვილებს ამ სისტემით არჩევნების ჩატარებას. სხვა საკითხია, რომ პროექტი უნდა დაინხვეწოს. უნდა განისაზღვროს ზოგადი პრინციპები საარჩევნო ოლქის შესახებ, ხმის დათვისის პრინციპი, მაგრამ ერთი საკითხი განსაკუთრებით მაღვიქრებს. ისე არ გამოვიდეს, თითქმის არჩევნების ჩატარება ჩვენთვის თვითმიზანია. ჭერ არ ვცდით მმართველობის რა ფორმა გვექნება — მონარქიული, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო ერთპალატიანი თუ ორპალატიანი. ალბათ, ჭერ ეს საკითხი უნდა გადაწყვედეს, ხოლო შემდეგ მოვიფიქროთ რა წესით ჩატარდეს არჩევნები. ამასთან, ვფიქრობ, საჭიროა საბოლოოდ დადგინდეს არჩევნების ჩატარების თარიღი.

კანონპროექტის შესახებ აზრი გამოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვალერი ლორიაშვილმა: მე კარგად მესმის რა მიმე ვითარებაა დღეს საქართველოში და რაოდენ ძნელია ასეთ დროს კანონმდებლობის შემუშავება. ბატონი ვახტანგის წინადადება, მაკორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარების შესახებ, ერთადერთი გადასაცემი ხმის უფლებით, მართლაც კარგია. მაგრამ უარესად არადასაკმაყოფილებელია იმით, რომ არ ასახავს მოსახლეობის ნახევრის შეხედულებას. მე წინააღმდეგი



ღარ ამ წესისა, მაგრამ შექმნილ გამოუვალ მდგომარეობაში, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მი-
 მაჩნია, თუმცა ღრმად მწამს, რომ არჩევნების ყველაზე დემოკრატიული სისტემა არის პროპორციული
 ცალკე. რაც შეეხება ხმების დათვლის წესს, ჩემი აზრით, ის კანონში უნდა იყოს შეცვლილი
 არასწორია, რომ ეს წესი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშაოს. არ შეიძლება ერთ
 საკითხზე ორი კანონი არსებობდეს — ერთი გამოქვეყნებული და მეორე გამოუქვეყნებელი.
 თვით ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის წესიც გაუმართლებლად მიმაჩნია. მის ხუთ
 წევრს დანიშნავს ხელისუფლება, შემდეგ ისინი რეგისტრაციაში გაატარებენ იმ პარტიებს, რო-
 მელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემენ და ამის შემდეგ შევლენ კომისიაში
 ამ პარტიების წარმომადგენლები. სრულიად გაუგებარია. ოფიციალურად მოქმედი პარტიები
 ცნო იუსტიციის სამინისტრომ და რეგისტრაციაშიც გაატარა კანონის მოთხოვნათა დაცვით,
 ამდენად, მათი ხელმეორედ რეგისტრაცია სრულიად უსაფუძვლოა.

დაბოლოს, იმის შესახებ, თუ რომელმა ორგანომ უნდა მიიღოს საარჩევნო კანონი, ნორ-
 მალურ სიტუაციაში ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლების უმდიდრესმა ორგანომ, მაგრამ ასეთი
 არ არსებობს. რაც შეეხება ერთგულ კრებს, მის მოწვევას ალბათ ვერ შევძლებთ, ამდენად,
 რჩება ერთადერთი გამოსავალი — კანონი მიიღოს დღეს არსებულმა ოფიციალურმა ხელი-
 სუფლებამ.


მე გარკვეული მონაწილეობა მაქვს მიღებული იქ წარმოდგენილი კანონპროექტის შემუ-
 შავებაში; ამიტომ, მოხარული ვარ, რომ ვესწრები დღევანდელ სხდომას და ვისმენ სწავლული
 იურისტების შენიშვნებს, — განაცხადა თბილისის სასკოლშიფიფო უნივერსიტეტის იურიდიული
 ფაკულტეტის სტუდენტმა დათო უხუფაშვილმა, — ყველასათვის ნათელია, რომ ცაიტნოტში
 ვართ. დსასშეებია, რომ სამხედრო საბჭომ ან დროებითმა მთავრობამ რაიმე დადგენილება
 მიიღოს. ჩვენი მიზანია შემოქმედება მოვასწინოთ ამ პროცესზე. ალბათ აუცილებელია, იუ-
 რისტთა კავშირმა გამოეყოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელთან ერთადაც ვიმუშავებთ პროექტის
 თითოეულ მუხლზე. ესლა უშუალოდ კანონპროექტის შესახებ. საუბარია, რომ აღდგენილ იქნეს
 სეპარტიველოს 1921 წლის კონსტიტუცია, და შესაბამისად საარჩევნო კანონიც, რომლითაც გათ-
 ვალისწინებული იყო პროპორციული სისტემა. აშკარაა, შემოთავაზებული სისტემის მიმართ
 იქვენი უარყოფითი დამოკიდებულება და ამას ძირითადში კვტის არარსებობა განსაზღვ-
 რავს. ეს საკითხი ძალიან იოლად შეიძლება გასწორდეს. ვთქვათ, ავიღოთ ოცპროცენტიანი
 კვოტა. ჩემი აზრით, არასწორი იქნება კვოტა სულ რომ არ დადგინდეს.

აქ ნათქვამი იყო, რომ კანონის ერთ-ერთი ნაკლი მისი მოცულობითი სიდიდეა. გეთან-
 ხრებით, მაგრამ არჩევნების გამოცილებამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის შეგნებული ნაწილიც
 კი ბევრ რამეში ვერ გაერკვა. დღეს, მითუმეტეს, გაძნელება, რადგან ქაოსის წინაშე ვდგე-
 ვართ. ამას ვითვალისწინებდით პროექტზე მუშაობისას. შეიძლება მიზანს ვერ მივალწვიეთ. ერ-
 იად გავასწოროთ. შევქმნათ სპეციალური ჯგუფი და ერთად ვიმსჯელოთ, რა აკლია, რა არის
 ზედმეტი. ჩვენ აქცენტი დროებით მთავრობაზე გვაკეთეთ, რადგან დღეს ვითარებას ქვეყანაში
 გარკვეულწილად პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ. ამით, ვფიქრობთ, ერთგვარად შევ-
 ზდუდლოთ მათი გავლენა მიმდინარე პროცესებზე და არჩევნების დებულებას მყარი, კანონიერ
 საფუძველი შევძინოთ. უნდა გადაწყდეს ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების
 შექმნის მექანიზმის პრობლემა. ალბათ ამ საქმეში თანაბრად უნდა მონაწილეობდეს ყველა
 პოლიტიკური პარტია.

იურისტთა კავშირის კანონმდებლობისა და საკანონმდებლო წინადადებების სექციის თავ
 მჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრე შუშანაშვილმა თავის გამოსვ-
 ლაში აღნიშნა, რომ წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როცა სეპარტიველოს სამართალ-მემოქ-
 მელება, რუსული კანონების სიტყვა-სიტყვით გადმოღებით ამოიწურებოდა. ჩვენ უნდა შევ-
 ქმნათ ორიგინალური კანონმდებლობა და ამ საქმეში თავისი კომპეტენტური სიტყვა უნდ
 თქვას იურისტთა კავშირმა.

კავშირის დღევანდელი სხდომა ეძღვნება პარლამენტის არჩევნების შესახებ დებულები
 პროექტს, რომელიც სახალხო განხილვისათვის არის წარმოდგენილი, — განაცხადა მან, — ე
 არის ოფიციალური დოკუმენტი. ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ სპეციალურ კანონებს მი-
 ვიღებთ კანონპროექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შემდეგ
 ეს კანონიერია, სწორია და ჩვენ უნდა შევასრულოთ. მაგრამ ამ პროექტის გამოქვეყნებით
 ღარღვეულია ეს ოფიციალური წესი.

ამასთან აშკარაა, რომ პროექტი შესრულებულია არასპეციალისტების მიერ. აბა წარ-
 მოიდგინეთ, თუ სპეციალისტი არა ხარ ორკესტრს უხელმძღვანელებ? შენობას დააპროექტებ?...
 ...



ამ დროს, ყველას ჰგონია, რომ ჩვენს დარგში — იურისპრუდენციაში იმუშავენ. აქ რაღაც წესრიგი უნდა დამყარდეს. უნივერსიტეტში არსებობს სპეციალური კათედრა, აკადემიაში სპეციალური განყოფილება, რომელთაც სამსახურებრივად ვეალებათ მონაწილეობა კანონპროექტების შემუშავებაში.

ჩვენ ვერ მივალწვიეთ, რომ ძველი პარლამენტი სათანადო სპეციალისტებით, მათ შორის, იურისტებით ყოფილიყო დაკომპლექტებული. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ მივიღებთ ისეთ პარლამენტს, როგორც უკვე იყო — არასპეციალისტების, არაპროფესიონალების თავყრილობა.

თი, ძველი პარლამენტი, რომელმაც ამ დღემდე მოგვიყვანა, არჩეული იყო შერეული სისტემით, დღეს წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, პარტიული სიებით არჩევნები არ ჩატარდება. მთლიანად საქართველო დაიყოფა ოლქებად და არჩევნები ჩატარდება მაკრორეგიონული სისტემით, რასაც სავსებით ვეთანხმებით, თუმცა, უნდა განისაზღვროს, თუ რა კრიტერიუმები ავიღოთ. თითოეულ ადმინისტრაციულ ოლქს უნდა ჰქონდეს თავისი მანდატი, მაგრამ ყოველ დამუშავებელსა ყაზბეგის ათასმა ამომრჩეველმა აირჩიოს ერთი დეპუტატი და სამეგრელოს 35 ათასამაც ერთი, აქვე ვაცხადებ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებისა. ისინი ერთმანდატიანი უნდა იყოს, რათა მოსახლეობამ იცოდეს ვის ირჩევს.

არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც, კერძოდ, — ხომ არ აჯობებდა პარლამენტი ორპალატიანი ყოფილიყო? ვთქვით, ერთგნული საბჭო და სენატი. თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეა. სამასი დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რათა ყველა რაიონს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. სენატის ორი მესამედი შეიძლება აირჩიონ დეპუტატებმა თავისი რიგებიდან, ერთი მესამედი — პროფესიონალურმა კავშირებმა. აქ უნდა იყვნენ პოლიტოლოგები, იურისტები, ეკონომისტები, პრეზიდენტს კი უფლება ექნება თავისი შემადგენლობის ნახევარი სენატის წევრთაგან დანიშნოს. ამასთან, აუცილებლად უნდა გადაწყდეს ხელისუფლების საკითხი — საპრეზიდენტო გვექნება თუ საპარლამენტო. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

აქვე აუცილებლად უნდა გაირკვეს ვინ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი. რა თქმა უნდა, ყველა, მაგრამ არის თანამდებობათა შეუთავსებლობის საკითხი: მინისტრი არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი, სამმართველოს უფროსი — შეიძლება. ასევე, ვერ იქნება პარლამენტის წევრი გენერალური პროკურორი, სასამართლოში არჩეული პირი... რა ლოგიკაა? საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, თუ პარლამენტის წევრი ყველა სახელმწიფო სამუშაოსაგან არ იქნა განთავისუფლებული, ისე ვერაფერს მოასწრებს.

მკვეთრად უნდა განისაზღვროს კანდიდატთა დასახელების წესი, საარჩევნო ოლქში ამის უფლება აქვს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხუთ პროცენტს და არანაკლებ ხუთასი კაცისა, მაშინ, როცა პოლიტიკურ პარტიას, თუ გატარდა რეგისტრაციაში, (ამისათვის კი ასი კაცის სურვილია საკმარისი), ასევე ეძლევა კანდიდატის დასახელების უფლება, და ამ დროს საქართველოს იურისტთა კავშირი ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დეპუტატობის კანდიდატს ვერ წაარადგენს, ეს წარმოდგენილი კანონპროექტის სერიოზული ნაკლია და აუცილებლად უნდა გასწორდეს.

სხდომის მუშაობა შეაჯამა იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ რატიაშვილმა. მე ვფიქრობ, აღნიშნა მან, — ჩვენმა დღევანდელმა შეკრებამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო, — ეს იყო შემოთავაზებული დებულების პროექტის პირველი საჯარო განხილვა, დამატებითი და საყურადღებო შენიშვნები გამოითქვა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელი იქნება დებულებაში. ერთი რამ უდაოა, კანონპროექტი დამუშავებასა და სრულყოფას მიიღობს და ამ საქმეში ჩვენი, იურისტების მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს იურისტთა კავშირის სხდომამ დაადგინა, რომ შეიქმნას სპეციალური მუშაგუფი პარლამენტის არჩევნების დებულების პროექტზე სამუშაოდ, რომელიც დეტალურად გააანალიზებს თითოეულ მუხლს და კანონს დასრულებულ, იურიდიულად გამართულ და დაბეჭდილ სახეს მისცემს. გადაწყდა, ეთხოვოს დროებით მთავრობას, შექმნას კომისია კანონის საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად, რომელშიც მონაწილეობას იურისტებიც მიიღებენ და აუცილებლად განიხილავენ იურისტთა კავშირის მუშაგუფის მიერ შემუშავებულ ვარიანტსაც.

თამაზ შირმასაშვილი

უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლება საგანი „რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“.

რუსეთისა და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე ხსენებული დისციპლინის შესასწავლად გამოიყენებოდა პროფ. ი. ბ. ნივიციკის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელო — „რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“ (გამოცემა 1958, 1960 და 1972 წლებში).

ქართულ ენაზე თარგმნილია ი. ს. პერეტერსკის წიგნი „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ნაკვეთი II, ძველი რომი“, თბილისი 1948, რომელმაც თავის დროზე კარგ სამსახური გაუწია რომის სამართლის ისტორიით დაინტერესებულ ქართველ სტუდენტობას.

ქართულ ენაზე არსებობს აგრეთვე მ. დერნბურგის „მანდეტები“-ს ქართული თარგმანიც.

მაგრამ თუ რომის სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე მეტად მცირეა რომის სამართლის ისტორიის შესახებ არსებული თარგმნილი წიგნების რაოდენობა.

1970 წელს ინგლისურ ენაზე ბუდაპეშტში დაიბეჭდა ცნობილი უნგრელი რომანისტის გ. დიოშდის მონოგრაფია „საკუთრება უძველეს წინაკლასიკურ რომაულ სამართალში“. ამ წიგნის პირველი თავი „მოძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების წარმოშობა“ დაიბეჭდა კრებულში „ქართული სამართლის ისტორიის საკითხების“ მეოთხე წიგნში (1988, გამ. „მეცნიერება“, გვ. 179-197). თარგმანი ეკუთვნის ს. გოგინავას.

ცხადია, ქართულ ენაზე არსებული ნათარგმნი ლიტერატურით ძნელია სრული წარმოდგენის შექმნა რომის სამართლის, როგორც ანტიკური სამყაროს წილში შექმნილი სიბრძნის ერთი დარღვის შესახებ.


ამიტომაც, სტუდენტს, რომელსაც სურს საფუძვლიანად გაეცნოს რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიას, მოუხდება დამატებით გაეცნოს ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ წიგნს — „რომის კერძო სამართალი“ (მოსკოვი, 1948). ასევე რომის სამართლის გაღრმავებით შესწავლისათვის რეკომენდებულია ა. პოკროვსკის ნაშრომები „რომის სამართლის ისტორია“, (მოსკოვი, 1918), აგრეთვე მისივე მონოგრაფია „სამართალი და ფაქტი რომის სამართალში“ (რუსულ ენაზე).

სტუდენტებს რომის სამოქალაქო სამართლის შეთვისებას გაუადვილებს ვ. ა. რიანენციკის „სქემების კრებული რომის სამოქალაქო სამართლიდან“ (მოსკოვი, 1979, რუსულ ენაზე).

1985 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემილობამ რუსულ ენაზე დასტამბა ორტომიანი კრებული „ძველი რომის კულტურა“, რომლის პირველი ტომის შესახებ თავად დაიბეჭდა ე. მ. შტაერმანის ნაშრომი „რომის სამართალი“ (გვ. 210-247).

სწორედ ამ გამოცემიდან ვთარგმნეთ „რომის სამართალი“. მისი ავტორი ე. მ. შტაერმანი ცნობილი ისტორიკოსი-რომანისტია. მისი მკითხველი ღებობს, იმედგაცრუებულად არ დარჩება. მას ლაპიდარულად, შეკუმშულად, ისე რომ მისი ყველ წინადადებაში შინაარსი გარბობს ფაქტს, გადმოცემული აქვს ბევრი გაბედული და ახალი მოსაზრება. ზოგან ის აკრიტიკებს კიდევაც იურისტ-ისტორიკოსების შეხედულებებს რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებისას.

ე. მ. შტაერმანის ენა ღრმა და მძიმეა, წინადადებები რთული აგებულებისაა; ამიტომ ჩვეულებრივი მკითხველისათვის ის გასაგები რომ ყოფილიყო, ჩვენ გვიხდებოდა მისი რთული წინადადების გამარტივებაც კი. ზოგჯერ არ მოვერიდეთ მისი აზრების უბრალოდ გადმოცემას და უარი ვთქვით ზუსტ თარგმანზე. ე. მ. შტაერმანი რომელი იურისტების, რომის იმპერატორების და სხვა პირების ხსენებისას, უმრავლეს შემთხვევაში, მათი ცხოვრება-მოღვაწეობის თარიღს არ ახსენებს. ჩვენ ეს ხარვეზი შევავსეთ, რომელი მოღვაწეების სახელებს ა. კობახიძის და მ. ჯაბაშვილის მიერ შედგენილი „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით ვიხსენებთ, გარდა მცირე გამონაკლისე-



ბისა. შენიშვნებსა და ზოგჯერ თვით ტექსტშიც შევიტანეთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც
 ბიც რომის სამართლის ათვისებაში დაეხმარება ქართველ მკითხველს.
 ამიტომაც წინამდებარე „რომის სამართალი“ არ არის ე. მ. შტაერმანის თხზულების
 წესტი თარგმანი, მაგრამ ის მაინც ძირითადად შტაერმანის ნაშრომის თარგმანად უნდა
 მივიჩნიოთ. წინამდებარე ნაშრომი უფრო თავისუფალი თარგმანია, პერიფრაზა, ვიდრე
 წესტი თარგმანი.

ბიორბი ნადარეიშვილი

ბ. მ. შტაერმანი

რომის სამართალი

ანტიკურმა საზოგადოებამ განიცადა ევოლუცია „პოლისიდან იმპერიამდე“, „მოქალაქიდან ქვეშევრდომამდე“. მოქალაქისათვის დამახასიათებელი იყო უშუალო, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, „განუსხვისებელი“ კავშირები „თემი-მოქალაქის“ სისტემის შიგნით. მაშასადამე, მოქალაქეს აქ ახასიათებს „თანამონაწილეობითი კავშირები“. ეს თანამონაწილეობითი კავშირურთიერთობა მოქალაქის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას გულისხმობდა.

იმპერიის ხანაში კი მოქალაქე ქვეშევრდომად იქცა. გაჩნდა ურთიერთობა — „იმპერია — ქვეშევრდომი“, ე. ი. საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობითი კავშირი გადაიქცა მორჩილებით კავშირად¹.

სამოქალაქო თემი დიდ როლს თამაშობდა რომაელის ცხოვრებაში. თემის, კოლექტივის, ქალაქის, სახელმწიფოს ინტერესებს რომაელი ყოველთვის უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პირად და სხვა ინტერესებს. რ. ნიკოლეს თქმით, „ცივიტას“-ისთვის თავგანწირვა ნიშნავდა თავის შეწირვას თავისსავე სწორად გაგებული ინტერესისათვის, და ეს მარტივი და ნათელი შეფარდება კოლექტივის სიდიადესა და კეთილდღეობას და კოლექტივის ცალკეულ კომპონენტებს შორის გამორიცხავდა ინდივიდის გაუცხოებას.

ადრეულ ხანაშივე იყო გავრცელებული და დამკვიდრებული იდეა რომის პროვიდენ — დანიშნულების შესახებ, რომ რომს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული ღმერთებისაგან სხვა ხალხებზე ბატონობა. ამიტომ რომაელი ამაყობდა იმით, რომ ეკუთვნოდა რომის მოქალაქეთა რიგებს, რომ ის ემსახურებოდა „ცივიტას“-ს.

რომაელებს მრავალრიცხოვან ომებში გამოუჩენდათ სიმამაცის — „ვირტუსის“ (virtus) როგორც სათნოების სინონიმის იდეა.

რომაელისთვის „ვირტუსი“ იყო იმ თვისებათა კომპლექსი, რომელიც მოვთხოვებოდა რომაელ მოქალაქეს. „სიმამაცე“ გულისხმობდა როგორც საკუთრივ სიმამაცეს, გმირობას, ასევე ამტანობას, შრომისმოყვარეობას, მკაცრ ღირსებას, ურყევ პატიოსნებას, სამართლიანობას.

ზოგი ავტორი „იუს“-ს სამართლიანობას „ვირტუს“-ზე სიმამაცეზე მაღლა ცი აყენებდა.

¹ უტჩენკო ს. ლ. „ძველი რომის პოლიტიური მოძღვრებები ძვ. წ. III-I საუკუნეებში. მოსკოვი. 1977, გვ. 229 (რუს.).

რომაელების ცხოვრებაში ისეთ ცნებებს, როგორცაა კანონი და სამართლიანობა — „ლექს“ და „იუსტიცია“ ძალიან დიდი ადგილი ეჭირა. ცხადია, ფასეულობათა რომაულ სისტემაში კიდევ უფრო მაღალი ადგილი ჰქონდა განკუთვნილი სამართალს — „იუს“-ს.

რომის ისტორიის სპეციალისტებს შემჩნეული აქვთ, რომ სამართლის ნორმების შემუშავება, შესწავლა, კომენტირება, თვით უმაღლესი მდგომარეობის პირებისთვისაც, მეტად საპატიო საქმიანობად ითვლებოდა. რომში ტრადიციული იყო, რომ უმაღლესი ქურუმები, დიდი პონტიფიკები სწორედ სამართლის სფეროში მოღვაწეობით გაითქვამდნენ სახელს.

ცნობილია, რომ იურისტ პომპონიუსს დაწერილი ჰქონდა რომის სამართლის მოკლე ისტორია („ენხიროლიონი“), რომლებიც შემდეგ „დიგესტების“ კი მოხვდა.

სხვა მხრივაც ჩანდა სამართლის ისტორიით დაინტერესება. პაპირუსმა შეაგროვა თურმე საკანონმდებლო ძეგლები, რომლებიც ე. წ. „რექსების“ ანუ მეფობის ხანას განეკუთვნებოდნენ.

აპიუს კლავდრუსმა დაწერა თურმე შესანიშნავი ნაშრომი სარჩელების შესახებ „დე აკციონიბუს“. საღვიუს იულიანუსის ნაწერები იხსენიება „დიგესტებ“-ში (დიგ. 1. 2; 35-53)².

ძველი რომის იურისპრუდენციის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს არარომაელებმაც — ბერძნებმა, ებრაელებმა და სხვებმა.

ცნობილია, რომ ძველმა ბერძულმა ფილოსოფიამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა რომის სამართლის განვითარებაზე. განსაკუთრებით საკუთრების აბსტრაქტული ცნების შემუშავების საქმეში.

იურისტები იყვნენ იმპერატორების მრჩეველები, დიდი თანამდებობის პირები და ა. შ. შედიოდნენ იმპერატორის საბჭოში, ხოლო მეორე საუკუნის ბოლოდან და მესამე საუკუნეში ეკავათ პრეტორიის პრეფექტის თანამდებობაც, რომელიც იმპერატორის შემდეგ სახელმწიფოში მეორე პირად ითვლებოდა. კარგი იურიდიული განათლების მეშვეობით დაბალი წოდების პირს შეეძლო მაღალ წოდებაში მოხვედრა. ამის მაგალითია ციცერონიც.

ძველი რომის საზოგადოებრივი აზრი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკას. ხოლო თვით რომაელი იურისტები მრავალი საუკუნის განმავლობაში, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იმალებდნენ ავალიფიკაციას, სრულყოფდნენ როგორც სამართალს, სამართლებრივ ნორმებს, ასევე მათი ანალიზისა და კომენტირების მეთოდებს.

ასე თუ ისე, რომის სამართალი ცხოვრების რეალური მოთხოვნებისგან შორს არ იდგა და ასახავდა კიდევაც ნამდვილ იურიდიულ ყოფა-ცხოვრებას.

ე. წ. „რექსების“ ანუ მეფეების ხანის რომის სამართლის შესახებ ჩვენ აითქმის არაფერი არ ვიცით, ამ „სამეფო“ კანონებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ მცირეოდენი ნაწყვეტები, რომლებიც განმარტავდნენ ე. წ. საკრალურ სამართალს.

² ე. შ. შტაერმანი აღნიშნავდა «...среди правоведов периода Республики называют П. Папирия, собравшего законы царей, Аппия Клавдия, писавшего об исках (de actionibus). Суллиона Назику. Кв. Муция, Тиб. Карункания, П. Муция, написавшего 18 книг о гражданском праве, Катона, Аввия Галла, Сервия Суллиция — людей видных, политических деятелей, сенаторов и консулов»... См. Культура древнего Рима. Том I, М. Изд. «Наука». 1985, стр. 210.



რომის სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო იყო ე. წ. თორმეტი ტაბულის კანონები, რომლებიც, ძველთაგან მომდინარე ტრადიციის თანახმად, ძვ. წ. 451-450 წლებში უნდა იყოს შედგენილი. ამ დროს რომში ჯერ კიდევ არ არსებობდა სამონეტო მიმოქცევა. მონეტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდნენ. მოგვიანებით, მონეტების გაჩენასთან ერთად, თორმეტი ტაბულის კანონებში შექმნა ერთადერთი სათანადო ცვლილებები.

თორმეტი ტაბულის კანონებში აისახა ტრადიციული ე. წ. პატრიარქალური საზოგადოება გვაროვნული სტრუქტურების მძლავრი გადმონაშთებით. სტადიალურად ასეთი საზოგადოება ცნობილია მრავალი ქვეყნის მავალითის ბიხედვით³.

მკვლევარები აღნიშნავენ თორმეტი ტაბულის ეპოქის (ძვ. წ. V ს.) რომის საზოგადოების ტრადიციულ, კონსერვატიულ ხასიათს. დიდ პატივში იყო „წინაპართა ზნეობა“.

თორმეტი დაფის — (თორმეტი ტაბულის) კანონები ეყრდნობოდა ძველ რომაულ სამოქალაქო თემს და მის ტრადიციულ ფასეულობებს და ამიტომაც სანამ ეს თემი უცვლელი რჩებოდა, ცხადია, კანონებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

სამართალგანვითარების ძველადმოსავლური, ძველბაბილონური დონე თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ვერ გადალახა ვერცერთმა ხალხმა, მხოლოდ ძველი რომის სამართლის წიაღში მოხერხდა ეს. ძველ რომს აღმოაჩნდა სახელმწიფოებრიობისა და სამართლის განვითარების სფეროში ახალი ნაბიჯების გადადგმის უნარი.

საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე რომის სამოქალაქო თემმა გაიარა ის საფეხური, რომელიც თითქმის ყველა ხალხშია შემჩნეული, ესაა ჩვეულების „კონსუეტუდო“-ს დიდი ძალმოსილება და ფიცისთვის („იუსიურანდუმ“) დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

არის გაგრძელებული მოსაზრება, რომ ძველ რომში უკვე უძველესი ხანიდან არსებობდა მიწაზე სრული კერძო საკუთრება და მისი გასხვისება შედარებით ადვილი საქმე იყო. მესაკუთრე პიროვნება თავისი მიწის ნაკვეთის შესახებ ამბობდა: „მიუფ ესე ეკს იურე კვირიტიუმ“ — ეს ჩემია კვირიტიული (კვირიტიული) სამართლის თანახმად.

მიუხედავად ამისა, კოლექტივი, სამოქალაქო თემი მაინც აკონტროლებდა კერძო მიწათმფლობელთა საქმიანობას მიწის გასხვისების ასპექტში.

ე. მ. შტაერმანის აზრით, რომში სამოქალაქო თემი განაგრძობდა არსებობას, როგორც მიწის უმადლესი მესაკუთრე და აკონტროლებდა მიწის განკარგვას. თვით მანციპაციის პროცედურის სირთულე, მიწის გასხვისების პროცედურის სირთულე თავისთავად მიგვითითებს იმის შესახებ, რომ ძველ რომში არ ყოფილა გაადვილებული მიწის ნაკვეთის გადასვლა ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორეში.

მიწის ნაკვეთის და მუშა პირუტყვის გასხვისება ისე გაადვილებული არ იყო, როგორც სხვა ნივთებისა, რომელთა გასხვისებაც უბრალო გადაცემით, „ტრადიციით“ შეიძლებოდა.

მიწისა და მისი დამუშავებისათვის აუცილებელი ინვენტარის გასხვისება-

³ სინიციანა ი. ე. „ჩვეულება და ჩვეულებითი სამართალი თანამედროვე აფრიკაში“, მოსკოვი. 1978. გვ. 81-85 (რუს.).

ში კოლექტივის, სამოქალაქო თემის კონტროლი და ჩარევა თავისთავად გასაგებად ითვლებოდა⁴.

რომის სამართალი ცნობდა ე. წ. „უსუკაპიო“-ს (usucapio) ინსტიტუტს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მიწა, აგრეთვე სხვა უძრავი ქონება, შეიძლებოდა პირს შეეძინა ორი წლის განმავლობაში მისი სარგებლობის შექმნის, ორი წლის განმავლობაში მიწის დამუშავება იძლეოდა მასზე საკუთრების უფლებას. ამაზე ლაპარაკობდა თორმეტი ტაბულის სამართლის მეექვსე ტაბულა.


ეს უფლება, როგორც მართებულად აღნიშნავს ისტორიკოსი შტაერმანი, დაკავშირებული იყო თემური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ „შრომით საკუთრების პრინციპთან“. და რაც კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს, ისაა, რომ ხსენებული დანაწესი არსებობდა რომის მთელი ისტორიის განმავლობაში: მიწა, რომელიც მისმა მფლობელმა დაუმუშავებლად დატოვა და უყურადღებოდ მიაგმო, გადადიოდა იმის საკუთრებაში, ვინც ის დაამუშავა და მისგან შემოსავალი მიიღო.

თვით გვიანდელი ავტორებიც კი მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას უკავშირებდნენ პირის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის დამუშავების ფაქტს. მაგრამ თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით, რომის ტერიტორიაზე მხოლოდ რომის მოქალაქეს ჰქონდა მიწის ფლობის უფლება, „უსუკაპიო“-ს უფლება არ ვრცელდებოდა უცხოელებზე. ქალაქ რომის ტერიტორიაზე მიწის საკუთრების უფლება ჰქონდა მხოლოდ რომის მოქალაქეს. აქედან გამომდინარეობდა იურიდიული ფორმულა „ჩემია ქვირიტული“ სამართლის მიხედვით, რომელიცისთვის ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა მიწის მფლობელობის, მიწაზე საკუთრების უფლების განუყრელი კავშირი მოქალაქეობასთან.

თემის უპირველესი საზრუნავი იყო მიწის დამუშავება. -სწორედ ამ კრიტერიუმის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვითითებს რომის სახელმწიფოში ოჯახის მნიშვნელობა და მდგომარეობა. ოჯახის უფროსის შეუზღუდველი ძალა უფლების გამართლებას რომაელები მისი სამეურნეო უფლებების მკაცრად დაცვის მიზანშეწონილობაში ხედავდნენ. ოჯახის უფროსი ანუ სახლის უფალი, იგივე pater familias, როგორც ერთმმართველის განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი, ამავე დროს, იყო ოჯახის მთელი ქონების მესაკუთრე. ოჯახის არც ერთ წევრს არ შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე საკუთრება, ოჯახის წევრების მიერ შექმნილი ქონება ეკუთვნოდა „პატერ ფამილიას“-ს — სახლის ანუ ოჯახის უფალს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო საკუთარი შეხედულებისამებრ განეგო ოჯახის წევრების სამუშაო ძალა, გაეჭირავებინა ისინი, გაეყიდა და დაესაჯა. ოჯახის წევრის სიკვდილით დასჯის შემთხვევაში რომაული ჩვეულება მოითხოვდა, რომ ეს საოჯახო სამსჯავროს გადაწყვეტილებით მომხდარიყო.

თუ ოჯახის უფროსი მონას გაყიდა, ხოლო ახალი ბატონი მას თავისუფლებას მიანიჭებდა, გათავისუფლებულ მონაზე ძველ ბატონს ხელი არ მიუწევ-

⁴ ე. მ. შტაერმანი წერს: «Еще более показательно, что завещание должно было утверждаться собранием народа или войска, а если законный наследник (сын или внук), находившийся под властью pater familias, лишился наследства, то он должен был быть назван по имени, очевидно, для того, чтобы сограждане могли судить, насколько справедливо он был лишен прав на имущество отца и власти в фамилии». Культура древнего Рима. т. I. М., «Наука» 1985, стр. 211.—212.



დებოდა. ხოლო თუ მამა ვაჟიშვილს გაყიდდა და ეს უკანასკნელი თავისუფლებას მოიპოვებდა, ის ხელანლა უნდა დამორჩილებოდა მამის — „პატერ ფა მილიასის“ ძალაუფლებას და ასე სამგზის. მხოლოდ მესამედ გაყიდვის შემდეგ, თუ შვილი მოიპოვებდა თავისუფლებას, ის უკვე მამის ძალაუფლების ქვეშ აღარ მოექცეოდა და საბოლოოდ თავისუფალი ხდებოდა. ასეთი რამ მხოლოდ თორმეტი ტაბლის კანონების შემდეგ იქნა აღიარებული. მანამდე კონვითარება ოჯახში უკვე მძიმე უნდა ყოფილიყო. მამის ძალაუფლების დეპოზიტში განუსაზღვრელი იყო რომში. რომის სამართალმა მოგვიანებით საერთოდ უარყო შვილების გაყიდვის პრაქტიკა და ეს იყო რომის სამართლის განვითარებისუნარიანობის გამოხატულება.

ეკონომიკურად შვილების უფლებების ხაზი დიდხანს შეინარჩუნა რომის სამართალმა. თუ ვაჟიშვილი მამის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ეს მას ხელს არ უშლიდა დაეკავებინა მაღალი თანამდებობა სახელმწიფოში, მაგრამ ის საკუთრების უფლებას მაინც მოკლებული იყო მამის ძალაუფლებით შეჯავშნულ ოჯახში, დაახლოებით ისევე, როგორც მონა. ძველი რომის ოჯახის დახასიათებისას ისტორიკოსებს მოაქვთ ასეთი მაგალითი: თუ რომელი მოქალაქის ვაჟიშვილი, მონა ან ცხენი შეჯიბრებაში თავს ისახელებდა, საჩუქარს, გვირგვინის სახით, ღებულობდა ოჯახის უფროსი და სრულუფლებიანი პიროვნება კანონის წინაშე. ჯერ კიდევ ოჯახის არტახებიდან არ იყო გამოთავისუფლებული პიროვნება. (თორმეტი ტაბულა. X.7).

ცხოვრების მრავალი ასპექტის მიხედვით, მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ვაჟიშვილის მდგომარეობა მონისას მოგავგონებდათ. თუ ვაჟიშვილს ქურდობა დაბრალდებოდა, ოჯახის უფროსს შეეძლო ან გადაეხანა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, ან დაზარალებულისათვის უშუალოდ გადაეცა. დამხაშვე დასასჯელად (nexam dedere. XII. 2). იგივე წესი მოქმედებდა მონის მიმართაც. მონის ბატონი ან მიყენებულ ზიანს ანაზღაურებდა, ან მონას გადასცემდა დაზარალებულ მხარეს, ზიანის ასანაზღაურებლად. ასევე, თუ ვისიმე ცხოველი წაახდენდა ყანას, საქონლის მეპატრონე ან მიყენებული ზიანის საფასურს იხდიდა, ან ცხოველს გადასცემდა დაზარალებულ მხარეს.

ცნობილმა მკვლევარმა ფ. დე მარტინომ გამოთქვა საფუძვლიანი მოსაზრება, რომ რომაელი „პატერ ფამილას“-ი, რომელსაც ხელთ ეპყრა ოჯახის მთელი რესურსები, თავისი ძალაუფლებით ყველაზე უფრო ეფექტურად უზრუნველყოფდა მიწის დამუშავებას. ძველ რომში კი მიწათმოქმედებისათვის საკმაოდ მძიმე პირობები არსებობდა⁵. ოჯახის და სამოქალაქო თემის მთელი ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ ქვეყნის მიწის ფონდი რაც შეიძლებოდა კარგად ყოფილიყო დამუშავებული.

ხშირად ხდება, რომ ერთსა და იმავე სამართლებრივ ნორმას თუ ჩვეულებას მკვლევარები სხვადასხვაგვარ ახსნას აძლევენ. ასე მოხდა რომის სამართლის იმ ნორმის მიმართაც, რომლის მიხედვითაც, რომში ყოველ მემკვიდრეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ოჯახის თავდაპირველ საერთო საკუთრებაში მყოფ თანამემკვიდრეთა ქონებიდან წილის მიღება, საკუთარი წილის გამოყოფა მამის ქონებიდან. ამ ფაქტიდან ზოგიერთ მკვლევარს გამოჰქონდა დასკვნა ძველი რომაელების განსაკუთრებული ინდივიდუალიზმისა და კერძო მესაკუთ-

⁵ ფ. დე მარტინო. სამართალი და საზოგადოება ანტიკური ეპოქის რომში. 1979. გვ. 56. (რტ. ენაზე).



რული ინსტიტუტების შესახებ. „თანამემკვიდრეთა საერთო საკუთრების (eratum non eiturum) დანაწილების უფლება და ოჯახის ახალ ოჯახებად დახლეწევრების შესაძლებლობა ძველი რომაული კანონმდებლობის მიერ იმიტომ იქნა დაშვებული, რომ წახალისებინათ მეურნეობის წარმოების ყველაზე ხელსაყრელი ფორმა“, აღნიშნავს ე. მ. შტაერმანი. როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში ოჯახის ორ და მეტ ოჯახებად დანაწილება, სამეურნეო ეფექტიანობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იყო. ამ ახალი ოჯახების სათავეში კვლავ იდგნენ, რა თქმა უნდა, ახალი სახლის უფალნი, იმავე უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობდნენ „პატერ ფამილიას“-ები. თემის წინაშე ყველა ოჯახის უფროსი პასუხს აგებდა თავის ადგილ-მამულზე ეფექტური მეურნეობის წარმოების თვალსაზრისით. თემი დაინტერესებული იყო იმაში, რომ ოჯახი ყოფილიყო ქვეყნის არა მარტო სოციალური, არამედ ოპტიმალური სამეურნეო უჯრედიც.

უკვე თორმეტი ტაბულის კანონების ხანიდან მოყოლებული რომის მოქალაქის სიკვდილით დასჯა არ შეიძლებოდა ცენტურიატული კომიციის ნებართვის გარეშე (IX, 2). ეს კომიციები ამრიგად არა მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ, არამედ უმაღლეს სასამართლო ორგანოდაც ითვლებოდნენ. აღიარებული იყო აგრეთვე მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე.

ასე იბადებოდა კანონის უზენაესობის იდეა, თვითნებობათა აღკვეთის იდეა და საფუძველი ეყრებოდა ევროპის საუკეთესო საზოგადოებებისათვის შემდეგი დამახასიათებელი პროგრესის პრინციპების ჩამოყალიბებას.

ადრინდელი რომის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა ხალხი, თემი, თემის წევრთა აქტიურობა. ხალხს გათავისებული ჰქონდა საზოგადო ინტერესები.

თუ ვინმე საერთო საქმეს დალატობდა ან რაიმეთი არცხვენდა კოლეტივს, მას კიცხავდნენ. ხალხს გულთან ახლოს მიჰქონდა პიროვნების ყოველი ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს არ უმართავდა საერთო ინტერესებს. ამიტომ ხალხი თავის ლექსებში, სიმღერებში მათ კიცხავდა. მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ აქ შეიძლებოდა ხალხის სახელით ბოროტად ესარგებლათ და კერძო ინტერესების საფუძველზე ვინმე პატიოსანი კაცი გაეკიცხათ — მისი საქციელი უსამართლოდ გაეხადათ სალექსოდ.

ცხადია, პატიოსან მოქალაქეზე შემარცხვენილი ლექსებისა და სიმღერების გავრცელება დიდი უბედურება იქნებოდა ამ უკანასკნელისათვის. ამიტომ სიკვდილით უნდა დასჯილიყო ის, ვინც სხვაზე შეთხზავდა და გავრცელებდა, გამოაქვეყნებდა გამაწბილებელ ლექსს (სიმღერას).

სხვადასხვა ავტორი თორმეტი ტაბულის ზემოხსენებულ ნორმას სხვადასხვა განმარტებას აძლევს. ზოგი ფიქრობდა, რომ ძველი რომაელები სიმღერას მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ, ზოგიც მასში ხედავდა მკაცრ სასჯელს ცილისწამებისათვის, როგორც მძიმე დანაშაულისათვის. უფრო მისაღები ჩანს მოსაზრება, რომ პრიმიტიულ საზოგადოებებში იმ ადამიანის დაცინვა, რომელმაც დაარღვია საერთოდ მიღებული წეს-ჩვეულება, შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, იყო ქმედითი საშუალება ძველი „კეთილი ზნეობის“ დასაცავად. და თუ აქ რაიმე უსამართლობას ექნებოდა ადგილი, მისი გასწორება ძნელი

6 შ. ძემილევი „კოსმიურის შესახებ“. მოსკოვი, 1972, გვ. 158-162.

იქნებოდა. არაიშვიათად ისე მძიმედ განიცდნენ სიმღერების და ლექსების მკვ-
ვეობით დაცინვას, რომ დაციხვით განაწყენებული პირი ტრაგიკულად ვსრუ-
ლებდა სიცოცხლეს.

ე. მ. შტაერმანი იმასაც აღნიშნავს, რომ ძველ რომში განსაკუთრებით
აფასებდნენ პირად ღირსებას — „დიგნიტას“-ს. მაგრამ როგორც აღამიანის გა-
ციხვის, ასევე მისი დამსახურებების აღიარება, მოქალაქეთა მთელ კოლექ-
ტივს ეკუთვნოდა და არა ცალკეულ პირს.⁷ ასეთ მოსაზრებაში უთუოდ არის
ჭეშმარიტების მარცვლები.

რომის სამართლის განვითარების ადრეულ საფეხურზე, ძვ. წ. მეხუთე სა-
უკუნის კანონმდებლობაში, ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ის, რომ კანონით გან-
მტკიცებულიყო წოდებრივი უთანასწორობა. თორმეტი ტაბულის კანონების
ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში არა ჩანს თვით ტერმინი წოდებაც კი. მაგ-
რამ თორმეტი ტაბულის კანონებისთვის, ციცერონის ცნობით („რესპ. შესა-
ხებ., II, 36, 37), მოგვიანებით დაუმატებიათ კანონების ახალი „უსამართლო“
დაფა — ტაბულა, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ქორწინება პატრიცი-
ებსა და პლებებს შორის. მოგვიანებით, იმპერიის ხანაში წოდებრივი უთა-
ნასწორობა ისე რელიეფურად გამოიკვეთა რომის კანონმდებლობაში, რომ კა-
ნონის წინაშე ყველა რომაელის თანასწორობის იდეის ნასახები თუ დარჩა.

მკვლევარებს შენიშნული აქვთ, რომ ძვ. წ. მეხუთე საუკუნისათვის ერ-
თადერთ განსხვავებას, რასაც რომის სამართალი უშვებდა, ეს იყო განსხვავება
მიწის მფლობელთა და არამიწისმფლობელთა ე. ი. უმიწო პროლეტარებს შო-
რის და ესეც მხოლოდ გარკვეული ასპექტით იყო დაშვებული. მიწის მფლო-
ბელის დამცველი სასამართლოში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ისევე მი-
წისმფლობელი, ხოლო პროლეტარის დაცვისათვის ასეთი მოთხოვნა არ არსე-
ბობდა. მისი დაცვა სასამართლოზე ყველას შეეძლო.

რომში, ადრეულ ხანაში, როდესაც თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონები
ის-ის იყო მოქმედი საკანონმდებლო ძეგლი გახდა (ძვ. წ. V ს.) და შედა-
რებით გვიანაც — ჩვ. წ. I-ახ. წ. I საუკუნეებში, კანონმდებელი მოქალაქეების
ცხოვრების ისეთ სფეროებშიც ერეოდა, რომლებიც ჩვენს დროში საკა-
ნონმდებლო მოწესრიგებას ნაკლებად ექვემდებარება.

კანონმდებელი ზღუდავდა წარჩინებული პირის დაკრძალვის ხარჯებს, აღ-
ვენდა საპროცენტო განაკვეთს. ხოლო ავგუსტუსის პრინციპატის ხანაში ავალ-
დებულებდა მოქალაქეებს დაქორწინებას. ხელს უმართავდა და ავალდებუ-
ლებდა კიდევაც მოქალაქეებს განემტკიცებინათ ოჯახი. კანონმდებელი ერეო-
და პატრონისა და კლიენტების ურთიერთობაში. პატრონებისაგან მოითხოვდა
ყოფილიყვნენ პატიოსანნი და არ მოეტყუებინათ კლიენტები.

თუ პატრონი მონას შეპირდებოდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი დავალე-
ბის შესრულების შემდეგ ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ის მას გა-
ათავისუფლებდა, ასეთი აღთქმა აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. რიგი
მონაცემების მიხედვით, გათავისუფლებული მონა რომის მოქალაქეობას დე-
ბულობდა. გააზატებული მონა თუ უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, პატ-
რონს კანონიერი უფლება ჰქონდა, როგორც მის კანონიერ მემკვიდრეს, და-
უფლებოდა მისი ყოფილი მონის, ხოლო ახლა სამკვიდროს დამტოვებლის (მამ-
კვიდრებლის) ქონებას. აქედან ჩანს, რომ გააზატებულ მონას რომის მოქალა-

7 ძველი რომის კულტურა. ტ. I. მოსკოვი. 1985, გვ. 214.

ქობაზე მიუწვდებოდა ხელი, ვინაიდან მხოლოდ რომის მოქალაქეები იყვნენ აღჭურვილი ურთიერთმემკვიდრეობის უფლებით.

პროგრესის პრინციპის შესატყვისი იდეები უკვე რომის უძველესი ხანის კანონმდებლობაშიც ჩანს. ნებადართული იყო საკუთარი წესდების მქონე კოლეგიების (sodalicia) დაარსება. მხოლოდ, ასეთ ორგანიზაციას არავითარი კანონის საწინააღმდეგო დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა.

თორმეტი ტაბულის კანონებში გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯაც. კანონმდებელი მთელ რიგ, მისი აზრით, სერიოზულ დასაშაულთათვის სასჯელის ამ უმაღლეს ზომასაც ითვალისწინებდა. სიკვდილით უნდა დასჯილიყო ის, ვინც სხვის გამაწილებელ ლექსს (სიმღერას) შეთხზავდა, ვინც ღამით მოიპარავდა სხვის ჭირნახულს (მოსავალს), ვინც სახლს ან მასთან ახლოს შენახულ მარცვლეულს დაწვავდა (VIII, 10), ღამით დანაშაულზე წასწრებულ ქურდს მოკლავდა, ხოლო ღღისით იმ ქურდის მოკვლა, რომელიც იარაღით იცავდა თავს, დანაშაულად არ ითვლებოდა. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის შემთხვევათ არ იყო გათვალისწინებული ისეთი ქმედებები, რომლებიც კერძო საკუთრების დაცვასთან იყო დაკავშირებული. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის იდეას კანონმდებელი განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავდა.

თვით მონასაც კი, რომელიც ქურდობაში იყო მხილებული, სიკვდილით სჯიდნენ, ცნობილი ტარპეის კლდიდან აგდებდნენ. თუ თავისუფალი და არა მონა ღღისით რომელიმე ნივთს მოიპარავდა, მას გაწყებლავდნენ და ხელთ მისცემდნენ დაზარალებულს, ვითარცა ადრიკტს (VIII, 14) და თავისი შრომით ანაზღაურებინებდნენ ნაქურდალს.

სიკვდილით ისჯებოდა ცრუმოწმე, მექრთამე მოსამართლე და არბიტრი. (მეცხრე, 3). სიკვდილით სასჯელი აგრეთვე გათვალისწინებული იყო რომის წინააღმდეგ მტრების დარაზმვისათვის, მოქალაქის მტრების ხელში გადაცემისათვის.

ნეტარი ავგუსტინეს ცნობით, რომელიც 354-430 წწ. ცხოვრობდა და რომელსაც ჩვენამდე მოუღწეველი ცნობებიც გააჩნდა რომის სამართლის ისტორიის შესახებ, თორმეტი ტაბულის კანონების სასჯელთა ფართე წრე იყო გათვალისწინებული. სიკვდილით დასჯისა და ჯარიმების გარდა ხსენებული საკანონმდებლო ძეგლი ითვალისწინებდა სასჯელთა სხვა სახეებსაც: მონობას (მონად გაყიდვა), სამშობლოდან გაძევებას, გაწყებვლას, დაბორკვას, პატივის აყრას და ტალიონსაც კი. ალბათ მოქმედებდა პრინციპი: თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წილ.

ძველი რომის სამართალი მეტად მკაცრი იყო ვალაუფალი პირის მიმართ. კრედიტორს შეეძლო ვალაუფალი დებიტორი საკუთარ მონად გაეხადა და შემდეგ მდინარე ტიბრის გაღმა გაეყიდა. მოგვიანებით, სამხედრო სამსახურისათვის თავის ამრიდებელიც ასევე მკაცრად ისჯებოდა.

ცნობილია, რომ პირი, რომელმაც ვალი დროზე ვერ გადაიხადა, მისი ბედის საბოლოო გარკვევამდე შეიძლებოდა დაბორკილი ჰყოლოდათ. სხვა სახის რა დარღვევისთვის იყენებდნენ დაბორკვას ან დაბმას უძველეს ხანაში, უცნობია. თუ ვინმე ბოროტი განზრახვით ვინმეს — თავისუფლად შობილს — ძველს გადაუმტკრევდა, თორმეტი ტაბულის კანონების თანახმად (VIII, 2-4) ტალიონის პრინციპით უნდა დასჯილიყო, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით შეიძლებოდა ჯარიმის გადახდით დამთავრებულიყო საქმე.

როგორც მოსალოდნელი იყო, რომის ისტორიის უძველეს ხანაში, მაშინ როდესაც თორმეტი ტაბულის კანონები შემოდიოდა სამოქმედოდ, სასამართლო პროცედურა საკმაოდ მარტივი იყო. ჯერ მოდავე მხარეები უნდა ცდილიყვნენ მორიგებით და მშვიდად დაემთავრებინათ საქმე. თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ მაგისტრატი ერეოდა საქმეში და მხარეებთან შეთანხმებით ნიშნავდა მსაჯულს ან არბიტრს, რომელიც საქმეს განიხილავდა სახალხო კრებაზე — კომიციაზე ან ფორუმზე შუადღიდან მოყოლებული ვიდრე მზის ჩასვლამდე.

მოდავე მხარეები და მოწმეები, კანონის თანახმად, ვალდებული იყვნენ სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ. თუ მოწმე საპატიო მიზეზების გარეშე სასამართლოში არ გამოცხადდებოდა ჩვენების მისაცემად, ის გამაწილებელი სასჯელით დაისჯებოდა, გაწბილდებოდა, და ეკრძალებოდა შემდგომში სასამართლოში მოწმედ გამოსვლა (VIII, 2,2).

1654 წელს დონ არქანჯელო ლამბერტიმ დაწერა თხზულება „სამეგრელოს აღწერა“, სადაც ის შეეხო სასამართლო წყობილებას იტალიაში და საქართველოში და ისინი ერთმანეთს შეადარა. ა. ლამბერტი აღნიშნავდა: „ის წესი, რომლითაც აწარმოებენ ჩვენში (იტალიაში) მართლმსაჯულებას, მეტად გვიანია და სავსეა ხრიკებით. ამით სარგებლობენ მოხელეები და ხალხი კი მეტად შეწუხებულია. ეს წესი განდევნილია აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი კოლხიდაში და საქართველოში, სადაც ჩქარა წყდება ყოველივე დავა, რაც უნდა დახლართული იყოს და ყველას შეუძლიან მცირე ხარჯით ამოიგოს თავისი ფული“...

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, სამეგრელოში თუ „რთული საქმეა რამე და არ სურთ მთავარი შეაწუხონ, მოდავენი ასე იქცევიან: თვითელი მოდავე ირჩევს თითო მოსამართლეს, ორივე მოსამართლე ერთად ირჩევს ერთ მომხსენებელს. ამ კაცის მოვალეობა ის არის, რომ არჩეულ მოსამართლესთან ერთად დაჯდეს და ერთი მოდავის სიტყვები მეორეს გადასცეს.

დანიშნავენ დღეს და ადგილს, როდის და სად უნდა მოხდეს საქმის გარჩევა. ჩვეულებრივ შეიკრიბებიან რომელსამე კარგ ჩრდილიან ხის ქვეშ. დანიშნულ დროს ყველანი შეიკრიბებიან ამორჩეულ ადგილზე. მოსამართლეები და საქმის მომხსენებელი რომ დასხდებიან ჯერ გამოცხადდება მომჩივანი და მუხლმოდრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც საბუთები აქვს. ეს რომ ყოველივეს იტყვის, რაც სათქმელი აქვს, ადგება და წავა ისეთ ადგილას, რომ ვერ გაიგოს, რასაც მოპასუხე იტყვის. მერე მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენებელი სიტყვა-სიტყვით გადასცემს ყოველსავე, რაც მომჩივანმა მოახსენა მოსამართლეებს, ამის შემდეგ მოპასუხე თავის პასუხს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის საბუთებს. მოპასუხე წავა. შემდეგ შემოვა ხელახლა მომჩივანი, რომელსაც საქმის მომხსენებელი გადასცემს მოპასუხის სიტყვებს. მომჩივანი კიდევ თავისას იტყვის, კიდევ წავა და შემოვა მოპასუხე. ასე გავრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავ-თავის სიტყვას, როცა მათ აღარ ექნებათ-რა სათქმელი, მოსამართლენი ცალკე წავლენ საბჭოდ და გადასწყვეტენ საქმეს წინამდებარე საფუძველთა მიხედვით. მათ განაჩენს ორივე მხარე ყაბულდება“⁸.

არქანჯელო ლამბერტის ცნობამ შემოგვინახა ძველი, ალბათ ანტიკური

⁸ დონ არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერა“ გამ. „აიეტი“ გვ. 78-79.

ქობაზე მიუწვდებოდა ხელი, ვინაიდან მხოლოდ რომის მოქალაქეები იყვნენ აღჭურვილი ურთიერთმემკვიდრეობის უფლებით.

პროგრესის პრინციპის შესატყვისი იდეები უკვე რომის უძველესი ხანის კანონმდებლობაშიც ჩანს. ნებადართული იყო საკუთარი წესდების მქონე კოლეგიების (sodalicia) დაარსება. მხოლოდ, ასეთ ორგანიზაციას არავითარი კანონის საწინააღმდეგო დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა.

თორმეტი ტაბულის კანონებში გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯაც. კანონმდებელი მთელ რიგ, მისი აზრით, სერიოზულ დანაშაულთათვის სასჯელის ამ უმაღლეს ზომასაც ითვალისწინებდა. სიკვდილით უნდა დასჯილიყო ის, ვინც სხვის გამაწილებელ ლექსს (სიმღერას) შეთხზავდა, ვინც ღამით მოპარავდა სხვის ჭირნახულს (მოსავალს), ვინც სახლს ან მასთან ახლოს შენახულ მარცვლეულს დაწვავდა (VIII, 10), ღამით დანაშაულზე წასწრებულ ქურდს მოკლავდა, ხოლო დღასით იმ ქურდის მოკვლა, რომელიც იარაღით იცავდა თავს, დანაშაულად არ ითვლებოდა. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის შემთხვევათ არ იყო გათვალისწინებული ისეთი ქმედებები, რომლებიც კერძო საკუთრების დაცვასთან იყო დაკავშირებული. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის იდეას კანონმდებელი განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავდა.


თვით მონასაც კი, რომელიც ქურდობაში იყო მხილებული, სიკვდილით სჯიდნენ, ცნობილი ტარპეის კლდიდან აგდებდნენ. თუ თავისუფალი და არა მონა დღისით რომელიმე ნივთს მოიპარავდა, მას გაწკებლავდნენ და ხელთ მისცემდნენ დაზარალებულს, ვითარცა აღდიკტს (VIII, 14) და თავისი შრომით აანაზღაურებინებდნენ ნაქურდალს.

სიკვდილით ისჯებოდა ცრუმოწმე, მექრთამე მოსამართლე და არბიტრი. (მეცხრე, 3). სიკვდილით სასჯელი აგრეთვე გათვალისწინებული იყო რომის წინააღმდეგ მტრების დარაზმვისათვის, მოქალაქის მტრების ხელში გადაცემისათვის.

ნეტარი ავგუსტინეს ცნობით, რომელიც 354-430 წწ. ცხოვრობდა და რომელსაც ჩვენამდე მოუღწეველი ცნობებიც გააჩნდა რომის სამართლის ისტორიის შესახებ, თორმეტი ტაბულის კანონების სასჯელთა ფართე წრე იყო გათვალისწინებული. სიკვდილით დასჯისა და ჯარიმების ვარდა ხსენებული საკანონმდებლო ძეგლი ითვალისწინებდა სასჯელთა სხვა სახეებსაც: მონობას (მონად გაყიდვა), სამშობლოდან გაძევებას, გაწკებვლას, დაბორკვას, პატივის აყრას და ტალიონსაც კი. ალბათ მოქმედებდა პრინციპი: თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წილ.

ძველი რომის სამართალი მეტად მკაცრი იყო ვალაუფალი პირის მიმართ. კრედიტორს შეეძლო ვალაუფალი დებიტორი საკუთარ მონად გაეხადა და შემდეგ მდინარე ტიბრის ვაღმა გაეყიდა. მოგვიანებით, სამხედრო სამსახურისათვის თავის ამრიღებელიც ასევე მკაცრად ისჯებოდა.

ცნობილია, რომ პირი, რომელმაც ვალი დროზე ვერ გადაიხადა, მისი ბედის საბოლოო გარკვევამდე შეიძლებოდა დაბორკილი ჰყოლოდათ. სხვა სახის რა დარღვევისთვის იყენებდნენ დაბორკვას ან დაბმას უძველეს ხანაში, უცნობია. თუ ვინმე ბოროტი განზრახვით ვინმეს — თავისუფლად შობილს — ძვალს გადაუმტკრევდა, თორმეტი ტაბულის კანონების თანახმად (VIII, 2-4) ტალიონის პრინციპით უნდა დასჯილიყო, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით შეიძლებოდა ჯარიმის გადახდით დამთავრებულიყო საქმე.



როგორც მოსალოდნელი იყო, რომის ისტორიის უძველეს ხანაში, მაშინ როდესაც თორმეტი ტაბულის კანონები შემოდიოდა სამოქმედოდ, სასამართლო პროცედურა საქმეოდ მარტივი იყო. ჯერ მოდავე მხარეები უნდა ცდილიყვნენ მორიგებით და მშვიდად დაემთავრებინათ საქმე. თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ მაგისტრატი ერეოდა საქმეში და მხარეებთან შეთანხმებით ნიშნავდა მსაჯულს ან არბიტრს, რომელიც საქმეს განიხილავდა სახალხო კრებაზე — კომიციაზე ან ფორუმზე შუადღიდან მოყოლებული ვიდრე მზის ჩასვლამდე.

მოდავე მხარეები და მოწმეები, კანონის თანახმად, ვალდებული იყვნენ სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ. თუ მოწმე საპატიო მიზეზების გარეშე სასამართლოში არ გამოცხადდებოდა ჩვენების მისაცემად, ის გამაწბილებელი სასჯელით დაისჯებოდა, გაწბილდებოდა, და ეკრძალებოდა შემდგომში სასამართლოში მოწმედ გამოსვლა (VIII, 2,2).

1654 წელს ღონ არქანჯელო ლამბერტიმ დაწერა თხზულება „სამეგრელოს აღწერა“, სადაც ის შეეხო სასამართლო წყობილებას იტალიაში და საქართველოში და ისინი ერთმანეთს შეადარა. ა. ლამბერტი აღნიშნავდა: „ის წესი, რომლითაც აწარმოებენ ჩვენში (იტალიაში) მართლმსაჯულებას, მეტად გვიანია და საესეა ხრიკებით. ამით სარგებლობენ მოხელეები და ხალხი კი მეტად შეწუხებულია. ეს წესი განდევნილია აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი კოლხიდაში და საქართველოში, სადაც ჩქარა წყდება ყოველივე დავა, რაც უნდა დახლართული იყოს და ყველას შეუძლიან მცირე ხარჯით ამოიგოს თავისი ფული“...

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, სამეგრელოში თუ „რთული საქმეა რამე და არ სურთ მთავარი შეაწუხონ, მოდავენი ასე იქცევიან: თვითელი მოდავე ირჩევს თითო მოსამართლეს, ორივე მოსამართლე ერთად ირჩევს ერთ მომხსენებელს. ამ კაცის მოვალეობა ის არის, რომ არჩეულ მოსამართლესთან ერთად დაჯდეს და ერთი მოდავის სიტყვები მეორეს გადასცეს.

დანიშნავენ დღეს და ადგილს, როდის და სად უნდა მოხდეს საქმის გარჩევა. ჩვეულებრივ შეიკრიბებიან რომელსამე კარგ ჩრდილიან ხის ქვეშ. დანიშნულ დროს ყველანი შეიკრიბებიან ამორჩეულ ადგილზე. მოსამართლეები და საქმის მომხსენებელი რომ დასხდებიან ჯერ გამოცხადდება მომჩივანი და მუხლმოდრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც საბუთები აქვს. ეს რომ ყოველივეს იტყვის, რაც სათქმელი აქვს, ადგება და წავა ისეთ ადგილას, რომ ვერ გაიგოს, რასაც მოპასუხე იტყვის. მერე მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენებელი სიტყვა-სიტყვით გადასცემს ყოველსავე, რაც მომჩივანმა მოახსენა მოსამართლეებს, ამის შემდეგ მოპასუხე თავის პასუხს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის საბუთებს. მოპასუხე წავა. შემდეგ შემოვა ხელახლა მომჩივანი, რომელსაც საქმის მომხსენებელი გადასცემს მოპასუხის სიტყვებს. მომჩივანი კიდევ თავისას იტყვის, კიდევ წავა და შემოვა მოპასუხე. ასე გავრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავ-თავის სიტყვას, როცა მათ აღარ ექნებათ-რა სათქმელი, მოსამართლენი ცალკე წავლენ საბჭოდ და გადასწყვეტენ საქმეს წინამდებარე საფუძველთა მიხედვით. მათ განაჩენს ორივე მხარე ყაბულდება“⁸.

არქანჯელო ლამბერტის ცნობამ შემოგვინახა ძველი, ალბათ ანტიკური

8. ღონ არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერა“ გამ. „იეტი“ გვ. 78-79.

ხანიდან მემკვიდრეობით მიღებული სასამართლო წყობილებისა და კრივის თუ სრული სურათი არა, რაღაც გადმონაშთი მაინც. მხარეები ირჩევდნენ მოსა- მართლევებს, ხოლო მოსამართლეები „მთხრობელს“. ამ უკანასკნელს ყველა- ფერი უნდა ელონა, მოსარჩლის პრეტენზიების არსი ისე გადაეცა მოპასუ- ხისათვის, რომ რამდენადაც შესაძლებელი იყო, მათი შერიგებისათვის ხელი შეეწყო. გამოერიცხა მხარეების მხრივ ერთმანეთისათვის პირადი სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

რომის იმპერიის შორეულ პროვინციებში სასამართლო წყობილების მრავალ სხვა ვარიანტთან გვექნებოდა საქმე, მაგრამ თვითონ ძლიერი რომის სახელმწიფოს სასამართლო წყობილებაში თანდათან სახელმწიფო-საჯარო სა- წყისებს უნდა მიეღოთ უპირატესი მფარველობა.

მაგრამ ადრეულ ხანაში, როდესაც თორმეტი ტაბულის კანონებს მიეცათ სამოქმედო ძალა, ჯერ კიდევ იგრძნობოდა შედარებით სუსტი სახელმწიფო საწყისები და შედარებით ძლიერი ინდივიდუალური „თვითშემოქმედება“. ან კიდევ, სუსტი სახელმწიფო სტრუქტურის მხრივ ინდივიდების მეშვეობით სა- ხელმწიფოს მოვალეობის შესრულებისათვის ხელშეწყობა და ნების დართვა. სასამართლოში მოწმეებისა და მოპასუხის გამოცხადებისათვის უნდა ეზრუნა მომჩივან-მოსარჩლეს (1, 13; 11,3); თუ მოსარჩლე საქმეს მოიგებდა, მასვე უნდა ეზრუნა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის; ის „ხელს ადებდა“ *manum iniectio* ვალაუვალ მოვალეს.

ვიცი, რომ რომის სამართლის უძველეს სტადიაზე სასამართლო პრო- ცესში დიდ როლს ასრულებდა ფიცი, მაგრამ ამის შესახებ სასურველი სის- რულით არ არის ჩვენამდე მოღწეული სათანადო წყაროები. ფიცის დიდ მნიშ- ვნელობაზე რომში მიუთითებს ე. მ. შტაერმანიც, მაგრამ ისიც სათანადო სა- ილუსტრაციო მასალის ნაკლებობას განიცდის.

რიგ შემთხვევებში, აღნიშნავს ე. მ. შტაერმანი⁹, — მოდავე მხარეებს წინდი შეჰქონდათ სადაო ნივთის ღირებულების შესატყვისად (ე. წ. *actio per sacramentum* ან *legis actio sacramento* 11, 1). ასე, რომ, წაგებული მხარე კარგავდა შეტანილ წინდს. სასამართლო დავა თითქოს „სანაძღოეს“ ხასიათს ატარებდა.

თორმეტი ტაბულის კანონების სამოქმედოდ შემოღების ხანებში — ძვ. წ. V საუკუნეში — რომი შედარებით მცირე სამოქალაქო თემს წარმოადგენდა. ის ჯერ არ იყო მსოფლიო სახელმწიფო, როგორც ეს გვიან მოხდა. ამიტომაც, სა- მეზობლო ურთიერთობანი ამ სამოქალაქო თემის შიგნით ძველი ნათესაური ურ- თიერთობების ნიშნებს ატარებდა. თუ მეზობლები რაიმეზე დაობდნენ, ეს ჩაითვლებოდა არა სამეზობლო ჩხუბად ან კინკლაობად, არამედ მეგობრებს შო- რის დავად, როგორც ამას ციკერონიც აღნიშნავდა. (რესპუბლიკის შესახებ, IV, 8).

თორმეტი ტაბულის კანონებს ჯერ კიდევ რელიგიური ელფერი დაკრავდა. მძიმე დანაშაულთა შორის ითვლებოდა ჯადოქრობა, რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი უპატივცემლობის გამოჩენა და ა. შ. მაგრამ, ამავე დროს, დომინირებდა საერო შეხედულება, რომლის მიხედვითაც მძიმე დანაშაულთა შორის მთიხსენიებოდა სამშობლოს ღალატი, დეზერტირობა, უმაღლესი ძალაუფლების

⁹ ე. მ. შტაერმანი „რომის სამართალი“.

ძალით ხელში ჩაგდება, სახალხო ტრიბუნის შეუტრაცხყოფა, სისხლის აღრევა და ა. შ.

მართალია, თორმეტი ტაბულის კანონები შედარებით მცირე სამოქალაქო თემის მიერ მიღებული კანონები იყო თავისი კეთილდღეობის მიზნით, საზოგადოების ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური უჭრედის მიერ — ოჯახის და ოჯახის უფროსის ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მასში ჩადებული აღმოჩნდა დემოკრატიული იდეების განვითარების შესაძლებლობაც და ზოგადი პროგრესის შესაძლებლობაც. ამიტომაც შეიძლება ნაწილობრივ მანაც ვაგვიზაროთ ციკერონის ოპტიმიზმი, რომელიც თვლიდა, რომ თორმეტი ტაბულის კანონები აღმატება ყველა სხვა ხალხის კანონებს.

რესპუბლიკის ხანაში მოხდა გარკვეული აზრით სამართლის ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია. კანონის ძალა მიენიჭა პლემბციტს. სამართალწარმოებისთვის ე. წ. არახელსაყრელი დღეების სია და ზოგიერთ საპროცესო დანაწესთა გასაიდუმლოებული ნაწილი თანდათან გამოქვეყნდა და ქურუმებისა და პატრიციების განსაკუთრებული ხელდებულებიდან გამოვიდა.

ეს მოხდა ძვ. წ. 304 წელს. ამიერიდან თითოეულ მოქალაქეს შეეძლო პატრიციების და პატრონების მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე თითოხვე მიუმართა სასამართლოსათვის.

მოსარჩლე პრეტორს მოახსენებდა რა საქმის შინაარსს, სთხოვდა, დაენიშნა მისთვის მსაჯული და მიეცა „ფორმულა“ ე. ი. მოსამართლისათვის (მსაჯულისათვის) მიეითებინა, როგორ ეწარმოებინა საქმე და რითი ეხელმძღვანელა. მკვლევარები, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, თითქოს ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ფორმულა“-ში იგულისხმებოდა სარჩელის საგანი, მოსარჩლის მოთხოვნა, პრეტორის ბრძანება—დაეგმო ან ბრალდება მოეხსნა საქმის განხილვის შედეგად (მაგალითად: თუ კი გამოირკვევა, რომ ესა და ეს კაცი ეკუთვნის ამა და ამ პირს „კვირიტული სამართლით“) ან თუ საქმე ეხებოდა ქონების გაყოფას, თითოეული მხარისათვის მიეკუთვნებინა მისი წილი. პრეტორი ნიშნავდა მოსამართლეს და საქმის გარჩევის დღეს, რომლის დროსაც მოსამართლეს წარუდგენდნენ პრეტორის „ფორმულას“, და თან თავის გამამართლებელ სასამართლო მტკიცებულებებს (ფიცი, მოწმის ჩვენება, დოკუმენტები). მოსამართლე, ცხადია, თავის გადაწყვეტილებას თუ განაჩენს გამოიტანდა. ამ გადაწყვეტილება-განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა ზემდგომ მაგისტრატთან ან სახალხო ტრიბუნთან, რომელსაც ჰქონდა ვეტოს უფლება. ეს უკანასკნელი კი იმაში მდგომარეობდა, რომ პრინციპში შეიძლებოდა როგორც პროცესის ყველა სტადიაზე ჩარევა, ასევე მოსამართლის განაჩენის თუ გადაწყვეტილების გაუქმება¹⁰.

ცნობილია, რომ ძველ რომში სავალო მონობა საზოგადოების მძიმე სენად იყო გადაქცეული, მაგრამ განვითარებისუნარიანმა რომის სამართალმა შეძლო ამ სენისაგან გათავისუფლების პროცესისათვის ხელისშეწყობა. პრინციპში სავალო მონობა გააუქმეს. თუ დამტკიცდებოდა, რომ დებიტორი (მოვალე) კრედიტორს არ უხდის კუთვნილ თანხას, მას (დებიტორს) სათანადო ქონებას მიაცემინებდნენ კრედიტორისათვის¹¹. თუ ამისი საშუალება არ იყო, დებიტორს

¹⁰ იქვე, გვ. 220.

¹¹ რომის სამართლის ისტორიის მკვლევარები ლაპარაკობენ «...об изъятии у неоплатного должника данного им в залог, но оставленного ему в пользование рабочего скота и сельскохозяйственного инвентаря».

თავის შრომით უნდა გამოემუშავებინა კრედიტორისათვის გადასახდელი ვალის განაღდება.

რომის მოქალაქის ცნებას კანონმდებლობამ ამ მოქალაქის პატივის და ღირსების გარკვეული დაცვაც დაუთავშირა. კანონმა აკრძალა რომის მოქალაქისათვის ბორკილების დადება და მისი სხეულებრივი, გამაწილებელი სისჯელებით დასჯა.

როგორც რომის სამართლის ისტორიის ცნობილი სპეციალისტების ი. ა. პოკროვსკის და პ. დერნბურგის ნაშრომებმა ცხადყო, რომის სამართლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა პრეტორის საქმიანობამ. პრეტორს ხელეწიფებოდა ედიქტის გამოცემა. პრეტორი წყვეტდა, თუ რა უნდა ჩათვლილიყო სამართლად.

პრეტორის ედიქტში არ იყო მოცემული უფლების წარმოშობის და უფლების შეწყვეტის საფუძვლები. პრეტორის აქტში მხოლოდ მითითებული იყო ეს წინამძღვრები, რის საფუძველზეც შეიძლებოდა სამართლებრივი დაცვის მინიჭება. (ი. ა. პოკროვსკი. პრეტორული სამართლის გენეზისი, 1902, გვ. 189).


მართებულად მიუთითებენ, რომ ამითვე განისაზღვრებოდა რომელი იურისტის აზროვნება. მისი დაინტერესების სფეროში შემოდიოდა არა მარტო კანონის და უფლების არსი, არამედ მისი ფორმაც. პროცესი, როგორც კანონის სიცოცხლის ფორმა. რომელი იურისტი დაინტერესებული იყო არა იმდენად იმით, რომ ამა თუ იმ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არის თუ არა სამოქალაქო უფლება, არამედ უპირატესად იმით, რა შეიძლება განახორციელო სასამართლო პროცესში, როგორ წარმართო პროცესი. ამის შესახებ აღნიშნული აქვს პ. დერნბურგს თავის „პანდექტებში“ (ტ. 1, § 127).

ამდენად, რომის სამართალში ჩვენს წინაშეა არა იმდენად სამოქალაქო უფლებათა სისტემა, არამედ სამოქალაქო სარჩელების სისტემა. სწორი იყო ი. ა. პოკროვსკი, როდესაც აღნიშნავდა, რომ რომის სამართალში სამოქალაქო უფლებათა სისტემა განიხილებოდა, როგორც „სარჩელების პროექცია“.

პრეტორული სამართალი, აღნიშნავენ მკვლევარები, ეს ისეთი სამართალი იყო, რომელიც განსაზღვრავდა იურისდიქციის წესს, რომელშიაც შერეული სახით იყო მოცემული მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების არსებობისა, მოქმედებისა და შინაარსის შესახებ და პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები სამოქალაქო უფლებების განხორციელების პირობებისა და ფორმების შესახებ, პროცესუალური მოქმედების შედეგების შესახებ რომის სამართალში არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. ამ მიმართულებამ და ვითარებამ თანამედროვე სამართლის სფეროშიც შემოაღწია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ რომის მოქალაქეთა ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა პრეტორების მიერ გამოცემული ინტერდიქციები — ამ ინტერდიქციების მეშვეობით ხდებოდა მესაკუთრულ-მფლობელობითი უფლებების დაცვა. მაგ. ინტერდიქციების მეშვეობით ხდებოდა თავისი სახლიდან და ადგილ-მამულიდან განდევნილი პირის უკან დაბრუნება.

დგებოდა საკითხი ვალაუფალი მოვალისათვის ვალის გადახდევინებისა, ინტერდიქციების მეშვეობით.



პრეტორის ინტერდიქტივზე ხდებოდა პრეკარიუმის სახით გაცემული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის დაბრუნება. პრეტორის ინტერდიქტებს მიაშინებოდა როდესაც საქმე სასამართლომდე მიდიოდა, კანონის ძალა ენიჭებოდა.

მართებულია მოსაზრება, რომ სამართლის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მონობამ. სპეციალური კანონის მიხედვით (აკვილიის კანონი), მონა პასუხს არ აგებდა თავისი მოქმედებისათვის, თუ ეს მოქმედება, თუნდაც მკვლევლობა, ბატონის მონათმფლობელის ბრძანებით იყო შესრულებული. „პატერ ფამილას“-ის, ბატონის საშინაო საქმეებში ვერავინ ჩაერეოდა. ოჯახის შიგნით ჩადენილ დანაშაულს, კანონსაწინააღმდეგო ქმედობებს, თითონ ოჯახის უფროსი იძიებდა, მასვე გამოჰქონდა განაჩენი და მის აღსრულებაზეც თითონვე ზრუნავდა. მაგრამ ასეთ სასამართლოზე მოწვევების სახით ესწრებოდნენ ნათესავები და მეგობრები. ბატონისა და გააზატებულის ურთიერთობას განსაზღვრავდა კერძო ხელშეკრულება. გააზატებულს, ჩვეულებრივ, ბატონის სასარგებლოდ უნდა ემუშავა განსაზღვრული თანხის გამომუშავებამდე. ზოგჯერ ის ვალდებული იყო ბატონის სასარგებლოდ დავგლო ანდერძიც კი.¹²

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ერთსადაიმავე ფაქტს ისტორიულ ლიტერატურაში ზოგჯერ სხვადასხვა შეფასება ეძლევა.

ძვ. წ. 111 წელს მიღებული კანონის თანახმად, საზოგადო მიწებზე „ავერ პუბლიკუს“-ის მიწებზე ცალკეული პირების მიერ „ოკუპირებული“ მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებად იქნა აღიარებული, ხსენებულ ადგილ-მამულთა პატრონები რენტისგანაც თავისუფალნი იყვნენ.

რიგი მკვლევარებისა ხსენებულ ფაქტში ხედავდა რომის სამართლისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის გამოხატულებას. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ხსენებულ ძვ. წ. 111 წლის აგრარულ კანონში ხედავენ ინდივიდისა და კოლექტივის ინტერესების შეთანხმების ცდასა თუ მისწრაფებას.¹³

ამასთან დაკავშირებით ე. მ. შტაერმანი შენიშნავს:

„ნამდვილად კი, იდეა „ცივიტას“-ის პრიორიტეტის შესახებ, „საერთო სარგებლობისა“ და თითოეული მოქალაქის სარგებლობის ურღვევი კავშირის შესახებ მუდმივ არსებობდა. ის გულისხმობდა „ცივიტას“-ის აყვავებისათვის აუცილებელ მიწაზე მოქალაქეთა მესაკუთრულ (მფლობელობითი) უფლებათა განმტკიცებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა მრავალწლიანი კულტურების გავრცელებასთან ერთად. კანონმდებლობის ზრუნვის საგანი იყო ოჯახი, როგორც სამეურნეო ერთეული. ოჯახის უფროსი დიდი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. ის, როგორც მეპატრონე განაგებდა ოჯახის მთელ სამეურნეო რესურსებს, განაგებდა მონებსაც, როგორც ოჯახის შიგნით ძირითად მწარმოებლებს.“

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ძველი რომის სამოქალაქო თემისათვის დამახასიათებელი დემოკრატიის ფორმა ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო აპარატის ფორმირებას.

¹² იქვე, გვ. 220-221.
¹³ იქვე. მითითებულია დე მარტინოს იტალიურ ენაზე გამოცემული ნაშრომი „სამართალი და საზოგადოება ანტიკურ რომში“. რომი. 1979 გვ. 290-292 და ვილერსის ფრანგული ნაშრომი „რომი და კერძო სამართალი“ პარიზი. 1977.

სახელმწიფოსათვის აუცილებელი „სახელმწიფოებრივი ზემოქმედების“ ღონისძიებები — სასჯელების შეფარდება და სხვა რეპრესიული აქციების აღსრულება ხდებოდა ოჯახებში, სადაც „პატერ ფამილიას“-ი აღჭურვილი იყო აბსოლუტური ძალაუფლებით.

ე. მ. შტაერმანი მართებულად მიუთითებს, რომ სახელმწიფო აპარატის სისუსტეზე მეტყველებს უკიდურესად არასრულყოფილი სანქცია კანონებისა. ასე, განასხვავებდნენ *leges perfectae*, რომელიც არაეფექტურს ხდიდა ყოველგვარ მის საწინააღმდეგო აქტს, *leges minus quam perfectae*, რომლის დარღვევაც ჯარიმით ისჯებოდა, და *leges imperfecte*-ს, რომელიც არ შეეცავდა არავითარ სანქციებს¹⁴.

შეინიშნება სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულების შეცვლა.

თუ თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით დანაშაულობათა უმრავლესობის ჩადენისათვის დამნაშავეები მკაცრად ისჯებოდნენ, ახლა (ძვ. წ. II-I სს.) მხოლოდ ჯარიმით ან გაძევებით ისჯებოდნენ, ხოლო თუ დამნაშავე თითონ, ნებაყოფლობით წავიდოდა ექსორად, მის მიმართ დევნა წყდებოდა. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ იყო მიმართული მოთხოვნა ციცერონისა, რომ ბრალსა და სასჯელს შორის ურთიერთშესატყვისობა ყოფილიყო. მოძალადე — სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ძუნწი — ჯარიმით, ხოლო პატივისა და დიდების მაძიებელი — უპატივობით (ციცერონი, კანონების შეს. III, 20).¹⁵

(გაპრაქლევა ზემოთ ნომერში)!

¹⁴ Villers R. Rome et le droit prive. p., 1977, p. 42-43.

ციტ. წიგნიდან „ძველი რომის კულტურა“. ტ. I, „ნაუკა“, 1985, გვ. 221.

¹⁵ ციცერონი თავის თხზულებაში „კანონების შესახებ“ ლაპარაკობს რომაელის რელიგიური მოვალეობის შესახებაც (II, 8-24), არავენ არ უნდა სცეს პატივი ახალ ან უცხო ღმერთებს, თუ ისინი ოფიციალურად არ არიან აღიარებულნი. ის მოითხოვდა მკრეხელთა, სისხლის აღმრევთა და ფიცის გამტეხთა დასჯას.



© „სამართალი“, 1992 წ.

**რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, პრიზოვოვის 19
ტელ. 99-02-45, 99-41-50, 99-51-01**

გალაეცა წარმოებას 24. 02. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 04. 92 წ.
ფორმატი 70x108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 210. ტირაჟი 8 000. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**საქართველოს შარხალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბა.
380009, თბილისი, შ. კოსტავას 14**

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 99-41-50, 99-51-01.

**Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.**

68/40



0602060 74185

360 1 835 50 333